

୧୦୩୦ ପାଠରକାଳୀଙ୍କ

ମରଗଙ୍ଗାଶନଗା
ପ୍ରେସ ଟୋପରସାରାବାହିକ



(୩୧)



ମରଗଙ୍ଗାଶନ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପାଠରକାଳୀଙ୍କ
ମରଗଙ୍ଗାଶନ 1991

02 + 00 % (06)



78.34(2)

8 196

1) සිංහල ප්‍රකාශන

2) රුපෝත ප්‍රකාශන

ශිෂ්ට ගේඛවෙදා දේශීල මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මාත ජ්‍යෙෂ්ඨ මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මුදලියෙදා දා තිබුණු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, නින්දා දා අලුත්සාන්ද්‍රාංශ, එයේ දා උග්‍ර යුතු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මුදලියෙදා දා තිබුණු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මුදලියෙදා දා තිබුණු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මුදලියෙදා දා තිබුණු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී.

ශිෂ්ට ගේඛවෙදා මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මුදලියෙදා දා තිබුණු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී, මුදලියෙදා දා තිබුණු මිධ්‍යාම්ප්‍රකාශනයේදී.

රුදායේත්‍රිවර්ධන ල. ඩානිස් ඩී

රුපුන්ත්‍රේත්‍රෙදී: ර. ගැ ග ග ල ම ට ට ල ච
ග. ජ ඡ ඡ ග ග ච ච ච

© ත්‍යැපෑලිසිස උනිවේර්සිටුවිස ගාම්ප්‍රේමලක්ං, 1991

4405000000
Gamma _____
608(06)-91

ව්‍යුත්පාදක මූල්‍ය මුදල
ව්‍යුත්පාදක මූල්‍ය මුදල
ව්‍යුත්පාදක මූල්‍ය මුදල

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წიგნი, რომელიც ეს-ეს არის აიღეთ ხელთ, ძველ წიგნთსაცავებს ეძღვნება. ზოგი მათგანის შესახებ დეტალური ცნობები შემოგვრჩა, ზოგის შესახებ კი ცოტა რამ ვიცით. ასე მაგალითად, მწირი ცნობები გვაქვს შუმერულ ბიბლიოთეკებზე, მაგრამ ისიც ცხადია, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, არც ასურბანიფალის უმდიდრესი წიგნთსაცავი იქნებოდა.

„ბიბლიოთეკა კაცობრიობის მეხსიერებაა“ — ამბობს გამოჩენილი არგენტინელი მწერალი ხორხე ლუის ბორხესი. ჩვენც ამ წიგნთსაცავების შემწეობით გავიხსენოთ ზოგი რამ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციების შესახებ, ძველი სახელმწიფოების წარმოშობა და მოსპობა, უდიდესი საგანძურების შექმნა და მათი ხვედრი.

ღ ძველმა ხალხებმა იცოდნენ, რომ წიგნი „სულიერი წამალია“. ასე ეწერა ფარაონ რამზეს II-ის ბიბლიოთეკის შესავალთან. როგორც ძველი ეგვიპტელები, ისე შუამდინარეთის მცხოვრებლები სასოებით ევლებოდნენ თავს წიგნებს, უვლიდნენ, აღწერდნენ და მომავალ თაობებს გადასცემდნენ. თუმცა შუმერები გადაშენდნენ, მაგრამ აქადელებმა კარგად მოუარეს მათ მექვიდრეობას. ხომ საშინელი მტარგალები იყვნენ ძველი ასურელები, მაგრამ მათაც იცოდნენ წიგნის ყადრი. ასურბანიფალი ეტლში ცხენების მაგივრად დამარცხებულ მეფეებს აბამდა და თავის სატახტო ქალაქ ნინევიაში ასეთნაირად სეირნობდა, მაგრამ ეისიმე წიგნის მიოვისება ძალიან ეთაკილებოდა. იგი წიგნის მფლობელებს ძალზე ფრთხილად ექცეოდა, თუ ნებით დედნებს არ უთმობდნენ, ასლს სჯერდებოდა და სათანადო საფასურს იხდიდა.

ძველი აღმოსავლეთის ხალხების უდიდესი კულტურული მიღწევები მოვარინებით ევროპელებმა ითვისეს. იყო დრო, როცა ბერძნები მკვეთრად ჩამოუვარდებოდნენ ეგვიპტელებსა და ბაბილონელებს, შემდეგ ერთნიც და მეორენიც შორს ჩამოიტოვეს. ამი-



ტომ ასურბანიფალის ბიბლიოთეკისთან ერთად ჩვენ ალექსანდრიაშვილის
არაჩეცულებრივ წიგნთსაცავსაც გავეცნობით, ათენისა და რომის
კერძო თუ საზოგადო ბიბლიოთეკებს, დიდი ბიბლიოთეკის კო-
ლექციებს და მათ, ხშირ შემთხვევაში, სამწუხარო ხელიშეც ვი-
ლაპარაკებთ.

დაღგა დრო, როცა უამთა სიავემ ყველა ანტიკური ბიბლიოთე-
კა შემუსრა. ზოგი ბარბაროსებმა გაანადგურეს, ზოგი ხანდარმა შე-
იწირა, ზოგიც სხვადასხვა რელიგიურ დავას ემსხვერპლა. ამიტომ-
აც არის, რომ ძევლი სამყაროს არაერთი უძვირფასესი ძეგლი დაი-
კარგა, ბევრზე საერთოდ აღარა გვაქვს წარმოდგენა, ზოგ მათგანს
კი ბუნდოვნად აღვიქვამთ. შუა საუკუნეებში ბევრი რამ გააქეთეს
დაკარგულის ალსადგენად, არაერთი ცდა წარმატებით დაგვირგვინ-
და, ერთი ხალხის მონაპოვარი მეორემ შემოგვინახა. ბიბლიოთეკე-
ბი, შესაძლოა, აღარ იყო ისე მდიდარი, როგორც ძევლ ასურეთსა
და ელინ-სტურ ევვიპტეში, მაგრამ ისინი მაინც ასრულებდნენ „კა-
ცობრიობის მეხსიერების“ ფუნქციებს. აი, სწორედ მათ შესახებ
ამბობდა როჯერ ბექონი: „ბიბლიოთეკები მდინარეებია, სადაც
უდიდეს წმინდანთა ნეშტი ინახება“.

ბიბლიოთეკა არ არსებობს ცხოვრების გარეშე, სკოლებისა და
უმაღლესი სასწავლებლების, სწავლულებისა და პოლიტიკოსების,
მწერლებისა და მკითხველების გარეშე. ჩვენც არაერთ სახელმწი-
ფო მოღვაწეებსთან, მეცნიერსა და პოეტთან გვექნება საქმე, ხშირ
შემთხვევაში კი იმ პირებთან, რომლებმაც ყველაფერი მოიკლეს,
რათა წიგნები შეეგროვებინათ, მათთვის საგანგებოდ მოეარათ და
შემდეგ მომავალი თაობებისათვის გადაეცათ. წიგნსაც ჰყავს თავ-
ისი ფანატიკოსები, ოლონდ, მრავალი სხვა ფანატიკოსისაგან გან-
სხვავებით, ისინი დიდ პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებენ.

„წიგნებს თავიანთი ბედი აქვთ“. ასეთივე ბედი აქვთ ბიბლიო-
თეკებსაც, რომელთაც ეძღვნება წინამდებარე წიგნი. იგი ძირითად-
ად განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ავტორი იმედოვ-
ნებს, რომ მას ყველა თაობის ბიბლიოფილებიც წაიკითხავენ და
თუ თავიანთ აზრსა და შენიშვნებსაც გაგვიზიარებენ, დიდად კმა-
ყოფილი ვიქნებით.

მაშ ასე, მკითხველო, ეიჭყებთ მოგზაურობას ძველ წიგნთსაცავ-
ებში, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა გამოდგეს.

შუმერიანის სამყაროში

კაცობრიობის ერთ-ერთი უპირველესი მიღწევა დამწერლობის გამოგონება იყო. მისი თავდაპირველი ნიმუში — ლურსმული დამწერლობა ძველმა შუმერებმა შექმნეს ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს. დამწერლობის გამოგონებასთან კი დაკავშირებულია სკოლების შექმნაც: ცხადია, ამ სკოლების შესახებ, რომლებიც სასახლეებსა და ტაძრებთან არსებობდა, ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით. მრავალი ათასი თიხის „წიგნისა“ და „რვეულის“ წაკითხვის შემდეგ მეცნიერებს მაინც შეუმუშავდათ გარკვეული აზრი ამ პირველი სასწავლო დაწესებულებების შესახებ, ხოლო ზოგიერთ ასეთ ძეგლს პირდაპირი კავშირიც კი აქვს შუმერულ სკოლებთან.

1909 წელს ასიროლოგმა პეგონ რადაუმ ყურადღება მიიქცია ერთ-ერთ შუმერულ დოკუმენტს, რომელიც მეტად დაზიანებულია იყო. ეს გახლდათ რაღაც ნაწყვეტი შუა ტექსტიდან და ძნელი ხდებოდა ნათლად დადგენა, რაზე იყო ლაპარაკი. შემდეგ აღმოჩნდა ამავე ტექსტის სხვა ნაწყვეტები, რომლებიც გამოქვეყნეს სტეფან ლენგდონმა, ედვარდ კიერამ და ანრი დე უზნუიაკმა. 1938 წელს გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა სემუელ კრამერმა მიაგნო კიდევ 5 ფრაგმენტს. ზოგი რამ რამდენადმე მოგვიანებით აღმოჩნდა და ტექსტი მთლიანად იქნა აღდგენილი.

რაზეა ლაპარაკი ამ ტექსტში? ძალიან საინტერესო ამბებზე — მასწავლებელი ლაპარაკობს ძველ შუმერულ სკოლაზე. ეტყობა, ეს ტექსტი შუმერულ ქალაქებში მეტად პოპულარული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დღეისათვის მისი 21 ასლი არსებობს. მათგან 13 ქალაქ ფილადელფიაში (აშშ) ინახება, პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმში, დანარჩენი ევროპაშია: 7 სტამბოლის ძველი აღმოსავლეთის მუზეუმში, ერთი კი — ლუვრში (პარიზი).

ამ და სხვა ძველ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება მიახლოებით მსჯელობა შუმერული სკოლის შესახებ II ათასწლეულის დასაწყისიდან.

სახელმწიფოს მწერლები, მოხელეები და ქურუმები ესაჭიროებოდა. განსაკუთრებით დიდი იყო მოთხოვნილება მწერლებზე.

ერთი დოკუმენტის მოწმობით, შუმერში რამდენიმე ათასი შერჩევული სიინალი მწერალი იყო, რომლებიც სკოლებში აღიზარდნენ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სკოლები, რომლებსაც თავდაპირველად სასულიერო ხასიათი ჰქონდათ, თანდათან გამოეყვნენ ტაძრებს და დამოუკიდებელნი გახდნენ. სკოლები საქმაოდ ბევრი იყო. მას სათავეში ედგა მასწავლებელი, რომელსაც „სკოლის მამა“ ეწოდებოდა. ეს დაახლოებით შემდგომი ხანის დირექტორის პოსტს - უდრიდა: მასწავლებელს თანაშემწევები ჰყავდა, რომელთაც „უფროსი ძმები“ ურჩვათ. იყო სპეციალური თანამდებობაც „მათრახის პატრონისა“, რომელიც მკაცრ ზედამხედველობას უწევდა მოსწავლეებს. სკოლაში სწავლისათვის სათანადო ქირა არსებობდა. „სკოლის მამა“, უნდა ვიფიქროთ, ექვედან უხდიდა ჯამაგირს „უფროს ძმებსა“ და „მათრახის პატრონს“. ცხადია, ასეთ სკოლაში მხოლოდ მდიდარი ადამიანთა შეიძლებს შეეძლოთ სწავლა. ამ უაღრესად პირქუშ სასწავლებელში ისინი იმდენ ხანს უნდა ყოფილიყვნენ, სანამ „უმია“ (მასწავლებელი) მათ მწერლობისათვის საბოლოოდ მომზადებულად არ მიიჩნევდა.

პატარა ბიჭის (გოგონები შუმერში არ სწავლობდნენ) მშობლები სკოლაში აბარებდნენ, სადაც მას 10 წელზე მეტი უნდა გაეტარებინა. ამიერიდან მას „სკოლის შვილი“ ეწოდებოდა.

ახლა კი ისევ იმ დოკუმენტს უნდა დავუბრუნდეთ, სადაც მასწავლებელი შუმერულ სკოლაზე ლაპარაკობს.

პატარა ბიჭი დილიდანვე სკოლისაქენ მიიჩქარის. იგი დედას საუზმის დამზადებას სთხოვს, იცის, რომ საქმარისია ოდნავ დაგვიანებაც კი და მასწავლებლის ჯოხს ვერ გადაურჩება. სკოლაში ხომ მოსწავლეს ყველა სცემს — „სკოლის მამა“, „მათრახის პატრონი“ და „უფროსი ძმებიც“. სცემენ იმისათვის, რომ გაკვეთილზე დაიგვიანა, იმისათვის, რომ გაკვეთილის ღროს ადგილიდან აღგა, გადაილაპარაკა, იმისათვის, რომ სკოლის ეზოს გარეთ გავიდა. მოსწავლე სკოლაში დილიდან სალამომდე უნდა ყოფილყო. გამონაკლისს შეაღგენდნენ უფროსი კლასის მოსწავლეები, რომლებიც სადილის შემდეგ სხვადასხვა დაწესებულებებში იგზავნებოდნენ, ასე ვთქვათ, პრაქტიკის გასავლელად.

შემდეგ ტექსტში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მასწავლებელმა შოწაფეს დაუწუნა ხელშერა. ეს დიდი ნაკლი იყო. მასწავლებლის თანაშემწევები, „უფროსი ძმები“ ხომ სანიმუშო ფირფიტებს ამზადებდნენ საეარგიშო ტექსტებით. ეს თიხის ფირფიტები მოსწავლეს სახლში უნდა წაეღო, რათა სანიმუშო ხელშერა გამოემუშავებინა და ტექსტიც ზეპირად ესწავლა. დიახ, ძალიან ძნელი იყო შუმერული სკოლის დამთავრება, თუ მოწაფეს ჩინებული მეხსიერება და კარგი ხელშერა არა ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც მოწაფეს ხელშერაც დაუწუნეს და გულისყურის უქონლობაც, იგი, ცხადია, გაჭოხეს. დანაღვლიანებული ბიჭი საღამოზე სახლში დაბრუნდა და მამას სთხოვა, როგორმე „მოეგვარებინა საჭმე“¹ მასწავლებელთან. მამაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო მასწავლებლისათვის ქრთამის მიცემა.

დიახ, „ქრთამი ჭოჭოხეთს ანათებდა“, იმდროინდელი მოსწავლეების მშობლებს კი მისი მიცემა არ უჭირდათ. შემონახულია მწერლების სიები, სადაც მითითებულია მათი მშობლების სახელები და თანამდებობებიც. ეს სიები 1946 წელს შეისწავლა გერმანელმა ასიროლოგმა შნაიდერმა. ყველა მშობელი მაღალი ფენების წარმომადგენელი იყო: ქალაქის „მამები“, ელჩები, ტაძრის მეურნეობის მმართველები, გემების კაპიტენები, ქურუმები, გადასახადების ამკრეფნი და ო. შ.

გათხრების შემდეგ მრავალრიცხვანი თიხის „რვეულები“ აღმოჩნდა, რომლებიც მოსწავლეების მიერ დაწერილი ტექსტებით იყო სავსე. ეს „რვეულები“ უამრავი რაოდენობითაა და ნათელ წარმოდგენას იძლევა სასწავლო პროცესზე.

თქმა არ უნდა, სწავლების მეთოდიკა მეტისმეტად პრიმიტიული იყო. მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტებს უკარნახებდა, რომლებიც მათ სასწრაფოდ უნდა ჩაეწერათ. კარნახის დროს მასწავლებლის თანაშემწევები „უფროსი ძმები“, ეტყობა, ოთახში დადიოდნენ და ამოწმებდნენ, როგორ იწერდნენ ტექსტს ყმაწვილები. იყო სიტყვა - პასუხის გაკვეთილებიც და ვაი იმას, ვინც მასწავლებელს უხეიროდ უპასუხებდა. გარკვეული დრო ეთმობოდა არითმეტიკას, გეომეტრიას და ასტრონომიას, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას. შუმერულ სკოლებში უდავოდ იყო ერთგვარი სპეციალიზაციაც. ასე

მაგალითად, მომავალ ქურუმებს ვარსკვლავებზე მკითხაობას ასწავლიდნენ, რაც მომავალი მწერლებისათვის სავალდებულო არ იყო. იყო მუსიკის, მედიცინის, ლოტისმეტყველების გაკვეთილებიც. ამაზე მოგვითხრობს თიხის ბევრი სახელმძღვანელო, რომლებიც გათხრების დროს აღმოჩნდა. დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა საშინაო მეცადინეობებსაც. საღამოს, როცა იგი შინ ბრუნდებოდა, „უფროსი ძმები“ თავიანთ მიერ დამზადებულ ფირფიტებს ატაბდნენ, რომლებიც კარგად უნდა დაესწავლა.

როგორც ვხედავთ, შუმერულ სკოლაში სწავლა ძნელი იყო, მაგრამ მრავალწლიანი მეცადინეობის შედეგად პედაგოგები აღწევდნენ თავიანთ მიზანს. ისინი შუმერულ ქალაქ - სახელმწიფოებს მწერლებს, მოხელეებსა და ქურუმებს — არსებული სისტემის ბურჯებს — უზრდიდნენ. გუშინდელი მოსწავლე კი, გაბატონებული ფენების წარმომადგენელთა შვილი, ამიერიდან უზრუნველყოფილია იყო. იგი ყოველთვის ნახავდა სარგიან თანამდებობას და თანდა-თანობით ავიწყდებოდა პირქუშ სკოლაში გატარებული წლები.

შუმერების უდავო დამსახურება ისიც გახლავთ, რომ მათ შექმნეს პირველი ბიბლიოთეკები. ისინი, შეიძლება ითქვას, თავს ევლებოდნენ „წიგნებს“, თიხის ფირფიტებს, აღრიცხავდნენ თითო-ეულ მათგანს, აღადგენდნენ დაზიანებულთ და ა. შ.

პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმში რამდენიმე საყურადღებო ფირფიტა ინახება. ეს არის კაცობრიობის ისტორიაში უძველესი ბიბლიოთეკის კატალოგი. კატალოგი მეტად თავისებურად არის შედგენილი. წიგნებს რაიმე გამოკვეთილი სათაური არა აქვთ. სათაურებად მიჩნეულია დასაწყისი სტრიქონის პირველი ნახევარი. კატალოგში 62 ლიტერატურული ნაწარმოების დასახელებაა. რა შემოგვრჩა ჩვენ მათგან? სულ მცირე, 24 ნაწარმოები მაინც.

როგორც ცნობილი შუმეროლოგი სემუელ კრამერი წერს, დასაწყისში მან ალლო ვერ აულო ამ ფირფიტებს, საბიბლიოთეკო კატალოგის ნაცვლად იგი რომელიმაც უცნობი პოემა ეგონა. „უნდა ვალიარო, არასოდეს მომივიდოდა თავში, საქმე საბიბლიოთეკო კატალოგთან თუ მქონდა, რომ კარგად არ მხსომებოდა მრავალი შუმერული ნაწარმოების დასაწყისი სტრიქონები“.



როდესაც კრამერმა ეს კატალოგი კარგად შეისწავლა, იგი მუნიციპალიტეტის ნების მიერ და მიაგნო კიდეც. ლუვრის მუზეუმმა გამოსცა კრებული „შუმერული რელიგიური ტექსტები“. მათგან ასლს რომ იღებდა, ფრანგ მეცნიერ ანრი დე უენუიაკს ზუსტად ისეთივე შეცდომა მოუვიდა, როგორც კრამერს. ის, რაც მას რელიგიური ჰიმნი ეგონა, წიგნების კატალოგი აღმოჩნდა! ეს კატალოგი ძალზე ჩამოგავდა: პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმში ნაპოვნს. გადამწერთა ხელწერა ერთმანეთს ისე ემსგავსებოდა, რომ შეიძლებოდა ერთი კაცის ნამუშევარიც კი გვიჩვენოდათ. თუ პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის კატალოგში 62 ნაწარმოები იყო დასახელებული, აქ უკვე ექვსით მეტი იყო — 68. როგორც კრამერი მოელოდა კიდეც, ორივე სიაში ბევრი საერთო ნაწარმოები აღმოჩნდა, მთელი 43. ლუვრის ფირფიტებში 25 ისეთი დასახელების ნაწარმოები იყო, პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის სიაში რომ არ მოიძებნებოდა, ამ უკანასკნელს კი 19 ისეთი „წიგნი“ ჰქონდა, პარიზში რომ ვერ ნახავდით. ერთი სიტყვით, ორივე კატალოგმა 87 სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების დასახელება შემოგვინახა: აქედან 32 - მა ჩენამდე მოაღწია.

გავიდა დრო. დაიღუპა შუმერული წიგნები და ბიბლიოთეკები. მაგრამ ერთ მშენიერ დღეს ყველაფერი აღდგა და განცვიფრებული კაცობრიობა გაეცნო ამ უბრწყინვალეს ცივილიზაციას, ესოდენი გავლენა რომ მოახდინა მრავალი ხალხის კულტურაზე.

ნიცვის პირადობის განცი

ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის მიწურულს დაიღუპა: ასურეთის „მსოფლიო სახელმწიფო“, VI საუკუნეში დაწინაურდა: ჭერ ქალდეველთა ბაბილონი, შემდეგ — სპარსეთი, V საუკუნეში უკუნეში კი ალექსანდრე მაკედონელმა დამხმ აქემენიანთა საუკუნეში კი ალექსანდრე მაკედონელმა დამხმ აქემენიანთა სამეფო.

თუ VII საუკუნეში ასურეთი მთელ წინა აზიაში გრძელი ცუდების თავზარს სცემდა ნინევია — „ლომთა ბუნაგი“ და ასურეთის მრისხანე მეფის ასურბანიფალის ხსენება, უკვე ორი საუკუნის შემდეგ ერთიც დაივიწყეს და მეორეც. დიდი მეცნიერი და მოგზაური ჰეროდოტე ასურეთზე არსებითად არაფერს წერს, აქა-იქ იხსენებს ნინევიას, ძალიან ხშირად კი ასურეთსა და ბაბილონს ერთმანეთში ურევს. ეს შეცდომა მარტო მას როდი მოსდის. ქსენოფონტმა, კუნაქსიდან რომ ბრუნდებოდა, ნინევიის ახლოს გაიარა. მან საერთოდ არაფერი იცოდა ასურელთა შესახებ, ეგონა რომ იმ ქალაქებში, რომელთა ნანგრევებსაც ხედავდა, ოდესლაც „მიდიელება ცხოვრობდნენ“. დიახ, ისტორიის „მსახვრალი ხელი“ ბევრ სახელმწიფოს მისწვდა, მაგრამ ასურეთის ხევდრი, ჩანს, მაინც სხვა იყო. მიდიელებმა და ბაბილონელებმა იგი არა მარტო დაანგრიეს, არამედ მისი არსებობის ყოველგვარი კვალიც კი გააქრეს.

როცა ალექსანდრე მაკედონელმა ქალაქი ანქიალა დაიპყრო კილიკიაში, იქ ნახა ასურბანიფალის ქანდაკება საინტერესო წარწერით: „ასურბანიფალმა ერთსა და იმავე დღეს დააარსა (ქალაქები) ანქიალა და თარსი, შენ კი, უცხოელო, სვი, ჭამე და სიყვარულს მიეც (თავი), სხვა არაფერი ადამიანური სიკეთე ყურადღების ლირსი არ არის!“

არისტოტელს მოწაფემ ასურბანიფალის შესახებ, უნდა ვიფიქროთ, თითქმის არაფერი იცოდა. თუმცა მათ სულ რაღაც სამი საუკუნე აშორებდათ ერთმანეთისაგან. 331 წლის შემოდგომაზე ალექსანდრემ გავგამელასთან სასტიკი მარცხი აგემა სპარსელებს. მას წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, რომ ნინევიის მიწაზე იდგა!

ნინევიაზე თითქმის არაფერი იცოდა ისეთი დიდი ერუდიციის მწერალმა, როგორიც გახლდათ „ანტიკურობის ვოლტერად“ წოდებული ლუკიანე (ახ. წ. II საუკუნე). ეს მით უმეტეს საოცარია, რომ ლუკიანე სირიელი იყო, სამოსატელი, ამ ქალაქიდან ასურეთამდე კი არც ისე შორი მანძილია. მის ერთ - ერთ ნაწარმოებში ასეთ დიალოგს ვკითხულობთ: მებორნე მწერალს სთხოვს, ძველი სამყაროს უდიდესი ქალაქები — ნინევია და ბაბილონი მიჩვენეო. პასუხი ასეთია: „ნინევია, მებორნევ, დაიღუპა და მისი კვალიც კი არ ჩანს. იმასაც ვერ გეტყვი, სად იყო იგი...“



და მანც ასურეთს სამუდამო დაეწყება არ ეწერა. ოცდაშეუკუმანისა
საუკუნის შემდეგ ამ ქვეყნის ისტორია აღდგა. მას სათანადო აღგი-
ლი მიუჩინეს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში.

ეს მხოლოდ ასურბანიფალის ბიბლიოთეკის აღმოჩენისა და სა-
გულდაგულოდ შესწავლის შემდეგ გახდა შესაძლებელი...

ის, რომ შუამდინარეთის ტერიტორია არქეოლოგთათვის ნამ-
დვილი განძი იყო, ევროპაში XVIII საუკუნისათვის გახდა ცნობი-
ლი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დანიელი მეცნიერის
კარსტენ ნიბურის ექსპედიციამ ახლო აღმოსავლეთში. როცა ნაპო-
ლეონი ევვიპტეში ჩავიდა, მას თან ჰქონდა ნიბურის წიგნი „მოგ-
ზაურობა არაბეთში და მის მეზობელ ქვეყნებში“.

პირველი ევროპელი, რომელმაც გადაწყვიტა გათხრები დაეწყო
ძველი ასურეთისა და ბაბილონის ტერიტორიაზე, იყო კლავდიუს
ჯეიმს რიჩი (1796 — 1821), ოსტი — ინდოეთის კომპანიის კონსული
ბალდადში. რიჩიმ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ოდესლაც ზღაპრული
ნინევია ქალაქ მოსულის მახლობლად უნდა ყოფილიყო. კონსული
საქმეს შეუდგა, მაგრამ გათხრებს დამთავრება არ ეწერა. იფეთქა ქო-
ლერის ეპიდემიამ, რომელსაც რიჩიც შეეწირა. ყველაფერი, რაც მან
გათხრების შედეგად მოიპოვა, ერთ ყუთში მოათავსეს და ბრიტანე-
თის მუზეუმს გაუგზავნეს. ეს იყო მომავალი დიდი აღმოჩენების მცი-
რე პრელუდია. როგორც ერთმა მეცნიერმა თქვა: „სამი კვადრატული
ფუტის მქონე პატარა ყუთი იტევდა ყოველივე იმას, რაც ზეიადი ბა-
ბილონისა და დიდი ნინევისაგან დარჩა“. მოსწრებული ნათქვამია,
მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისი იყო!

მალე შუამდინარეთში აღმოჩნდა ორი დიდად ნიჭიერი და ამავე
დროს მეტად პატივმოყვარე ახალგაზრდა კაცი: ფრანგი პოლ ემილ
ბოტა (1802—1870) და ინგლისელი ოსტინ ჰენრი ლეიირდი
(1817 - 1894). ბოტამ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო მოსული-
დან 14 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ხორსაბადთან. გათხრებს
პირდაპირ განსაცემიფრებელი შედეგები მოჰყვა: აღმოჩნდა სისახლე,
რომლის თითოეული დეტალი საუკეთესო ოსტატთა ნახელავი იყო.
ბოტას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დარწმუნებული იყო, ასუ-
რეთის ზღაპრულ დედაქალაქს ნინევის მივაგენიო. ამის შესახებ დაუ-
ყოვნებლივ აფრინა პარიზში ცნობა. 1847-50 წლებში საფრანგეთის



დედაქალაქში ხუთტომეულიც კი გამოვიდა, რომელსაც ეჭირებოდა
ნინების ძეგლები, აღმოჩენილი და აღწერილი ბოტას მიერ⁴. სულ შა-
ლე კი, აი, რა გამოირკვა: ბოტას ნინევია კი არ აღმოუჩენია, არამედ
VIII საუკუნეში ასურეთის მეფე სარგონ II - ის მიერ დაარსებული
ქალაქი — დურ - შარუქინი. ეს ქალაქი სულ ახლოს იყო ნინევიას-
თან, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, მისი თანამგზავრი - ქა-
ლაქი გახსლდათ.

ერთი ხანობა ხელი მოეცარა ლეიიარდსაც, როცა მან დიდი ქალა-
ქის ნაგრევები აღმოაჩინა, იყი, ბოტასი არ იყოს, ნინევია ეკონა. სი-
ნამდვილეში კი ეს იყო კალეუ, ასურეთის მეფეთა სატახტო ქალაქი.
საქმე ის არის, რომ მეფე ასურნასირფალ მეორემ დედაქალაქი ასუ-
რიდან კალეუში გადაიტანა, რაც შეეხება ნინევიას, იგი ასურეთის მე-
სამე და უკანასკნელი დედაქალაქი იყო.

მაგრამ ლეიიარდს მაინც გაუღიმა ბედმა. 1849 წელს მან აღმო-
აჩინა ხუთი სასახლე, რომლებიც IX - VII საუკუნეებში ასურეთის
მეფეებს აუშენებიათ. ახლა უკვე აღარავის ეეჭვებოდა, რომ ლეი-
იარდმა მიაკვლია ნინევიას, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე ამაოდ
ეძებდა. მოხერხდა იმის დამტკიცებაც, რომ ერთ - ერთი სასახლე მე-
ფე სინაქერიბს ეკუთვნოდა. მაგრამ მთავარი, სენსაციური აღმოჩენა
ჟერ კიდევ წინ იყო...

გადაბუგული სასახლის ორ ნაგვით სავსე ოთახში ლეიიარდის ყუ-
რაღება დამტკრეული აგურის სქელმა ფენებმა მიიპყრო. ამოდენა
სასახლეში რაღაც აგურის ნამტკრევები ყურადღების მისაქცევი არ
უნდა ყოფილიყო, მაგრამ საინტერესო ის გახლდათ, რომ ეს ნატეხე-
ბი მთლიანად ლურსმული ნიშნებით აღმოჩნდა დაფარული. შეგადა-
შიგ ნამტკრევებში დაუზიანებლად შემორჩენილი და უცხო დამწერ-
ლობით დაფარული პატარა ფილებიც ერია. თუმცა ამ ფილების და
უკვე ნახსენები წარწერების დამწერლობა ერთნაირი იყო, მეცნიერ-
ებს მათი წაკითხვა არ შეეძლოთ. მაშინ ლეიიარდმა ეს ფილები და
აგურის ნატეხები მოაგროვა, რამდენიმე ყუთი გაავსო და ბრიტანე-
თის მუზეუმში გაგზავნა. წლების განმავლობაში დაახლოებით 30
ათასი ასეთი თიხის ფირფიტა დაგროვდა. 1857 წლისათვის მეცნიე-
რებს უკვე შეეძლოთ მათი წაკითხვა და შესწავლა. გამოირკვა, რომ
ლეიიარდს ასურეთის უკანასკნელი მეფის ასურბანიფალის მიერ შექ-
მნილი უდიდესი ბიბლიოთეკა აღმოუჩენია.



არქეოლოგებს მდიდარი ნადავლი არ უკვირთ, მაგრამ ლეიარა ფრანგული სა და მისი თანაშემწის — რასამის ხვედრი, ეტყობა, მაინც უტულ სხვა იყო. მათ არც სასახლეები აღმოუჩენიათ და, თუ გნებავთ, არც ბიბლიოთეკა — აღმოაჩინეს თითქოს უიმედოდ დალუპული უდიდესი, მეტად საინტერესო ცივილიზაცია, შეიძლება ითქვას, აღმოაჩინეს ასურეთის მთელი ისტორია.

ასურბანიფალი (669 - 627) ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, არამედ როგორც დიდებული ბიბლიოთეკის შემქმნელიც.

მას შემდეგ, რაც III ათასწლეულის შუა ხანებში ლურსმული დამწერლობა შექმნეს, შუმერებმა დააარსეს უმდიდრესი არქივებიც. დიდძალი თიხის ფირფიტა ინახებოდა ლაგაშში, ურში, ნიფურში. ნიფურის სასახლეში რამდენიმე ათასი ასეთი „წიგნი“ აღმოჩნდა. დაახლოებით 20 ათასი ფირფიტა იპოვეს ლაგაშში. აქ ძირითადად რელიგიურ-საკულტო და სამეურნეო დოკუმენტები იყო, თუმცა გვევდება ლიტერატურული ნაწარმოებებიც, ისტორიული ხასიათის ჩანაწერები.

III-II ათასწლეულების მიჯნაზე შუმერების ცივილიზაცია დაიღუპა, მაგრამ მათგან ბაბილონელებმა ბევრი რამ მემკვიდრეობათ მიიღეს. ბაბილონეთშიც უმდიდრესი არქივებია აღმოჩენილი. ბიბლიოთეკები იქმნებოდა მეფეთა სასახლეებში, ტაძრებში, ქალაქებში: ბაბილონში, სიფარში, ურუქში, ბარსიპაში. ბაბილონის ბიბლიოთეკებშიც ძირითადად ისეთივე ტექსტები ინახებოდა, როგორც შუმერებთან. აქ იყო იურიდიული ტექსტებიც, მათ შორის ნამდვილი შედევრი — ჰამურაბის კანონთა კრებული.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასურბანიფალის ბიბლიოთეკამ ყველა ეს კოლექცია შორს ჩამოიტოვა. მეფის ბიბლიოთეკა, რომელიც „პირადი სარგებლობისათვის“ იყო განკუთვნილი, უნდა ვითიქროთ, მრავალი წლის განმავლობაში იქმნებოდა.

ასურბანიფალმა მრავალი ქვეყანა გაანადგურა, მაგრამ თავისი უნიკალური წიგნსაცავი სხვისი საკუთრების მითვისების გზით არ შეუქმნია. საქმე ის არის, რომ ამ ფირფიტების დიდ ნაწილს შეაღეს ასლები, რომლებიც მეფის დავალებით არის გადაღებული სხვადასხვა ქვეყანაში ან პროვინციაში.

აი, რას სწერდა მეფე ერთ მოხელეს, სახელად შედანუს, რომე-

ლიც ბაბილონში მიდიოდა: „იმ დღესვე, როცა ამ წერილს მიღება, შეკრიბე შუმუ, მისი ძმა ბელ-ეთირი, აპლა და შენთვის ცნობაზე ბარსიპელი მხატვრები, შეაგროვე ყველა ფირფიტა, რაც მათ სახლებში და იშტარის ტაძარში ინახება“. წერილი ასე მთავრდებოდა: „მო მიძებნეთ და მომართვით ძვირფასი ფირფიტები, რომელთა ასლები ასურეთში არ არის. ბარსიპის მთავარ ქურუმებსა და გამგებელს მივწერე, რომ შენ, შედანუ, ამ ფირფიტებზე შენს საწყობში შეინახავ. მე ვუბრძანე მათ, ფირფიტებზე არავინ გიოხრას უარი. თუ გაიგებთ, რომ ესა თუ ის ფირფიტა ან საწესო ტექსტი სასახლისათვის შესაფერისია, მოძებნეთ და გამომიგზავნეთ“...

უნდა ვითიქროთ, რომ ასურბანიფალმა არაერთი ბრძანება გასცა, სანამ ბიბლიოთეკას შექმნიდა. რა თქმა უნდა, წიგნსაცავები ასურეთში ასურბანიფალამდეც იყო. განსაკუთრებით მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ ქალაქებს ასურსა და კალხუს. მაგრამ ნინევის კალეკცია მაინც საგანგებოდ, დიდი შონდომებით, მეთოდურად იქმნებოდა.

ფირფიტების ასლებს დიდი სიზუსტითა და განსაკუთრებული გულისყრით იღებდნენ. როცა ასლის შედგენას დაამთავრებდა, გადამწერი მას ორიგინალს იღარებდა. ზოგ ფირფიტაზე ასეთი წარწერაა: „ძველი ნიმუშიდან გადაწერილია, შემდეგ კი — შედარებული“. ზოგჯერ ასეთი შენიშვნაა: „წაშლილია“, ანდა „ვერ გავარკვიე“. როცა გადამწერი ძალიან ძველ ტექსტზე მუშაობდა, იგი ვალდებული იყო მოცველებული ნიშნები თანამედროვეთი შეეცვალა. ზოგიერთი ტექსტი, რომელიც ზეღმეტად ვრცელი იყო, სწავლულებს კიდეც უნდა შეეკვეცათ. ზოგ ფირფიტაზე გადამწერის სახელიც აღმოჩნდა, ზოგი ფირფიტა ორ-სამ ცალადაც არის შემონახული; ზოგს ისიც აწერია, თუ ამ ფირფიტას ვინმე მოიპარავს, ღმერთები მას სამაგალითოდ დასჭიანო.

ბიბლიოთეკა ასურბანიფალის ორი სასახლის სპეციალურ განყოფილებებში ინახებოდა და მათ ოვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. ბიბლიოთეკას ემსახურებოდა საგანგებოდ ამ საქმისთვის გამოყოფილი ხალხი. ფირფიტას ნებისმიერ წუთში მონახავდნენ. ბიბლიოთეკის განყოფილებები ასეთი იყო: გრამატიკა, ისტორია, სამართალი, კანონები, მათემატიკა, ასტრონომია, მაგია, რელიგია, ლეგენდები და ა. შ. ბიბლიოთეკის ძირითად ნაწილს, ისევე როგორც

გრამატიკის განყოფილება შედგებოდა ლურსმული დამწერლობის სახელმძღვანელოებისა და სხვადასხვა ლექსიკონებისაგან. ძალიან ბევრი საყურადღებო „წიგნი“ ჰქონდათ მათემატიკასა და ასტრონომიაში, სადაც ასურელებმა და ბაბილონელებმა, ეგვიპტელებთან ერთად, დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ აქვე მრავლად იყო ასტროლოგიური ტექსტებიც იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას ახდენდა ზეცის სხეულები ადამიანთა ბედ-ილბალზე. ბევრი ფირფიტა ეხებოდა კანონებს, სამართლის სხვადასხვა საკითხს. საინტერესო იყო გეოგრაფიული განყოფილება: ლექსიკონები სხვადასხვა ქვეყნების, ქალაქების, მდინარეების, მთების, არხების, გალავნების შესახებ. ამასთან ზოგიერთ ლექსიკონში სახელები ორ ენაზე იყო აღნიშნული: შუმერულსა და აქადურზე (ასურელები ამ ენაზე ლაპარაკობდნენ): დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ცნობებს, სადაც აღნიშნული იყო მანძილი ამა თუ იმ ქალაქს შორის. ამას იყენებდა არა მარტო ასურეთის არმია, არამედ — ვაჭრებიც. ბიბლიოთეკაში შედიოდა სამედიცინო ლიტერატურაც (სხვადასხვა ავადყოფობის დასახელება, რეცეპტები, რეკომენდაციები წამლის დასამზადებლად).

ისტორიული მასალა მაინცდამაინც ბევრი არ არის. იგი თამამად შეიძლება შევაჯეროთ სასახლისა და ტაძრების კედლებზე შემორჩენილ მატიანებთან. ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი ისტორიული წარწერები შეიძლება ორ ჯგუფად დაყყოთ: 1) ქრონიკები და საზეიმო წარწერები; 2) ხელშეკრულებები, წერილები, მოხსენებითი ბარათები და ა. შ. აღმოჩენილია სინაქერიბის, ასარპადონისა და ასურბანიფალის წარწერები, რომელთა მიზანი იყო მეფეთა ძლევამოსილი ლაშქრობების უკვდავყოფა. ამ წარწერების სტრუქტურა და ახლოებით ასეთია: დასაწყისში მეფე ლოცვას წარმოთქვამს, შემდეგ აღწერილია წარმატებით დაგვირგვინებული ლაშქრობები, ბოლოს კი ლაპარაკია მეფის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე. ერთერთ წარწერაში ქალღმერთი იშტარი მეფეს სამხედრო საქმეში წარმატებებს უწინასწარმეტყველებს. მეორეში მისანი აცხადებს: „ელამელთა ისრებს გადავამსხვრევ, შენს (ასურბანიფალის) ხელებს კი გავამაგრებ. შენი იარაღი ყველა მტერს შემუსრავს“.

ყველა ლაშქრობა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის აღ-
წერილი. ამასთან თითოეულ ფირფიტის თუ ტექსტს შედგენის დროიც
რილიც ახლავს.

ბევრ თიხის „წიგნში“ ლაპარაკია მეფეთა ნადირობაზე. ადრე
ასურეთში უამრავი სპილო ყოფილა, ტიგლათფილესერ I - სა და
სხვა მეფეებს ჰყვარებით მათზე ნადირობა, უკანასკნელად სპილოე-
ბზე ნადირობა ასახულია საღმანასარ III-ის ობელისკზე. VIII სა-
უკუნის დასაწყისისათვის სპილოები საზრდოს ვეღარ შოულობდნენ.
ადრე ძალიან ბევრი გარეული ხარი ყოფილა, მაგრამ ასურბანიფა-
ლის დროს ისინი უკვე აღარ გვხვდებოდა. მეფე არც დაოვებზე ნა-
დირობდა. სამაგიეროდ, ბევრი წარწერა იუწყება, რომ ასურბანიფა-
ლი ძალიან ხშირად ნადირობდა ლომებზე. VII საუკუნეში ლომები
მეტად გამრავლებულან, განსაკუთრებით იმ მხარეებში, ასურეთის
ჯარებმა რომ ააოხრეს. ჩრდილოეთ პალესტინაში, სადაც სარგონ
II - მ ისრაელის სამეფო მოსპო და სამარიაში კოლონისტები ჩაასა-
ხლა, იმდენი ლომი ყოფილა, რომ სოფლებს აშკარა ხიფათი ემუქრე-
ბოდათ, შემდეგში თვით ასურეთშიც, როგორც ასურბანიფალის მა-
ტიანე იუწყება, ლომები დაძრწოდნენ, იტაცებდნენ ძროხებსა და
ცხვრებს. ამიტომ მათზე უწინდებურად გასართობად როდი ნადირო-
ბდნენ, არამედ — ამოწყვეტის მიზნით. ასურელები ჭერ მზერავებს
გზავნიდნენ, შემდეგ კი მოზრდილი რაზმებით თავს ესხმოდნენ ცხო-
ველებს.

ცხადია, ნადირობის დროს ასურბანიფალი მაინცდამაინც დიდ რი-
სკს როდი ეწეოდა. ლომს წინასწარ იქერდნენ და გალიაში სვამდნენ,
სადაც მას შიმშილით ქანცი ელეოდა. შემდეგ მისი მოკვლა დიდი
ამბავი აღარ იყო. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ლომი მაინც გაძვინ-
ვარებული გაიჭრებოდა მეფისკენ, ასურბანიფალის მცველთა ლაშ-
კარი მას მყისვე მოუსწრაფებდა სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, მწერ-
ლები მაინც ხოტბას ასხამდნენ ლომებზე მონადირე მეფეს.


ტექსტში ზოგჯერ ლაპარაკია ასურეთის უძველეს მეფეებზე, ზოგ-
ჯერ ბაბილონის მეფეებზე. ბევრია შუმერული ტექსტების თარგმა-
ნიც: ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ასურეთის თუ ბა-
ბილონის უძველესი ისტორიის ამა თუ იმ ფაქტის დადგენის საქმეში.



ნინევის ბიბლიოთეკაში უამრავი წერილი იყო თავმოყრილებული და სხვადასხვა პირებისაღმი მიმართული. ბევრია მეფისაღმი მიწერილი წერილიც. სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად ასურბანიფალის მიერ გაგზავნილი სარდლები მეფეს ატყობინებდნენ, როგორი მიმართულებით მოძრაობდნენ, რა ქალაქები და ციხე - სიმაგრეები დაიპყრეს, როგორი წინააღმდეგობა დაძლიერ, რამდენი კაცი ჩაიგდეს ტყვედ, რა ზარალი ნახეს თვით ასურელებმა, რამდენი მტერი დახოცეს და ა. შ. ზოგჯერ სარდლები მეფეს თავის წინადადებებს სთავაზობდნენ, უფრო ხშირად კი რჩევას კითხულობდნენ. ბევრი წერილი ეხება ტაძრების, ქალაქის გალავნის, კერძო შენობების, არხების მშენებლობას. ბევრი რამ არის ნათვამი დიდებულების პირად ცხოვრებაზე, სხვადასხვა ზეიმზე. ძალიან ხშირია ლაპარაკი ყოველდღიური ცხოვრების საკითხებზე. ასურბანიფალს ყური ასტყივდა. მას პირდებიან, რომ ჩინებულ ექიმს გაუგზავნიან.. სხვა წერილში უკვე მძიმე ავაღმყოფი ჩაბილონელი ქურუმისათვის იწვევენ ექიმს და ა. შ. გვცვდება დაბეჭდების ბარათებიც. მაგალითად, როცა მეფემ სამ დიდებულს მაღალი სამხედრო თანამდებობები უბოძა, მას მისწერეს, სამივე გამოუსწორებელი ლოთია, სიმთვრალეში ხანგალსაც კი ვერ ხმარობენ, ბარათის დამწერი მეფეს არაფერს ურჩევს. მე სიმართლე მოგახსენეთ, ახლა, როგორ უნდა მოიქცეს, მეფემ უკეთ იცისო.

ბიბლიოთეკაში დაცული ტექსტების ნაწილი შუმერულია. მართალია, ამ დროისათვის შუმერული უკვე კვდარ ენად იქცა, მაგრამ ლოცვები სწორედ ამ ენაზე იყო შედგენილი. შუმერული მხოლოდ ქურუმებმა და გადამწერებმა თუ იცოდნენ. ზოგჯერ შუმერულ ტექსტს პარალელური ასურული თარგმანიც ახლავს.

ზოგჯერ ვრცელი ტექსტი ერთ ან რამდენიმე ფირფიტაზე ვერ ეტეოდა, საჭირო ხდებოდა, ასე ვთქვათ, ფირფიტების მთელი სერიის გამოყენება. მაგალითად, პოემის გილგამეშზე 12 დიდი ფირფიტა მოუნდა, თითო ფირფიტაზე თითო თავი ანუ სიმღერა დაწერეს. ფირფიტები, ნათლად იყო დანომრილი, რათა თავი და ბოლო არ არეოდათ. ერთი თავისებურებაც: წინა ფირფიტის ბოლო სტროფი ახა-



ლზე გადადიოდა, ე. ი. გაგრძელება ამ ბოლო სტროფის სიტყვებით იწყებოდა.

ზოგი დოკუმენტი არამეულ ენაზე იყო შედგენილი, რაც გასაკვირი არ არის. VII საუკუნეში არამეულმა დიდი გავრცელება პოვა ასურეთში, VI საუკუნეში კი წინა აზიაში საერთაშორისო ენადაც იქცა, აქადური შევიწროვა. ჯერ კიდევ სინაქერიბის დროს ასურელმა დიდკაცობამ კარგად იცოდა ეს ენა. სინაქერიბისა და იუდეველთა მეცვე ეზეკიას მოლაპარაკების დროს ასეთი ამბავი მოხდა: ებრაელმა დიდებულებმა ასურეთის მპყრობელს სთხოვეს საუბარი არამეულ ენაზე წარემართა, რათა უბრალო მოკვდავთ მისი შინაარსი ვერ გეგოთ...

* ასურბანიფალის გარდაცვალების შემდეგ ასურეთის საქმეებზე უკან და უკან წავიდა. დიღხანს ვერ იარსებებდა სახელმწიფო, რომელის კეთილდღეობა სხვის სისხლსა და ძლებზე იყო დაფუძნებული, რომელმაც ბევრ წალეს წართვა დამოუკიდებლობა, კეთილმოწყობილი ქალაქები გადაბუგა და საგულდაგულოდ მოვლილი ბალ - 30-ნახები აკაფა. იქ, სადაც ასურეთის ლაშქარი დადგამდა ფეხს, რჩებოდა ნახანძრალი, ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული ვრცელი მხარეები უკაცრიელდებოდა.

* ასურეთს ბაბილონისა და მიდიის მძლავრი კოალიცია დაუპირისპირდა. 612 წელს მათ ერთიანი ძალებით შეუტიის ნინევიის. ასურეთის დედაქალაქში ამ დროისათვის 300 ათასამდე მცხოვრები იყო, ქალაქს დაახლოებით 730 ჰექტარი ფართობი ეკავა, კედლების სიგრძე 12 კილომეტრს უდრიდა. ნინევიის ალყა დაახლოებით ორ თვეს გაგრძელდა (612 წლის ივნის - ივლისი), ბოლოს ქალაქი დაიცა. გამარჯვებულნი, რაკი ასურელთა წინააღმდეგობა დათრგუნება, აღარავის ინდობდნენ, არც მოხუცებსა და არც ბავშვებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყვიტეს, დანარჩენები კი მონებად გაყიდეს. მეფე სინ - შარუ - იშკუნმა, რათა მტერს ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში, თავის სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და შიგ ამოიბუგა. ქალაქში ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა. ასურბანიფალის ბიბლიოთეკა ცეცხლს მიეცა. დიდალი ფირფიტა დამტვრა, ყველაფერი მიწით დაიფარა, რათა მრავალი საუკუნის შემდეგ ხელახლა აღმდგარიყო და მთელი მსოფლიოსათვის მოეთხოო ძველი ასურეთის ამბავი.

ალექსანდრია, „მუზების გალია“

+.

ბიბლიოთეკების შექმნის იდეა ანტიკურ სამყაროში ძველი ბაბა-ლონეთიდან და ასურეთიდან მოვიდა. რაც შეეხება თვით სიტყვა „ბიბლიოთეკას“, იგი ბერძნული წარმოშობისაა. დიდი „წიგნთსა-ცავები“ — თიხის ფირფიტების კოლექციები ჯერ კიდევ II ათას-წლეულში არსებობდა კუნძულ კრეტაზე. უფრო გვიან დიდი ბიბლიოთეკები ჰქონდათ ბერძენ ფილოსოფოსებს, განსაკუთრებით კარგად იყო ცნობილი პითაგორას წიგნთსაცავი.

გარდა ფილოსოფოსებისა, წიგნების შეგროვების სურვილი საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქის მმართველებსაც გაუჩნდათ. საუცხოო ბიბლიოთეკას ფლობდა კუნძულ სამოსის ტირანი, თავისა დროის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი პოლიკრატე. ათენის ტირან პისისტრატეს, როგორც ცნობილია, არც განათლება აკლდა და არც სიმდიდრე. მან სხვადასხვა ბერძნული ქალაქიდან იშვიათი წიგნები ითხოვა, ახლები გადაიღო, მრავალ გრაგნილს მოუყარა თავი და მთელი ეს ბრწყინვალე ბიბლიოთეკა ქალაქ ათენს გადასცა. წიგნები გადაწერილი იყო უმეტესად თიხის დაფებზე, ტყავზე, ნაწილობრივ — ეგვიპტურ პაპირუსზეც. პისისტრატეს უამრავი მონა ჰყავდა და სწორედ მათი შრომის შედეგად მრავლდებოდა ბიბლიოთეკის განძი.

V საუკუნეში საბერძნეთს დიდი უბედურება დაატყდა თავს. 480 წელს მას სპარსელები შეესივნენ. მომხდურთა შეჩერება შეუძლებელი იყო და ათენის მთელი მოსახლეობა ფლოტით კარგად დაცულ კუნძულ სალამინზე გადავიდა. სპარსელებმა დაიპყრეს ათენი. აკროპოლში (ათენის სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცენტრში, სადაც ხაზინა და სურათების გალერეა იყო მოთავსებული) მათ ხელში ჩაიგდეს უმდიდრესი ბიბლიოთეკა. რამდენიმე ხნის შემდეგ განთქმულმა სტრატეგოსმა თემისტოკლემ კუნძულ სალამინთან სპარსელებს სასტიკი მარცხი აეგმა და ათენი დაატოვებინა, მაგრამ დამპყრობლებმა მაინც მოასწრეს ბიბლიოთეკის სპარსეთში გატანა. საყურადღებოა, რომ ეს ბრწყინვალე ბიბლიოთეკა ათენელებს საბოლოოდ მაინც არ დაუკარგავთ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის იმპერია დაამხო. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისი ყოფილი სამფლობელოების დიდ ნაწილზე სელევკიდების თვალუწვდენელი სახელმწიფო წარმოიშვა. და აი, ერთ-ერთმა სელე-



ვკილა ნამდვილი მეფური უესტით ათენს მისი ბიბლიოთეკა შემატებული დაუბრუნა.

წიგნებზე ათენში სპარსეთიდან ბიბლიოთეკის დაბრუნებამდეც უზარმაზარი მოთხოვნილება იყო. ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე წიგნის სავაჭროები იყო გახსნილი, სადაც არა მარტო ხელნაწერებს ყიდღნენ, არამედ შეკვეთასაც ღებულობდნენ. თუ ვინმეს რაიმე ხელნაწერი სკირდებოდა, მოვაჭრენი მის სურვილს აუცილებლად შეასრულებდნენ — ასლს მონები ამზადებდნენ.

ამ პერიოდისათვის ყველაზე მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა პქონდა არისტოტელეს (384 - 322 წწ.). მადლიერმა მოწაფემ ალექსანდრე მაკედონელმა განთქმულ ფილოსოფოსს საკმაო თანხა გადასცა და არისტოტელემაც რამდენიმე ასეული ხელნაწერი შეიძინა, არისტოტელეს ყველა მეგობარსა თუ მოწაფეს შეეძლო ამ ხელნაწერებით ესარგებლა.

IV საუკუნეში ათენში წიგნის ნამდვილი „ბუმი“ იყო, რაც ერთი თავისებური ფაქტითაც დასტურდება. ბერძენია მეცნიერმა გრამატიკოსმა დემოფილემ გამოავეყყნა ნაშრომი — „შეძენის ლირსი წიგნების შესახებ“. ამ ნაშრომით დემოფილე მკითხველებს ურჩევდა რა უნდა წაეკითხათ და რა — არა.

ალექსანდრე მაკედონელის ყოფილი სახელმწიფოს არაერთ ქალაქში დიდი საზოგადო ბიბლიოთეკები შეიქმნა. ასეთი ბიბლიოთეკები არსებობდა ანტიოქიაში, პერგამონში, ეფესოში, სმირნაში, როდოსზე, მაგრამ ალექსანდრიის ბიბლიოთეკას მათგან ვერც ერთი ვერ შეედრებოდა.

332 - 331 წლებში ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც ეგვიპტე შემოიმტკიცა, ნილოსის დელტაში ახალ ქალაქს ჩაიყარა საძირკველი. ამ ქალაქს, რომელიც, დამპყრობლის ჩანაფიქრით, ეგვიპტეში მისი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, ალექსანდრია ეწოდა. ანტიკური სამყარო მაკედონელის მიერ დაარსებულ უამრავ ალექსანდრიას იცნობდა, მაგრამ ეგვიპტეში შექმნილმა დიდმა პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრმა მაინც ყველაზე მეტად გაითქვა სახელი. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მისი სახელმწიფოს ნანგრევებზე არაერთი ახალი პოლიტიკური გაერთიანება აღმოცენდა, მაგრამ მათ შორის უძლიერესი მაინც სამი იყო: სელევკიდების სამეფო აზიაში, მაკედონია საბერძნეთში და ეგვიპტე. ეგვიპტის ელინი-



სტური სამეფოს დამაარსებელმა, ალექსანდრეს ერთ - ერთმა საქართველოს თესო სარდალმა პტოლემაიოსმა (322 - 283) ალექსანდრია თავის სატახტო ქალაქად აქცია, გაზარდა და გაამშვერიერა.

პტოლემაიოს I სოტერი ალექსანდრეს სხვა მექვეიდრეებისაგან განათლებითა და დიდი პრაქტიკული ჰკუთ გამოირჩეოდა. ანტიგონ ცალთვალასაგან თუ სელევკოსისაგან განსხვავებით, იგი არ მიისწრაოდა ალექსანდრეს ოვალუწვდენელი იმპერიის აღდგენისაკენ, რადგან ამას ფუჭ ოცნებად თვლიდა. პტოლემაიოსმა ბევრი პრაქტიკული ღონისძიება განახორციელა ეგვიპტეში გასამაგრებლად და თანადათანობით კიდევაც მიაღწია მიზანს.

პტოლემაიოსი დიდად სწყალობდა მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. მათაც, ცხადია, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყოთ ეგვიპტის ელინისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის. პტოლემაიოსს მხარში ამოუდგა ცნობილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე დემეტრიოს ფალერელი. აღრე, 317 - 307 წლებში, იგი ათენს ედგა სათავეში, როგორც მაკედონიის მმართველ კასანდრეს ნაცვალი. მას შემდეგ, რაც ანტიგონოს ცალთვალამ და მისმა შვილმა დემეტრიოს პოლიორქეტოსმა დემეტრიოსი ათენიდან გააძევეს, იგი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა.

დემეტრიოს ფალერელი ეგვიპტეში, ეტყობა, კასანდრეს სიკედილის (298 წ.) შემდეგ ჩავიდა. მან პტოლემაიოსს შესთავაზა დიდი სამეცნიერო ცენტრის დაარსება, რომელსაც ბერძნული ტრადიციების მიხედვით მუზეიონი დაერქვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეცნიერებს მუზები მფარველობდნენ. მეფე პტოლემაიოსის მოწოდებას არაერთო ცნობილი ბერძნი მეცნიერი გამოეხმაურა და ალექსანდრიისაკენ გაეშურა. მათ შორის იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ექიმები ერასისტრატე და პეროფილე, რომელთაც ალექსანდრიაში დიდად შეუწყვეს ხელი სამედიცინო მეცნიერების განვითარებას. ძველი მწერლები იმასაც მოგვითხრობენ, რომ ეგვიპტელი ხელისუფალნი პერიფილეს გადასცემდნენ ბოროტმოქმედებსა და დამნაშავეებს, რომლებზეც იგი ცდებს აწარმოებდა. ალექსანდრიაში აღმოჩნდა განთქმული მათემატიკოსი ევკლიდე, რომელმაც თითქოს პტოლემაიოს სოტერს განუცხადა: „მათემატიკაში მეფეთათვის რაიმე საგანგებო

გზა არ არსებობს“. ერთ - ერთი პირველი ჩამოვიდა ეგვიპტის დეფუ-
ქალაქში ფილოლოგი თილეტასი, კუნძულ კოსის მკვიდრი, რომე-
ლიც მეფემ ტახტის მემკვიდრის აღმზრდელად დანიშნა. გვალიშვილი

ალექსანდრიის მუზეიონი თავისი უზარმაზარი ბიბლიოთეკით სა-
მეცნიერო აკადემიების შორეული წინამორბედი იყო. მას ბაძვდნენ
რომესა და ბიზანტიაში, შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში. ალექსა-
ნდრიაში ჩამოსული მეცნიერები უფასო ბინას იღებდნენ, მათ ყო-
ველგვარი გადასახადებისაგან ათავისუფლებდნენ, ბიბლიოთეკაში
კარგ თანმდებობებშე ნიშნავდნენ. რჩებოდა ერთადერთი, მაგრამ
მნიშვნელოვანი „გადასახადი“ — ყველაფრით უზრუნველყოფილი
მეცნიერი, მეფის მეხოტბე უნდა გამხდარიყო. ასეთ მეხოტბეებზე,
რომელთაც „მუზების გალიებში“ გულუხვად „კვებავდნენ“, ძე-
ლი მწერლები დიდი დაცინებით წერდნენ. პოეტმა ტიმონმა მათ „სა-
ქათმები მყოფი კარგად ნასუქი ქათმები“ უწოდა.

„მუზების გალიაში“, თუმცა კი თავის ნებით, აღმოჩნდა ცნობილი
პოეტი თეოფრიტეც. იგი სიცილის ქალაქ სირაკუზიდან იყო, კუნ-
ძულ კოსზე სწავლის დროს გაიცნო და დაუახლოვდა მომავალ მე-
ფე პტოლემაიოს სოტერს. სწავლის დამთავრების შემდეგ, როცა
მშობლიურ სირაკუზში დაბრუნდა, მან მშვენიერი ლექსებით მიმარ-
თა იქაურ მეფე ჰიერონ II - ს. ამ ლექსებში ნათქვამი იყო, რომ სა-
ჭიროა პოეტებს ხელი შეუწყონ, ისინი კი, თავის მხრივ, არაერთ
ძვირფას ნაწარმოებს შეუქმნიან. მაგრამ ჰიერონ II სულაც არ დაინ-
ტერესებულა თეოფრიტეს ლექსებით. ამიტომ პოეტმა სხვებს მიბაძა
და ალექსანდრიაში წავიდა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მესვეურებმა დიდი საქმე გააკეთეს.
ამ დროს ბერძნული ლიტერატურის არაერთი თვალსაჩინო ძეგლი
უკვე დაკარგული იყო (ევრიპიდეს ყველა ტრაგედიაც კი ვერ გადარ-
ჩია), ამიტომ გადაწყდა ყოველივე იმის თავმოყრა და დაცვა, რისი
ხსნაც ჭერ კიდევ შეიძლებოდა. შეგროვდა ელინური პოეზიისა და
პროზის მრავალი ძეგლი. აკად. ს. ყაუხეჩიშვილი წერდა: „თუ ჩვენ
დღეს მოვცემოვება პომეროსის, ესტილეს, არისტოფანეს, საფოს, ალ-
კეოსის, პერილოტეს, თუკიდიდეს და სხვათა ნაწარმოებების ტექ-
სტები, ამათ გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ალექსან-
დრიის ბიბლიოთეკის დამარსებელთ და მის მუშაკებს“. |

უნდა ითქვას, რომ მეფე პტოლემაიოს I მეცნიერებს ყოველი /
შერიც ეხმარებოდა. სწავლული მეფე თვით იყო საინტერესო ცრონა /
ზაული ნაშრომის ავტორი. პტოლემაიოსმა, რომელიც ალექსანდრიაში გადა
მაკედონელს თან ახლდა აზიაში ლაშქრობისას, შემდეგ აღწერა კი-
ღეც მისი ომები და საქმიანობა. მას ხელობრივი ბრწყინვალე წყაროები
ჰქონდა, პირველ ყოვლისა — „ეფემერიდები“ (დღიურები), რომელ-
საც სისტემატურად აღეცნდნენ მაკედონიელი მეფის მდივნები. და-
უმატოთ ამას სხვა თხზულებანი, ვთქვათ, ისტორიკოს კალისთენეს
წიგნები, თვით პტოლემაიოსის მდიდარი პირადი შთაბეჭდილებები
და აღვილი წარმოსადგენი იქნება, როგორი მნიშვნელობისა უნდა
ყოფილიყო ეგვიპტის მეფის ნაშრომი. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი და-
იკარგა, მაგრამ არიანეს „ალექსანდრეს ანაბასისი“ მიხედვით მანც
შეიძლება მასზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას. პტოლემაიო-
სის დიდ შორსმცვრეტელობასა და ტაქტზე მივითოთებს ის გარე-
მოებაც. რომ მან თავისი სახელმწიფოს მფარველად ალექსანდრე
მაკედონელი გამოაცხადა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პტოლემაიოს-
მხოლოდ ეგვიპტის მმართველი იყო და ფორმალურად მაკედონიის
მეუკებსა (გონებასუსტი ფილიპე III და ძუძუთა ალექსანდრე IV,
დამპყრობლის ვაჟი) და რეგენტ პერდიკას ემორჩილებოდა, იგი არ
დაეთანხმა ცენტრალური მთავრობის გადაშეცვეტილებას ალექსანდრე
მაკედონელის ქალაქ ეგიში (მაკედონია) დაყრძალვის შესახებ. პტო-
ლემაიოსი გამოუხდა მაკედონელთა რაზმს, რომლებიც მაკედონელს
ბაბილონიდან ეგიში მიასვენებდნენ და ალექსანდრე მემფისში და-
საფლავა. მოვიანებით პტოლემაიოსმა ნეშტი მემფისიდან ალექსან-
დრიაში გადაიტანა და ე. წ. „სემბი“ - ში („აკლდამა“) მოათავსა. ვას
შემდეგ აკლდამასთან საგანგებოდ დანიშნული ქურუმები იღვნენ.
ქურუმები წარმოშობით მაკედონიელი არისტოკრატიის წრეებს მიე-
კუთვნებოდნენ, ზოგი მათგანი კი — თვით პტოლემაიოსების გვარე-
ულობასაც. ყველა უცხოელს, ვინც კი ალექსანდრიაში ჩადიოდა,
აკლდამა აუცილებლად უნდა მოენახულებინა. ძვ. წ. 30 წელს ალე-
ქსანდრია რომაელებმა დაიპყრეს, ალექსანდრეს საფლავს ოქტავი-
ანე ევგუსტუსი ეწვია. დიონ კასიუსის ცნობით, რომელიც უფრო ლე-
გენდას წააგავს, მან უხერხული მოძრაობით ცხვირი დაუზიანა მუ-
მიას. ამის შემდეგ არავის არაფერი სმენია ალექსანდრეს საფლავის



შესახებ, მისი ყოველგვარი კვალი გაქრა, თუმცა თანამედროვე კულტურული ძეგლი დაუდგინდეს.

პტოლემაიოს I-ის აქტიური მხარდაჭერით მუზეიონის პირველმა გამგებელმა დემეტრიოს ფალერელმა 200 ათასზე მეტ ხელნაწერ გრავნილს მოუყარა თავი. მისი მემკვიდრე პტოლემაიოს II ფილადელფოსი, თავის მხრივ, ბიბლიოთეკას ყურადღებას არ იქლებდა. გადმოცემით, სწორედ ამ მეფემ შეიძინა არისტოტელეს მთელი ბიბლიოთეკა და იგი ალექსანდრიაში გადაიტანა. თუმცა, ზოგი ანტიკური მწერლის აზრით, არისტოტელეს წიგნები თეოფრასტეს მთელ ბიბლიოთეკასთან ერთად აპელიკონ თეოსელის ხელში გადავიდა. საბოლოოდ ეს ბიბლიოთეკა დარჩა სულას, რომელმაც საბერძნეთში ლაშქრობის შემდეგ რომში გადაიტანა იგი.

პტოლემაიოს II - ის დროს სულ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში 490 ათასი ხელნაწერი გრავნილი იყო, ხოლო მის ერთ განცოცილებაში — სერაპეიონში — 42 800. სერაპეიონის ძველი მწერლები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის „შვილს“ უწოდებდნენ, რადგან მის ფონდში ძირითადად ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ასლები ინახებოდა. მიჩნეულია, რომ სწორედ სერაპეიონს შეემატა პერგამის განთქმული ბიბლიოთეკის წიგნების ძირითადი ნაწილი. ისინი რომაელმა სარდალმა მარჯუს ანტონიუსმა თავის მეუღლეს, ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას აჩუქა. ამ საჩუქარში, ზოგიერთი ცნობით, 200 ათასი გრავნილი შედიოდა.

ალექსანდრიის აუგვების დროს ბიბლიოთეკის ფონდში 700 - 800 ათასი ტექსტი იყო მსოფლიოს მრავალ ენაზე. ეგვიპტის მეფეები არაფერს ერიდებოდნენ მის შესაცებად. ერთხელ, როცა ათენში შიმშილი დაიწყო, პტოლემაიოს III ევერგეტე დათანხმდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიყყიდა ბერძნებისათვის პური, თუ ისინი მას ძეირფას ხელნაწერებს, ესქილეს, სოფოკლესა და ეკრიპიდეს ტრაგედიებს გადასცემდნენ დროებითი სარგებლობისათვის. ათენელები დათანხმდნენ, ოლონდ ბედ უზარმაზარი თანხა, 15 ტალანტი მოითხოვეს. პტოლემაიოს მესამემ მაინც მოატყუა ათენელები, ბე დაუტოვა, მაგრამ ხელნაწერები პლექსანდრიის ბიბლიოთეკას გადასცა. ამ ხელნაწერების ნაცვლად ათენელებს საუკეთესო ალექსანდრიელი ოსტატების მიერ გადაღებული პირები დაუბრუნეს. როცა ქალაქის ნავ-



სადგურში უცხოელები ჩაღიოდნენ, ალექსანდრიაში არავის უშემოსილება დნენ, ვიდრე ჩამოტანილ წიგნებს კარგად არ გასინჯავდნენ. მუჭათა წიგნებს მათი ბიბლიოთეკისათვის რამე ფასი ჰქონდა, მოხელეები ჩამოსულებს წიგნებს ჩამოართმევდნენ და რამდენიმე ხნის შემდეგ მხოლოდ ასლებს უბრუნებდნენ. ასურბანიფალისა არ იყოს, ეგვიპტის მეფეებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში საგანგებო ემისრებს გზავნიდნენ და დიდძალ ხელნაწერს იძენდნენ. ასე იზრდებოდა და მდიდრდებოდა ალექსანდრის ბიბლიოთეკა. მან შორს გაუთქვა სახელი თავის ქალაქს, რომელიც მოსახლეობის რიცხვით (დაახლოებით ერთი მილიონი ძვ. წ. პირველი საუკუნისათვის) პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში, თუმცა მოვაინებით ამ მხრივ რომა გადააჭარბა. სახელმწიფოს ხელისუფალნი და თვით ქალაქის მცხოვრებნა ალექსანდრიაშე მეტად მაღალი აზრისანი იყვნენ. ერთ-ერთ პაპირუსში ლპარაკია იმის შესახებ, რომ ალექსანდრია მარტო ქალაქი კი არ არის, არამედ მთელი სამყაროა და სხვა ქალაქები (მთელი მსოფლიოს გასშტაბით!) მხოლოდ მის სოფლებად უნდა ჩაითვალონო.

ცნობილი ისტორიკოსის ულრიხ ვილკენის აზრით, მუშეიონში მუშაობას სხვა ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ვთქვათ, ათენის სამეცნიერო ცენტრში. ათენის აკადემია უფრო სასწავლო დაწესებულება იყო, მუშეიონი კი თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და რამდენადმე უნივერსიტეტსაც ჰქავდა.

მუშეიონს სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული მაღალი რანგის ქურუმი. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, მას დიდი ტატი ჰყავდა, მთავარი ბიბლიოთეკარის ხელმძღვანელობით. საყურადღებოა, რომ მთავარი ბიბლიოთეკარი ერთდროულად ტატის მემკვიდრის აღმზრდელიც გახლდათ. სხვადასხვა დროს ეს ფრიად საპატიო თანამდებობა ეკავათ ზენოდოტე ეფესელს, აპოლონიოს როდოსელს, კალიმაქეს, ერატოსთენე კირენელს, არისტოფანე ბიზანტიელს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ძირითადად ბერძენი პოეტები და მწერლები იყვნენ. მათი მოვალეობები მკვეთრად იყო განსაზღვრული: ზოგი ახალ ხელნაწერებს იღწერდა, ზოგი მანუსკრიპტებს სწავლობდა, ზოგი ამ წიგნების ასლს იღებდა, რომელთა შეძენა ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელი იყო. გრავნილებს საგანგებოდ იცავდნენ ნესტისაგან და წმენდდნენ. ზუსტად აღწერილი გრავნილები პორიზონტალურ თაროებზე ინახებოდა.

ბიბლიოთეკა მდიდრულად იყო მორთული. აქ იდგა მრავალ
მშენებელი ქანდაკება, ეკიდა მწერლებისა და მეცნიერების სურათ /
ბი. საკითხეველო დარბაზებთან ერთად ხელნაწერთა გადამწერლებული
ოვის თუ დამხარისხებელთათვის განკუთვნილი იყო არაერთი ოთა-
ხი და ა. შ.

მუზეიონსა და ბიბლიოთეკაში მომუშავე სწავლულებმა დიღი
კვალი დატოვეს მეცნიერებისა და ლიტერატურის მრავალ დარგში.
მათ საფუძვლიანად შეისწავლეს ჰომეროსის, ათენელი პოეტების.
ტრაგიკოსებისა და კომედიოგრაფების შემოქმედება. კალიმაქი კვი-
რინელმა, რომელსაც ბიბლიოთეკარის თანამდებობა ეკავა, შეადგი-
ნა ე. წ. „პინაკები“ („ფირფიტები“) 120 წიგნიდ. ეს იყო ალექსან-
დრიის ბიბლიოთეკის წიგნთა მეცნიერული კატალოგი. მმ კატალოგ-
ში მოცემული იყო მწერლების კლასიფიკაცია (პოეტები, ისტორი-
კოსები, ფილოსოფოსები, ორატორები, კანონმდებლები), ყველა
საჭირო ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობა, ძირითადი
ლიტერატურულ - კრიტიკული ცნობები და ა. შ.

ბევრი რამ გაკეთდა ისტორიასა და გეოგრაფიაში. ერატოსთენე¹,
რომელიც კარგა ხანს იყო ბიბლიოთეკის მესავეური, დაწერა ისტო-
რიული ნაშრომი ტროას ომიდან ალექსანდრე მაკედონელამდე. იგი
შეეცადა ყველა მოვლენის ზუსტი თარიღი დაედგინა და ამისათვის
სპარტელ მეფეთა სიები და ოლიმპიური თამაშების ჩანაწერები გა-
მოიყენა. ერატოსთენემ დაასკვნა, რომ ჰომეროსის გეოგრაფიული
წარმოდგენები უფრო ვიწროც არის და უფრო ბუნდოვანიც, ვიდრე
ჰესიოდესი და ამიტომაც ამტკიცებდა. ჰომეროსი ჰესიოდეზე უფრო
ძლიერ ცხოვრობდათ. ერატოსთენემ მრავალი წიგნის შესწავლის შემ-
დეგ შექმნა „დედამიწის აღწერა“.

მუზეიონში მომუშავე ექიმებმა პულსის მნიშვნელობა დაადგი-
ნეს. ისინი ცხოველებზე აწარმოებდნენ ცდებს. სწორედ მუზეიონ-
ში შეიქმნა არაერთი ახალი რეცეპტი და მანამდე სრულიად უცნობი
ბევრი სამედიცინო ხელსაწყო. პტოლემაიოს მეორემ მუზეიონში
სამუშაოდ მიიწვია არისტოტელეს მოწაფე თეოფრასტე, რომელმაც
გამოაქვეყნა დიდი გამოკვლევა მცენარეების შესახებ. თეოფრასტეს
ალექსანდრიაში ორი ათასი მოწაფე პყოლია, რომელთაც იგი ასე
მიმართავდა — „ან მეცნიერებაზე საერთოდ აიღეთ ხელი, რადგან იგი

უზარმაშარ მუშაობას მოითხოვს, ანდა მთლიანად მის სამსახურს მო-
უძღვენით თავი და მაშინ დიდ სახელს მოიხვეჭთ".



ალექსანდრიაში ბევრი განთქმული მათემატიკოსი და ასტრონომი მი მოღვაწეობდა. სწორედ აქ შეიქმნა ეკლიდეს კლასიკური ნაძრო-
მი გეომეტრიაში — „ელემენტები“, რომელმაც თავისი მნიშვნელო-
ბა მრავალი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა. ეკლიდე მარტო
დიდი მათემატიკოსი არა ყოფილა, იგი წერდა ასტრონომიულ გა-
მოკვლევებს, წიგნებს მუსიკის შესახებ. გადმოცემით, ერთმა მოწა-
ფერ დიდ მეცნიერს ჰკითხა, რას შევიძენ ეკლიდეს წიგნების კით-
ხვითო. მეცნიერმა მონას დაუძახა და უბრძანა, ამ ახალგაზრდისა-
თვის ცოტაოდენი ხურდა მიეცა, თუკი იგი მეცნიერებას მხოლოდ
ფულის შეძენის სურვილით ეწაფებოდა.

ალექსანდრიის მუზეიონსა და ბიბლიოთეკას შემდეგში ბევრი
თავგადასავალი გადახდათ. პტოლემაიოს ევერგეტის დროს ისინი
დროებით დახურეს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი აღდგა. ძვ. წ. 48
წელს ალექსანდრიაში მცირე ძალებით ჩამოვიდა გაიუს იულიუს
ცეზარი, რომელიც თავის მტერს გნეუს პომპეუს მაგნუსს მოსდევ-
და. პომპეუსის დაღუპვის შემდეგ ქალაქში მღელვარება დაიწყო,
ხოლო ალექსანდრიიდებმა ცეზარს ალყა შემოარტყეს და იგი სი-
კვდილს ძლივს გადარჩა. ფიქრობდნენ, რომ არეულობის ჯროს თი-
თქოს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა დაზარალდა, მაგრამ ეს ცნობე-
ბი სარწმუნო არ არის. ცნობილი მეცნიერი ტარნი სამართლიანად
ვარაუდობს, რომ ცეზარმა დაწვა არა ბიბლიოთეკა, არამედ ნავსა-
დვურში გასაგზავნად მომზადებული წიგნები. ახ. წ. 273 წელს კი
მუზეიონი დიდად დაზარალდა. რომის იმპერატორ ავრელიანეს პა-
ლმირის მმართველი ზენობია აუგანედა, ეგვიპტეში კი ძალაუფლე-
ბა ხელთ იგდეს ამ დედოფლის მომხრეებმა, რომელთაც მდიდარი
ვაჭარი ფირმი ხელმძღვანელობდა. ავრელიანემ ჯერ პალმირა აი-
ღო, შემდეგ კი ალექსანდრიაც, სადაც ხანძარი გაჩნდა და ბიბლი-
ოთეკის დიდი ნაწილი დაიღუპა. ამის შემდეგ იგი მხოლოდ ნაწი-
ლობრივ აღადგინეს; სამეცნიერო ცენტრმა სერაპეიონში გადაინა-
ცვლა, მუზეიონი კი სრულიად დაკნინდა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ
დაიწყო კერძოაყვანის მცემელთა სასტიკი დევნა, მათი ადათ - წესე-



ბის აკრძალვა, ტაძრების დანგრევა. 389 წელს ალექსანდრი მომართა კოპისი კირილე ფანატიკოსების ბრძოსთან ერთად სერაპიშჩურები დარში შეიქრა და გაანადგურა იგი. ამ დროს დაიღუპა ბიბლიოთეკის წიგნების დიდი ნაწილი, რომელიც ტაძრის მიწისქვეშა ნაწილში იყო მოთავსებული. კირილეს ბრძანებით, „წარმართთა წიგნები“ დაწვეს, რადგანაც ისინი ქრისტიანულ მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდნენ. ბიბლიოთეკა საბოლოოდ ორაბებმა მოსპეს 642 წელს. ალექსანდრის აღების შემდეგ ხალიფა ომარმა ბრძანება გასცა, რომ ამ წიგნებით, რაც ადრე განადგურებას გადაურჩა, აბანოები გაეხურებინათ.

ასე დასრულდა ისტორია უდიდესი წიგნთსაცავისა, რომელმაც თითქმის ათას წელს იარსება.

ათანოდან რომამდე

გადმოცემის თანხმად, ძვ. წ. VI საუკუნეში ატიკაში ჰომეროსის პოემები ჩაიწერეს. ამ დროს მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა, რის გამოც ათენელებს გაუჩნდათ მოთხოვნილება, დიდი პოეტის ქმნილებები საყუთრივ ჰქონდათ. უკვე არაერთი ათენელი იდგენდა პირად ბიბლიოთეკას, ხოლო დიდი საჯარო ბიბლიოთეკების შექმნის ინიციატორად ათენის ტირან პისისტრატეს მიიჩნევენ.

V საუკუნეში ბერძნული კულტურა აყვავდა და გაიფურჩქნა. ამ დროს მნიშვნელოვანი წიგნთსაცავები შეიქმნა არა მარტო ათენში, არამედ სხვა ქალაქებშიც. VI საუკუნეში არისტოტელემ, რომელსაც მისმა მოწაფემ ალექსანდრე მაკედონელმა დიდი თანხა მისცა, სასწავლო ცენტრთან ბრწყინვალე ბიბლიოთეკა შექმნა. მის სახელს უკავშირებენ დიდი სახელმწიფო ბიბლიოთეკის დაარსებასაც. სტრაბონი წერს, რომ არისტოტელე იყო „პირველი, რომელმაც წიგნები შეაგროვა“. რა თქმა უნდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ მანამდე მომხდარიყო, ვიდრე არისტოტელესა და მის მოწაფეს შორის დიდი კონფლიქტი წარმოიშობოდა. ალექსანდრეს აღმოსავლური პოლიტიკის მიუღებლობის გამო სიკვდილით დაისაჭა არისტოტელეს დის-



წული, ისტორიკოსი ქალისთენე (რომლის აზრები დიდი ფილოსოფიული ფოსის შეხედულებებს ემთხვეოდა). ასეთ ვითარებაში, რაღა შექმნა უნდა, არისტოტელესადმი რაიმე მატერიალური დახმარების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

სტრაბონს ერთი საინტერესო ცნობაც აქვს იმის თაობაზე, რომ არისტოტელემ ასწავლა „ეგვიპტის მეფეებს ბიბლიოთეკის შექმნა“. როგორ უნდა გავიგოთ ეს ცნობა? თვით არისტოტელე ეგვიპტეში არასოდეს ყოფილა. ეტყობა, სტრაბონი იმას გულისხმობს, რომ არისტოტელემ, რომელიც მაკედონიაში ყმაწვილ ალექსანდრესა და მასთან ერთად ეგვიპტის მომავალ მეფეს პტოლემაიოსს ამეცადინებდა, ჩაუნერგა მათ წიგნისადმი დიდი სიყვარული. მომავალში, როგორც ცნობილია, სწორედ პტოლემაიოს პირველმა ჩაუყარა საფუძველი ალექსანდრიის ბიბლიოთეკას. იგი ახლოს იყო ბერძნ სწავლულ თეოფრასტონაც, ვისაც არისტოტელემ თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა დაუტოვა.

1935 წელს ფრანგმა მეცნიერმა ლ. რობერმა გამოაქვეყნა ფრიად საყურადღებო დოკუმენტი, სადაც ლაპარაკია ძვ. წ. II საუკუნეში კუნძულ კოსზე ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ეს კუნძული ბერძნულ სამყაროში ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც სამედიცინო მეცნიერების ერთ - ერთი ცენტრი. მდენად ძნელი დასაგერებელია, რომ ბიბლიოთეკა კოსზე ასე გვიან დაარსდა. უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ადრინდელი წიგნთსაცავი რაიმე სტიქიური უბედურების შედეგად განადგურდა, II ს. დასაწყისში კი დაისვა საკითხი მისი აღდგენის შესახებ. საყურადღებოა, რომ შეძლებული მოქალაქეები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ბიბლიოთეკის შექმნის იდეას. მარმარილოს სტელაზე წერია კიდეც, თუ რომელმა მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა ამ კეთილშობილურ საქმეში. ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის დიოკლეს, პოლოდორეს ძეს და მის ვაჟ აპოლოდორეს სწორედ მათ აუშენებიათ ბიბლიოთეკის შენობა და მისი ფონდისთვის 100 წიგნიც გადაუციათ.

არა მარტო კოსი, არამედ ეფესო, სმირნა და სხვა ქალაქებიც ბიბლიოთეკისათვის სპეციალურ შენობებს აგებდნენ. საყურადღებოა, რომ ბიბლიოთეკებს თავიდანვე საგანგებო არქიტექტურა ჰქონდათ, ისინი სხვა შენობებს არა ჰგავდნენ. ელინისტური ხანის მეც-

ნივრები მატტო შენობების საკითხს როდი სწავლობდნენ, არამედ
იმასაც, როგორ უნდა დაეკომპლექტებინათ ბიბლიოთეკები, როგორ
დაელაგებინათ წიგნები. მაკედონიის ქალაქ კასანდრიას მკვიდრმა
არტემონტმა (II ს. ან I ს. ძვ. წ.) დაწერა სპეციალური შრომა —
„წიგნების შეგროვების შესახებ“.

ელინისტურ სამყაროში ერთხანს თვალსაჩინო როლს ასრულე-
ბდა პერგამის სამეფო (მცირე აზიაში). ამ სამეფოს გამოჩენილი მე-
ფე ევმენ II - ის (197 - 158 წ. წ. ძვ. წ.) ბრძანებით შეიქმნა პერგა-
მის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა, რომელმაც მოკლე დროში ყვე-
ლა წიგნთა ცავს გადააჭარბა, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გარდა.
პლუტარქეს ცნობით, აქ 200 ათასი წიგნი ინახებოდა.

საყურადღებოა, რომ ძალიან მალე ეგვიპტის მეფეებმა პერგამის
ბიბლიოთეკას შურის თვალით დაუწყეს ცქერა და გაუგონარი რამ
ჩიაიღინეს — აკრალეს... ეგვიპტიდან პერგამში პაპირუსის ვარანა!
ახლა რაღაზე დაწერენო — ფიქრობდნენ ალექსანდრიის ბიბლიოთე-
კის მესვეურნი. პერგამელები ერთხანს მართლაც გისაჭირში ჩავარ-
დნენ, მაგრამ გამოსავალი გამონახეს — ტყავის დამუშავების გზით
შექმნეს პერგამენტი!

უნდა ვითიქროთ, რომ პერგამის ბიბლიოთეკაში ბერძნული მხა-
ტვრული ლიტერატურის არაერთი ძვირფასი ჰეგლი ინახებოდა. ამა-
სთან, როგორც მეცნიერები მიიჩნევდნენ, ყველაზე მეტი რაოდენო-
ბით მაინც სამედიცინო წიგნები უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ
პერგამი ითვლებოდა ბერძნული მედიცინის ცენტრად. ბიბლიოთე-
კას მოზრდილი შენობა ეკავა, რომელიც თავისი მხრივ, წიგნთა ცა-
ვისა და სამკითხველო დარბაზებისაგან შედგებოდა. მეფეები ბიბ-
ლიოთეკას დიდ ყურადღებას აქცევდნენ და სახსრებს არ ზოგადდნენ.
ბიბლიოთეკას საქმიანდ მოზრდილი შტატი ჰყავდა. ცხადია, ამ მხრივ
პერგამის ბიბლიოთეკა ალექსანდრიის მუშეიონს ვერ შეედრებოდა;
მაგრამ აქაც ჩქეფდა სამეცნიერო მუშაობა. მთარგმნელები ბიბლიო-
თეკას სისტემატურად ამდიდრებდნენ უცხო ენებიდან გადმოღებუ-
ლი ტექსტებით. აქვე მუშაობდა არაერთი გადამწერი. კრატეს მი-
ლოსელმა, რომლის გრამატიკოსების სკოლა ბიბლიოთეკასთან არ-
სებობდა, წიგნადი ფონდის კატალოგი შეადგინა. შემონახულია ცნო-
ბილი რომაელი ისტორიკოსის გაიუს სვეტონიუსის საყურადღებო

ცნობა („გრამატიკოსებისა და რიტორების შესახებ“, 2, 11), რომ სწორედ კრატესმა, რომელიც პერგამის მეფე ატალოსმა რომში ელჩად გააგზავნა, ხელი შეუწყო ამ ქალაქში ბიბლიოთეკების დაფუძნებას.

ბერძნულ სახელმწიფოებში დიდ წიგნთსაცავებთან ერთად არა-ერთი დარგობრივი ბიბლიოთეკაც ყოფილა — ძირითადად გიმნასიებთან. ასეთები იყო როდოსში, კორინთოში, დელფოში და რა თქმა უნდა, ათენში. შემონახულია როდოსის გიმნასიის ბიბლიოთეკის კატალოგი.

როდოსელი მოქალაქეები ბიბლიოთეკას წიგნებს სწირავდნენ. რესპუბლიკის მესვეურები კი დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ ასეთ მოქალაქეებს, მათი სახელები სპეციალურ საპატიო სიებში შეჰქონდათ.

ელინისტური პერიოდის ათენში ხუთი ცნობილი გიმნასია იყო. მათ შორის პტოლემაიონისას და დიოგენეს გიმნასიები შედარებით მოვიანებით დაარსდა—ძვ. წ. III საუკუნეში. ჩვენამდე მოღწეულია დადგენილებები იმის შესახებ, რომ ახალგაზრდები, როგორც კი გიმნასიას დაამთავრებენ, გალდებული არიან მას წიგნები შესწირონ. მართლაც გიმნასიამ, რომელიც ათენში ეგვიპტის მეფემ პტოლემაიოს II ფილადელფოსმა დააარსა II ს. ბოლოსა და I ს. დასაწყისში, ყოველ გამოშვებისას კურსდამთავრებულთაგან საჩუქრად მიიღო 100 გრაგნილი. გიმნასიების ბიბლიოთეკების ფონდის გამდიდრება დიდმნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა. ამ დროს ათენს სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება უკვე აღარ გააჩნდა, მაგრამ დიდად ზრუნავდა თავის კულტურულ და სამეცნიერო აკტორიტეტზე, რაც მან საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნა კიდეც.

ზოგიერთი საყურადღებო ცნობა შემოგვრჩა კუნძულ თეოსის გიმნასიის ბიბლიოთეკის შესახებაც. ერთ წარწერაში გვხვდება ციფრი 185. ტექსტი ცუდად არის შემონახული და ძნელდება იმის ვაჯრევება, ეს წიგნების საერთო რაოდენობაა თუ ის გრაგნილებია გადარჩეული, რომლებიც შეკეთებას მოითხოვენ. ეტყობა ლაპარაკი მაინც შესაკეთებელ წიგნებზე უნდა იყოს. თეოსზე შემონახულ მარმარილოს ფილაზე, რომელიც გიმნასიის ნანგრევებთან აღმოჩნდა,



მკითხველებს ურჩევენ წიგნები წესიერად, სახელწოდებების მიხედვა
და ით დაალაგონ, არ აურდა ურიონ ისინი.

ელინისტურ სამყაროში უამრავი ბიბლიოფილი იყო. ის პირები, რომლებიც პირად ბიბლიოთეკებს ადგენდნენ, ალბათ, ათასობით იყვნენ. ხელნაწერები მეტად ძვირად ფასობდა, მაგრამ მათ შეძენას მაინც ბევრი ცდილობდა. როცა თეოფრასტეს ბიბლიოთეკა ჯერ ხელეოს ერგო, შემდეგ კი მის უმეცარ მემკვიდრეებს, ისინი წიგნებს სარდაფებში ინახავდნენ, რომ, როცა დრო დადგებოდა, დიღ ფასად გაეყიდათ. ეგვიპტეში წიგნებით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო გაბატონებული ფენები — ბერძნები, არამედ აღვილობრივი მოსახლეობაც. რა თქმა უნდა, დიღმა ბერძნულმა კულტურამ მსოფლიო მრავალ ხალხზე მოახდინა უაღრესად კეთილმყოფელი ზეგავლენა. ბერძნებს წიგნები მოგზაურობაშიც მიჰქონდათ, ხშირად საფლავებშიც კი ატანდნენ მიცვალებულებს.

ბერძენ ბიბლიოფილებს ღირსეული მემკვიდრეები გამოუჩნდათ რომაელთა სახით, რომლებსაც დამორჩილებული ქვეყნებიდან დიდალი ალათი გაჰქინდათ. ამავე დროს, რომაელები ეზიარენ აღმოსავლეთის ხალხებისა და ბერძნების მდიდარ კულტურას, რომელმაც მათზე ძალწე დიდი ზეგავლენა მოახდინა. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ სამხედრო ნადავლის სახით რომში აღმოჩნდა აღმოსავლეთის წიგნთსაცავებიდან გატაცებული დიდი განძი.

გაიუს იულიუს კეიისარი (100 - 44 წ. წ.) როგორც ცნობილია, თვით იყო მწერალი და ორატორი. მას უნდოდა რომში ბერძნული და ლათინური ბიბლიოთეკების დაარსება. რა თქმა უნდა, ამ საქმეს სათანადო მოთავეც სჭირდებოდა. ასეთ პიროვნებად კეიისარმა მიიჩნია უნივერსალური განათლების მქონე რომაელი მეცნიერი მარკუს ტერენუსიუს ვარონი. სამოქალაქო ომში ვარონი კეიისრის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ კეიისარმა იგი მაინც დაინდო მისი დიდი მეცნიერული ცოდნის გამო. ვარონი წერდა სამართლის, ხელოვნების, ლიტერატურის, გრამატიკისა და სხვა საკითხებზე. ტრაქტატში „სახელმწიფოს შესახებ“ მან ერთი სპეციალური თავი ბიბლიოთეკებს მიუძღვნა.

კეიისრის გარდაცვალების შემდეგ ძ. წ. 39 წ. რომში გაიხსნა აღმოსავლური ყაიდის პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის ორგა-

ნიშატორი იყო ცნობილი რომაელი მოღვაწე აზინიუს პოლიონიუს და სამოქალაქო ომში კეისრის მხარეზე გამოვიდა, შემდგომ ოქტავიანეს თანამებრძოლი გახდა, სახელი გაითქვა, როგორც მწერალმა და ორატორმა.

ძალიან მოკლე ხაში ბიბლიოთეკები ისე მომრავლდა, რომ იმპერატორმა კლავდიუსმა (41–54 წწ.) სპეციალური მოხელეეც (პროკურატორი) კი დანიშნა, რომელიც სათავეში ედგა წიგნთსაცავების ცენტრალურ სამმართველოს. პროკურატორი ძალიან ხშირად მწერლების წრიდან ინიშნებოდა. ბიბლიოთეკებთან დიდი სახელოსნოებიც გაჩნდა, სადაც გადამწერლები წიგნებს ამრავლებდნენ. ამავე დროს რომსა და იმპერიის სხვა ქალაქებში წიგნებით მოვაჭრე მრავალი სპეციალური მაღაზია გაიხსნა. რომაელებს საშუალება მიეცათ სურვილისამებრ შეეძინათ წიგნები და პირადი ბიბლიოთეკაც ჰქონდათ, კარადებში ცილინდრის ფორმის ფუტლიარი იყო, საიდანაც ჯოხი მოჩანდა. ჯოხის თავზე მიწებებული იყო წიგნის სათაური, ამავე ჯოხზე კი პაპირუსს ახვევდნენ. მკითხველი თანდათან ხსნიდა ამ პაპირუსს, შინაარსს ეცნობოდა და ისევ ახვევდა მას. პაპირუსის გარდა, რომაელები იყენებდნენ პერგამენტსაც (ასეთი წიგნი გარეგნულად ახლანდებს ჰგავდა).

წიგნების გამრავლებისა და გავრცელების საქმე რომში ძალიან მაღე განვითარდა. თვით რომაული ლიტერატურა მართლაც უმდიდრესი იყო. გარდა ამისა, სისტემატურად თარგმნიდნენ ბერძენ და აღმოსავლელ ავტორთა წიგნებს. როგორი იყო წიგნების ფასი? შედარებით იაფი, რადგან პროფესიონალი გამომცემლები მონათა შრომას იყენებდნენ. გამომცემლები არსებული წესის თანახმად მოელაპარაკებოდნენ ავტორებს და წინასწარ უხდიდნენ ჰონორარს. ხელნაწერის შეძენის შემდეგ განსწავლული პიროვნება, რომელიც შეიძლება მონაც ყოფილიყო, მონებს ტექსტს უკარნახებდა და ისინიც ძალიან სწრაფად ასრულებდნენ ამ სამუშაოს. გამომცემლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი წიგნი ჰქონდათ მზად. ისინი აიძულებდნენ მონებს, დიდი სისწრაფით ემუშავათ, ამის გამო ბევრი გრაგნილი შეცდომებით იყო სავსე.

რადგან კარგი ბიბლიოთეკის შექმნა რომაელი არისტოკრატისათვის პრესტიჟის საქმედ ითვლებოდა, ისინი ძვირფას გრაგნილებს საგანგებოდ ეძებდნენ. ამ მიზნით საბერძნეთსა თუ აღმოსავლეთის



ქვეყნებში მოგზაურობასაც არ ერიდებოდნენ. ასეთი გრაფიკულებისაც ცხადია, ძალზე ძვირი ღირდა, მაგრამ ბიბლიოფილებს არაფერი აკავებდათ. ზოგჯერ ბიბლიოთეკები უვიც, მაგრამ მეტად მდიდარ რომაელებსაც ჰქონდათ. ცნობილი ფილოსოფოსი სენეკა, რომელსაც ძალიან ღვარძლიანი ენა ჰქონდა (გავიხსენოთ მისი სატირა იმპერატორ კლავდიუსის გოგრად ქცევის შესახებ) ასეთი ბიბლიოთეკის მფლობელებს ვირებს ადარებდა, რომლებიც ლირის ჰანგებს უსმენდნენ.

IV საუკუნის დასაწყისისათვის რომში 28 დიდი საჯარო ბიბლიოთეკა იყო. ზოგიერთ შათგანს, დიდ დახმარებას უწევდნენ იმპერატორები — ავგუსტუსი, ტიბერიუსი, კესაბიანე, დომიციანე. ყველაზე მდიდრად ითვლებოდა იულიუს კეისრის ტაძარში მოთავსებული ბიბლიოთეკა. თითოეულ ბიბლიოთეკას სათანადო ჰქონდნალი ჰყავდა, რომელიც საიმპერატორო მონებისაგან უძლებოდა. ისანი ბიბლიოთეკაში სამუშაოდ წინასწარ სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ.

როგორ გამოიყურებოდნენ რომაული საჯარო ბიბლიოთეკები? ისინი პორტიკებში — მარმარილოს ნაგებობის გადახურულ გალერეებში იყო მოთავსებული. ბიბლიოთეკის ფასადი აღმოსავლეთისაკენ გახლდათ მიმართული. ამას რომაელი არქიტექტორი ვატრუვიუსი ორი რამით ხსნის: ჭერ ერთი, ბიბლიოთეკები მუშაობდნენ დილაბით — დღის ყველაზე უფრო ნათელ დროს და მეორე, წიგნებს ნაკლებ ზიანს მიაყენებდა სამხრეთისა და დასავლეთის ქარები. ხანძრებისაგან თავის დასაზღვევად ბიბლიოთეკას სხვა შენობებიდან ვრცელი გასასვლელი ჰყოფდა.

სამკითხველო დარბაზში ღმერთებისა და დიდი ადამიანების ბიუსტები და ქანდაკებები იდგა. იატაკი მუქი მარმარილოსი იყო, ჭერი არ ბრწყინავდა, რათა მკითხველებს თვალის ტკივილი არ ეგრძნოთ. წიგნების კარაფებს დარბაზების კიდეებზე ათავსებდნენ, ისინი დანომრილი იყო. თითოეულ ბიბლიოთეკას დაწვრილებითი კატალოგი ჰქონდა.

რომში სპეციალური ბიბლიოთეკებიც ყოფილა. ერთში, მაგალითად, მხოლოდ ისეთი ლათინური ივტორების წიგნები ინახებოდა, რომლებიც უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ყოფილა ისეთი ბიბლი-

ოთვეკაც, სადაც მხოლოდ გრამატიკოსთა ტრაქტატები იყო თქმული ყრილი.

განთქმულ რომაულ თერმებშიც (აბანოებში), სადაც მოქალაქეები დროის დიდ ნაწილს ატარებდნენ, საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკები ყოფილა. აქ, მცირე გასამრჩელოს ფასად, რომაელს შეეძლო მისთვის საინტერესო წიგნი შეეძინა.

წიგნებისადმი ასეთი საყოველთაო პატივისცემის უამს, ცხადია, ბევრი რამ კეთდებოდა ბიბლიოფილების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მათთვის სათანადო რჩევის მისაცემადაც. გერენიუს ფილონმა დაწერა ვრცელი ნაშრომი 12 ნაწილად „წიგნების შეძენისა და შერჩევის შესახებ“, გრამატიკოსმა ტელეფონს პერგამელმა კი შეთხხა ნაწარმოები ასეთი სათაურით: „სამი წიგნი წიგნების ცოდნის შესახებ“, რომლებშიც მითითებულია, თუ როგორი წიგნები უნდა შეიძინონ.

ერთი სიტყვით, რომაელებმა ბერძნებისაგან წიგნებისა და ბიბლიოთეკების დიდი სიყვარული შეითვისეს და თავიანთ მხრივ, ეს სიტყვარული შუა საუკუნეებს უანდერდეს.

ბიზანტიური ფოლიანთაგი

IV საუკუნის მიწურულისთვის რომის ოდესდაც მძღავრი ნიხელმწიფო მექანიზმიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. მთელ დასავლეთ იმპერიას ბარბაროსები მოედვნენ. ახლა უკვე მათ ეკავათ წამყვანი თანამდებობები რომის არმიაში, სახელმწიფო აპარატში. სწორედ იმპერატორის სამსახურში მყოფი ბარბაროსები იგერიებდნენ... ბარბაროსთა ახალ - ახალ ტალღებს, ასე მძღავრად რომ ეხეთქებოდნენ თვალუწვდენელი სახელმწიფოს საზღვრებს. ერთი სიტყვით, მათ, ესიაც ძევლი რომაელები აღრინდელი დროიდანვე დაცინვით „პომო ნოეუსებს“ („ახალ აღამიანებს“) უწოდებდნენ, ახლა ყველაფერი შეეძლოთ. არ ხელეწიფებოდათ მხოლოდ ერთი — რაიმე მიემატებინათ რომაული კულტურისათვის, რომაული სწავლა-განათლებისათვის.

ასეთ პირობებში ბიბლიოთეკებისათვის არავის ეცალა. ის წინათხაცავებიც კი, რომლებიც დარე საუკუნეების მანძილზე მდიდრდებოდნენ, ახლა თითქმის უპატრონოდ იყვნენ მიტოვებულნი.



ცნობილი ისტორიკოსი ოროზიუსი ასეთ რამეს გვაუწყებსა და მომდევნებული რგი V საუკუნის დასაწყისში ალექსანდრიის ბიბლიოთეკას ეწვია, იქ, ცარიელი კარადების გარდა, ვერაფერი ნახა. შეიძლება, ოროზიუსი აჭარბებს ან, მეორე მხრავ, სანდო არ უნდა იყოს არაბი მწერლის იბძ ალ-კიფტის ცნობა. თუ ამ ავტორს დაუუჩერებო, როცა ხალიფა ომარმა ალექსანდრია აიღო (642 წ.) და ბრძანება გასცა ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებით ამ უზარმაზარი ქალაქის აბანოები გაუთბოთ, ეს „საწვავი მასალა“ ალექსანდრიის მცხოვრებლებს, თუ დამპყრობელთა ჯარებს ექვს თვეს ეყოთ...

რაც არ უნდა ვიდავოთ სხვადასხვა ისტორიკოსების ცნობებზე, ერთი რამ ცხადია: წიგნის შოვნა გაძნელდა, ბიბლიოთეკებისათვეს არავინ ზრუნავდა. IV საუკუნის მეორე ნახევრის დიდი რომაელი ისტორიკოსი (ეროვნებით ანტიოქიელი ბერძენი) ამიანე მარცელინე ჩივის, ბიბლიოთეკები სრულიად დაცარიელდა. თუ ისეთ დაუცენტრში, როგორიც ანტიოქია იყო, ბიბლიოთეკები დაცარიელდა, წიგნებს არავინ ამრავლებდა და არ ჰყიდდა, რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო უფრო პატარა ქალაქებში! დაახლოებით 600 წლისათვეის პალესტინელმა ბერძა ანტონიოსმა „პანდექტები“ შეადგინა. ეს განლდათ ბიბლიიდან და საეკლესიო მწერალთა წიგნებიდან ამოღებული ნაწყვეტების თავისებური ანთოლოგია. წინასიტყვაობაში ანტონიოსი წერს: რახან წიგნებს ვერავინ შოულობს, დაინტერესებული მკითხველი აქედან მინიმალურ ცნობებს მაინც მიიღებსო.

ბიბლიოთეკების ფონდები მკვეთრად შეიცვალა. თუ, ვთქვათ, ადრე, III საუკუნეში წიგნების ავტორები მთლიანად კერპთაყვანას-მცემლები იყვნენ, V - VI საუკუნეებიდან მოყოლებული, ეს წიგნები ბიბლიოთეკაში იშვიათობა გახდა, ისინი ქრისტიანული ლიტერატურით შეიცვალა. რაც შეეხება „დაწუნებულ“ თუ „მოძველებულ“ წიგნებს, ისინი ყველგან არ მოუსპიათ, წიგნთსაცავებში ცალკეულ ყუთებში ინახავდნენ და მათ წაკითხვას არავის ურჩევდნენ. უკიდურეს შემთხვევაში ამ მკრეხელური წიგნების წაკითხვა შეეძლოთ იმ მწერლებსა თუ ორატორებს, რომელთაც მათი დამოწმება სჭირდებოდათ ძველი რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ საბრძოლველად. საყურადღებოა, რომ ამ გამონაკლის შემთხვევებშიც კი, მკითხველებს აფრთხილებდნენ, წიგნების „შხამმა“ თქვენზე არ იმოქმედოსო.

როცა რომის იმპერია ორად გაიყო, დასავლეთში ახალი ტაქტიკური საცავები არავის შეუქმნია, აღმოსავლეთში კი მდგომარეობა გაცი-
ლებით უკეთესად იყო. ბიზანტიის იმპერიას, საერთოდ, დიდხანს ჰქო-
ნდა დიდი გარეგნული ბრწყინვალება. ერთი საყურადღებო რამ: სა-
ნამ იგი არსებობდა, „ბიზანტია“ არასოდეს ერვა (ეს ტერმინი მა-
შინ შეიქმნა, როცა სახელმწიფო უკვე თურქებმა გაანადგურეს). სა-
ხელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება დიდხანს იყო „რესპუბ-
ლიკა“ (იგულისხმებოდა „ახალი რომის“ რესპუბლიკა). ეს რა თქმა
უნდა, საოცარი ანაქრონიზმი გახლდათ. როცა ბიზანტიის ისტო-
რიკოსები „რესპუბლიკაზე“ წერენ, ამ გარემოებამ თანამედროვე
მკითხველი, უბრალოდ, შეიძლება დააბნიოს კიდეც...

მაშ ასე, მსოფლიოს „დედაქალაქი“ თვალისმომჭრელი კონსტან-
ტინოპოლი გახდა. VI ს. ისტორიკოს იორდანთან ერთ ფრიად სა-
ინტერესო ცნობას ვაწყდებით: „ათანარიხმა (ისტოგუთების მეფემ
— გ. გ.) დიდი სიამოვნებით მიიღო მიპატიუება, სამეფო ქალაქს ეწ-
ვია და გაოცებულმა თქვა: „ახლა მე საკუთარი თვალით ვხედავ ამ
სახელგანთქმულ ქალაქს, რომელზედაც ბევრი მსმენოდა, მაგრამ უნ-
დობლად ვეკიდებოდი“. იგი მარჯვნივ და მარცხნივ იყურებოდა, ხან
ქალაქის განლაგებით იყო აღტაცებული, ხან ნავსადგურში გემთა სი-
მრავლე უკვირდა, ხან სახელგანთქმული გალავნის სიმტკიცე, ხან
სხვადასხვა ტომის წარმომადგენელთა სიხშირე. ათანარიხმა ბოლოს
წარმოთქვა: „ეჭვგარეშეა, იმპერატორი მიწიერი ლვთაებაა და ვინც
გაკარგნიერდება მასზე ხელი აღმართოს, უწინარეს ყოვლისა, თვით
იქნება დამნაშავე თავის სიკვდილში“.

ზრუნავდა რა დედაქალაქის ბრწყინვალებაზე, ბიზანტიის მთავ-
რობა იმასაც ცდილობდა, რომ კონსტანტინოპოლიში საუკეთესო ბიბ-
ლიოთეკები ყოფილიყო. თუ ადრე ნინევიაში, ბაბილონში, ალექსან-
დრიასა და პერგამში თითო ან ორ-ორ წიგნთსაცავზე გვქონდა საუბა-
რი, ახლა ბიზანტიის დედაქალაქის უკვე რამდენიმე ბიბლიოთეკას
უნდა შევეხოთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კონსტანტინოპოლის საგა-
რო ბიბლიოთეკა. ადრე მის დაარსებას შეცდომით მიაწერდნენ კონ-
სტანტინე დიდს. სინამდვილეში კი იგი შექმნა კონსტანტინეს ვაჟმა
კონსტანტი I - მა (337 - 361). განთქმულმა ორატორმა თემისტიოსმა



357 წ. 1 იანვარს წარმოთქვა სიტყვა, სადაც ხოტბა შეასხა ამჟრემისტული რატორს სკრიპტორიუმის შექმნისათვის. სკრიპტორიუმი კი გათლივული სპეციალური სახელოსნო, სადაც წიგნებს ამრავლებდნენ. სკრიპტორიუმები (უნდა ვიფიქროთ, რომ ბიზანტიაში მათი რიცხვი მრავალი იყო), სწორედ მეოთხე საუკუნიდან გვხვდება. ამ უწყებას მაღალი რანგის მოხელე, ოქონტი ედგა სათავეში. თითოეულ ასეთ დაწესებულებას კალიგრაფთა მთელი შტატი ჰყავდა, რომელთაც ჯამაგირს სახელმწიფო უხდიდა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ თითოეულ სკრიპტორიუმთან სათანადო ბიბლიოთეკაც არსებობდა. რა ნაწარმოებებს ამრავლებდნენ ასე-თი სახელოსნოები? უპირველეს ყოვლისა, პლატონისა და არისტოტელეს წიგნებს. გარდა ამისა, ორატორი თემისტიოსი ასახელებს დემოსთენეს, სკორატეს, თუკიდიდეს, პომეროსს, პესიოდეს. თემისტიოსი თვლის, რომ სკრიპტორიუმი უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, ვიდრე კონსტანტინოპოლის პიპოდრომი ან ნავთსაყუდელი, ბაზრები ან აბანოები.

კონსტანტინოპოლის საჯარო ბიბლიოთეკა და სკრიპტორიუმი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანი რამ. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ბევრი წიგნი აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სხვა ბიბლიოთეკებიდანაც გადმოზიდეს, უამრავი დაზიანებული ტექსტი აღადგინეს, ისტორიას შემოუნახეს. ასე რომ, კონსტანტინოპოლის ბიბლიოთეკებში დიდი ამავი დასდეს როგორც ბერძნულ, ისე ლათინურ წიგნებაც. არის ცნობა, რომ კონსტანტინოპოლის საჯარო ბიბლიოთეკაზე ზრუნავდა დიდად განათლებული იმპერატორი იულიანე (361—363). მას ამ წიგნთაცავისთვის ბევრი რამ საკუთარი ფონდიდანაც შეუწირავს. ბიბლიოთეკას ყურადღებას არც სხვა მეფეები აკლებდნენ. იმპერატორ ვალენტის დადგენილებით (372 წ.) ამ საჯარო ბიბლიოთეკაში ოთხ ბერძენ ანტიკვარსა და ლათინური წიგნების სამ გადამწერს უნდა ემუშავა.

475 წლისათვის საჯარო ბიბლიოთეკაში 120 ათასი წიგნი იყო, რა თქმა უნდა, დიდი რიცხვი გახლავთ, მაგრამ არ შეიძლება თვალში არ გვეცეს ის გარემოება, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ვაკილებით მეტ წიგნს ფლობდა.

475 წელს ეს ბიბლიოთეკა ხანძრის მსხვერპლი გახდა. შემდევ იგი აღადგინეს, მაგრამ რა დროს და რა მასშტაბებით, ამაზე ცნობები არა

გვაქვს. არის ერთი ასეთი გადმოცემაც — იმპერატორმა ლეონ III
არა მარტო დახურა კონსტანტინოპოლის ერთ - ერთი უმაღლესი გრაფის
ლა, არამედ დაწვა მასთან არსებული მდიდარი ბიბლიოთეკაც (36
ათასი წიგნი). თუმცა, ასეთი იმპერატორები ხომ ბიზანტიის მრავ-
ლად ჰყავდა. როგორც კონსტანტინე VII ძოშითმოსილი იუწყება,
ცნობილმა ნავარქოსმა (ფლოტის სარდალმა), ხოლო შემდეგ იმპე-
რატორმა რომან I ლაკაპინმა (920—944) წერა-კითხვა არ იცოდა. ეს
ხდებოდა შსოფლიოში ყველაზე უფრო ცივილიზებულ სახელმწიფო-
ში. უფრო ადრე, სახელგანთქმული იმპერატორი ჰერაკლე წიგნებს;
ასე ცოტებათ, ჯოხის როლს ანიჭებდა. იგი იღებდა უზარმაზარ წიგნს და
ურტყამდა... მოხელეებს, რომლებიც რაღაცაში იყვნენ დამნაშავე-
ნი. ნამდვილად მცირემცოდნე იყო იმპერატორი ბასილი II. სხვა
მონარქებს სულ სხვაგვარი სახელი ჰქონდათ. მიხაილ VII დუკის გა-
ნათლებული ადამიანებიც კი ამტყუნებდნენ, სახელმწიფო საქმეებს
თავი მიანება და მთელ დროს ცნობილ მწერალ მიხაილ პსელოსთან
სამეცნიერო საუბრებში ატარებდნ. ცნობილ ისტორიკოსს ანა კომ-
ნეს თუ ვენდობით, მისი მშობლები იმპერატორი ალექსი I კომნე-
ნი და დედოფალი დღე და ღამე ერთად სწავლობდნენ საღმრთო წე-
რილს. დედოფალი საუზმის დროსაც კი არ შორდებოდა წიგნებს.

გარდა საჯარო ბიბლიოთეკისა, კონსტანტინოპოლში იმპერატო-
რის პირადი ბიბლიოთეკაც არსებობდა. იმპერატორ ლეონ V სომებს
(813—820) შეატყობინეს, ბიბლიოთეკაში რომ სიბილას წინასწარ-
მეტყველური წიგნებია, მანდ შენს მეფობაზეც არის გადაკრული
ლაპარაკიო. და აი იმპერატორი გაეცნო ამ წიგნებს, რომელთაც, გად-
მოცემით, მრავალი წლის ისტორია ჰქონდათ. განათლებული იმპე-
რატორი კონსტანტინე VII ჩიოდა, რომ საიმპერატორო ბიბლიოთ-
ეკაში ხშირად საჭირო წიგნებს ვერ პოულობდა. ამიტომ მას ამ ბიბ-
ლიოთეკასთან სპეციალური სკრიპტორიუმი დაუარსებია, რათა საჭ-
ირო წიგნები სხვაგან მაინც აღმოჩენა და გაემრავლებინა. ჩვენ არ
ვიცით, როდის დაარსდა ეს საიმპერატორო წიგნთსაცავი, მაგრამ
1453 წელს, როცა ქალაქი თურქებმა აიღეს, იგი კიდევ არსებობდა.
ყმაწვილი არისტოკრატი, ნიკეის იმპერატორების შთამომავალი კო-
ნსტანტინე ლასკარი, რომელიც 20 წლის ასაში თურქებს ტყვედ
ჩაუვარდა, მომდევნო ხანებში იხსენებდა, რომ სარგებლობდა იმპ-
ერატორის ბიბლიოთეკის წიგნებით.



საჯარო და იმპერატორის ბიბლიოთეკების გარდა, იყოა მცხვარებული დიდი წიგნთსაცავიც. იგი VII საუკუნიდან არსებობდა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ეკუთვნოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ძირითადად სასულიერო ლიტერატურა იყო. პატრიარქის განკარგულებით, ერეტიკოსების წიგნებს ცალკე, სპეციალურ ყუთებში ინახავდნენ. არის ცნობები, რომ ამ ბიბლიოთეკაში მხოლოდ სასულიერო წიგნები კი არ იყო, არამედ სხვაგვარიც. ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულია პლატონის „კანონების“ ერთ-ერთი ხელნაწერი, გადაწერილი დაახლოებით 900 წელს. XI საუკუნეში ერთ-ერთ მკიონეველს მასზე რამდენიმე შენიშვნა მიუწერია, სადაც აღნიშნავს, რომ ამ ნაშრომის ტექსტი, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბიბლიოთეკაში ინახება, განსხვავებულია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ამ ერუდიტის სახელი და გვარი, რომელმაც ვატიკანისა და კონსტანტინოპოლის ბიბლიოთეკებში დაცული „კანონების“ ტექსტები შეადარა და იქ განსხვავებაც კი მონახა. ჩვენ ვიცით ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც უფრო ადრე მომზდარა და აქაც პატრიარქის ბიბლიოთეკაა დასახელებული. ერთ-ერთ დისპუტზე იმპერატორ თეოფილეს (829 - 842) საკუთარი აზრი გამოუთქვას წინაშეარმეტყველ ისაის წიგნის ერთ-ერთ ადგილზე. ამ აზრის დასამტკიცებლად იმპერატორს გაუშლია გრაგნილი, რომელიც მის საკუთარ ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ლეთისმეტყველი თეოფილე იმპერატორს შეეკავათა, თქვენი გრაგნილის ტექსტი ზუსტი არ არის, გაფუჭებულიაო და მოითხოვა იმავე წიგნის სხვა ტექსტი პატრიარქის ბიბლიოთეკიდან მოეტანათ.

მაში ასე, შეიძლება ლაპარაკი კონსტანტინოპოლის სამ მდიდარ წიგნთსაცავზე: საჯარო, იმპერატორისა და პატრიარქის ბიბლიოთეკებზე.

ადრებიზანტიური წიგნი ძირითადად პერგამენტულია. მისი ფორმა VI საუკუნიდან მოყოლებული, იცვლება, გრაგნილების ნაცვლად ვხვდებით „კოდექსებს“ (ყდაგადაკრული რეეულები). ქალალდისაგან გაკეთებული წიგნები დაახლოებით XI საუკუნისათვის ჩნდება. შეიცვალა წიგნების წაკითხვის მანერაც. როგორც ცნობილია, ქველი ბერძნები და რომაელები ყოველთვის ხმამაღლა კითხულ-



ობდნენ. მაშინაც კი, როცა კაცი ოთახში მარტო იყო, იგი ხმაშედდებული კითხულობდა. უფრო ხშირად, ბერძენი და რომაელი წიგნს ჟარტის კი არა, მეგობრებისა და მოწაფეების წრეში ეცნობოდა, კითხვისას საუბრობდა, დამსწრებს აზრს უზიარებდა, კამათობდა. შემდეგ ეს წესი შეიცვალა. დაახლოებით V საუკუნიდან მოყოლებული, დაიწყეს ჩუმად კითხვა, თავისთვის, ინდივიდუალურად. მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ აქ უნდა ემოქმედათ მონასტრებში გამეფებულ წესებს, როცა ბერი მარტო კითხულობდა ლოცვებს, სენაკში ასევე მარტო სწავლობდა სასულიერო ლიტერატურას.

ამავე დროს გამოთქმულია აზრი, რომ ბიზანტიურმა მონასტრებმა ნაკლებად შეუწყეს ხელი ანტიკური მემკვიდრეობის შენახვას. ბიზანტიური სამღვდელოება ანტიკურ მემკვიდრეობას მტრულად ეკიდებოდა. მღვდლებსა და ბერებს წიგნები საერთოდ ნაკლებად აინტერესებდათ. ევსტაფი სოლუნელი (სოლუნი ივივეა, რაც სალონიკი. ოქსალონიკა) იმასაც კი წერდა, რომ ბერები არა თუ უცლიდნენ ძვირფას ხელნაწერებს, არამედ ყიდნენ მათ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაზე არ ითქმოდა. ბიზანტიის უზარმაზარი პირადი ბიბლიოთეკის პატრონი რამდენიმე დიდი ბიბლიოთილიც ჰყავდა, სოლუნის არქიეპისკოპოს ლეონ მათემატიკოსს (IX ს.) თავის წიგნთსაცავში გააჩნდა კლავდიოს პტოლემაიოსის, არქიმედის, ეკლიდეს ნაშრომები.

განსაკუთრებით განთქმული იყო ანტიკური კულტურის დიდი მცოდნე, პატრიარქი ფოტიოსი (IX ს.). მან შეადგინა დიდი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „მირიობიბიბიონი“ (სიტყვასიტყვით „უამრავი წიგნი“, „ათასწიგნი“), რომელსაც პირობითად „ბიბლიოთეკასაც“ უწოდებდნ. წინასიტყვაობაში ფოტიოსი წერს, თუ როგორ შეიქმნა ეს ნაშრომი. იგი აღმოსავლეთში ხანგრძლივი დიპლომატიური მისით იმყოფებოდა, როცა მიიღო წერილი თავის ძმა ტარასისაგან. ტარასის აინტერესებდა, რა წიგნებს კითხულობდა ფოტიოსი მოგზაურობის დროს და თითქოს ამის პასუხად შექმნა კიდევ ავტორმა „მირიობიბიბიონი“. ამ ვრცელ ნაშრომში თავმოყრილია ცნობები 280 ძველბერძნულ და ბიზანტიურ თხზულებაზე (აქედან რამდენიმე ათეული წიგნი მხოლოდ ფოტიოსის მიხედვით არის ცნობილი). თითოეულ ამ ნაშრომს მიეძღვნა ფოტიოსის მიერ შედგენილი „ანოტაცია“ — ბიოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ, ნაშრო-

მის მოკლე შინაარსი, ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი ნაწყვეტებით, შე-
მდგენლის აზრი მის შესახებ. ერთი სიტყვით, „მირიობიბრუნვისა
მეცნიერებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირ შემთ-
ხევები კი სერიოზულ ხარვეზებსაც ივსებს. აქ ლაპარაკია სულ სხვა-
დასხვანაირ წიგნებზე, ისტორიულ ნაშრომებსა თუ რომანებზე,
ფილოსოფიურ და სამედიცინო გამოკვლევებზე, ორატორულ თუ
ლვათისმეტყველურ თხზულებებზე.

რა თქმა უნდა, ფოტოისი ასეთ ნაშრომს მოგზაურობის დროს
ეკუთხებოდა. მან მხოლოდ რომანტიკულ ფორმას მიმართა „მირი-
ობიბლიონი“, ეჭვგარეშეა, წლების მანძილზე იქმნებოდა და ავტო-
რიო კონსტანტინოპოლის არაერთი ბიბლიოთეკის მდიდარ ფონდს
იყენებდა.

უმაღლესი სასულიერო პირის — პატრიარქ ფოტიოსის, ესოდენ
დიდი ინტერესი ანტიკური, წარმართული ლიტერატურისაღმი მის
მრავალ თანამედროვეს არ მოსწონდა. და აი პატრიარქს ათასი რამ
მოუგონეს — ღვთისმსახურების დროს გაუგებრად რომ ბურტყუნ-
ებს, ეგ იმიტომ, რომ ლოცვებს კი არა, უკეთური პოეტების ლექს-
ებს წარმოთქვამსო. თანამედროვეებს არც ფოტიოსის ზოგიერთი
შეხედულება მოსწონდათ, რომელიც, მათი აზრით, სრულიად შეუ-
ფერებელი იყო სასულიერო პირისათვის. პატრიარქი, მაგალითად,
ირწმუნებოდა, მიწისძვრები ადამიანების უამრავი ცოდვის გამო
კი არ ხდება, არამედ წყლის დაგროვების გამო. ამასთან, თვით ფო-
ტიოსიც ზოგ საკითხში საკმაოდ ცრუმორწმუნე იყო: მას სწამდა,
რომ მთვარე ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებდა, ავი სულები
ადამიანს სხეულში „შეუგდებოდნენ“ ხოლმე და მუცელსაც ისინი
ატკიცებდნენ.

ფოტიოსის მოწაფე იყო კაპადოკიის კესარიის არქიეპისკოპოსი
არეფა (850 წლის შემდეგ — X საუკუნის შუა წლები), რომლის
ბიბლიოთეკაზე ჩვენ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გვაქვს. საყუ-
რადლებოა, რომ არქიეპისკოპოსი ძირითადად... საერო წიგნებს
ივროვებდა. მის ბიბლიოთეკაში შეიძლებოდა დიონ ხრისოსტომის
(„ოქროპირი“), ევკლიდეს, პავსანიას, სტრაბონის წიგნების ნახვა.
არეფას ბიბლიოთეკის ზოგ ხელნაწერს თვით არქიეპისკოპოსის მი-
ნაწერები აქვს — იგი დიდი ყურადღებით ეცნობოდა ამ ნაშრომებს.
ზოგჯერ არეფას დამოკიდებულება ავტორებთან კრიტიკულია. მას



არ მოსწონს, როცა ლვარძლიანი ლუკიანე ლმერთებს დასცინის, ამასხარავებს. რა ვუყოთ, რომ აქ ძირითადად წარმართთა ლმერული ზეა ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ქრისტიან არქიეპისკოპოსს კიდევ უფრო არ მოსწონს იმპერატორი იულიანე. მას ხომ „განდგომილი“ შეარჩევს იმის გამო, რომ ქრისტიანად გაზრდილი, შემდევ დაუპირასპირდა ამ რელიგიას, ლვთისმეტყველებს. კამათი გაუმართა და თავის ყოფილ ერთმორწმუნებს დევნიდა კიდეც. ძალიან ხშირად არეფას მოსწონს ძველი მწერლების აზრები და ხელნაწერებს ასეთ შენიშვნას ურთავს: „უდავოდ მართალი ხარ!“ ერთი თავისებურებაც — ძველ ამბებში არეფა ძალიან ხშირად ანალოგიას პოულობს მისი დროის მოვლენებთან. ელიუს არისტიდეს კითხვის დროს ბიბლიოთეკის მფლობელი იხსენებს ბულგარელების გამარჯვებას ბიზანტიულებზე, ლუკიანეს „ქარონი“ მას ახსენებს იმპერატორ ლეონ VI სიმამრს სტილიანს, ყოვლისშემძლე მედროვეს.

არეფა, როგორც ანტიკური ავტორების ნაშრომთა შემგროვებელი, თავის მასწავლებელ ფოტიოსს არ ჩამოუვარდება. სწორედ მისი დავალებით გადაწერეს პლატონისა და ევკლიდეს უძვირფასესი ხელნაწერები. ბევრი ავტორის ხელნაწერებში არეფა განსხვავებებსა თუ შეუსაბამობასაც ამჩნევდა, ტექსტების კომენტარებს აღგენდა. იგი მაღალი კვალიფიკაციის გადამწერებს უყრიდა თავს და ერთ თავსებურ რამესაც ავალებდა: ხელნაწერის თითოეულ ფურცელზე საკმაოდ ვრცელი ადგილები დაეტოვებინათ — შენიშვნებისათვის.

XII საუკუნეში დიდ ბიბლიოფილად ითვლებოდა ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ეკსტაფი სოლუნელი. მან დაწერა კომენტარები პომეროსის, არისტოფანეს და სხვა ანტიკური ავტორების თხზულებებზე. მის მოწაფე მიხაილ ხონიატს ბიბლიოთეკაში პქონდა პომეროსი, არისტოტელე, ევკლიდე, გალენი. ცნობილი ერუდიტი იოანე ცეცი (XII ს.) ამბობდა, ისე გამიჭირდა, რომ მთელი ჩემი წიგნები გავყიდე და ახლა ბიბლიოთეკა თავში მაქვსო. ამ მწერალს, როგორც ჩანს, მართლაც ფენომენალური მეხსიერება პქონია, თუმცა უამრავ ავტორს როცა უთითებს, საკმაოდ ბევრი უზუსტობა მოსდის. ჩანს, რომ ბიბლიოთეკა მართლაც სხვას დაუთმო, წიგნები ხელთ არა პქონდა და შეცდომებიც ამით უნდა ავხსნათ.



შეიძლება ლაპარაკი ბიზანტიის უმაღლესი სკოლების ბიბლიოთების
თექიბზე, იმ წიგნთასაცავებზე, რომლებიც მონასტრებს ჰქონდათ.
აյ ჩა თქმა უნდა, სასულიერო ლიტერატურა იყო თავმოყრილი.
1077 წელს ისტორიკოსმა და იურისტმა მიხაილ ატალიატმა ქალაქ
რედესტოში მონასტერი დააარსა და მას 40 დასახელების ხელნაწე-
რი გადასცა. მათ შორის მხოლოდ ორი საერო წიგნია, აქედან ერთი
კი თვით ატალიატის კალამს ეკუთვნის.

კარგად არის ცნობილი ის მჭიდრო პოლიტიკური და კულტუ-
რული კავშირი, რომელიც ბიზანტიასა და საქართველოს ერთმა-
ნეთს შორის ჰქონდათ. საჭიროების შემთხვევაში ქართველი მეფე-
ბი ბიზანტიელებს ჯარით ეხმარებოდნენ. კონსტანტინოპოლიში ქარ-
თული კოლონია არსებობდა, მრავალი ქართველი დიდ როლს თამა-
შობდა ბიზანტიის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ბი-
ზანტიაში არსებულ ქართულ მონასტრებს თვალსაჩინო ბიბლიოთე-
კები უნდა ჰქონდათ. აღმა სკრიპტორიუმებში გამრავლებული
არაერთი ხელნაწერი საქართველოშიც გამოვზავნეს.

XIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიას მოულოდნელად დიდი
უბეღურება დაატყდა თავს. IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს
(1202-1204) ევროპელმა რაინდებმა იმის ნაცვლად, რომ მაჰმადია-
ნების წინააღმდეგ ებრძოლათ, თავიანთი მახვილი კონსტანტინოპო-
ლის წინააღმდეგ მიმართეს, ქალაქი აიღეს და სასტიკად გაანადგუ-
რეს. ცხადია, დედაქალაქის ბიბლიოთეკებმა მძიმე დანაკლისი განი-
ცადეს, მრავალი ძვირფასი წიგნი დაიღუპა, ნაწილი კი დასავლეთ
ევროპის წიგნსაცავებში აღმოჩნდა. დედაქალაქი განადგურდა, მაგ-
რამ იმპერიას არსებობა არ შეუწყვეტია. დროებით სატახტო ქალა-
ქად ნიკეა გამოცხადდა. XIII საუკუნის ბიზანტიელ მემატიანეს
თეოდორ სკუტარიოტის საინტერესო ცნობა აქვს დაცული იმის შე-
სახებ, რომ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა ნიკეას იმპერატორ თეო-
დორ II ლასკარს (1245-1258). თეოდორ II აგროვებდა წიგნებს
სულ სხვადასხვა სფეროდან. მის ქვეშევრდომებს, რომლებიც იმპე-
რიის სხვადასხვა კუთხეებში ცხოვრობდნენ, შეეძლოთ ამ ბიბლიო-
თეკიტან წიგნები გამოეწერათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნიკეაში თანა-
მედროვე აბონემენტის მსგავსი რამ არსებობდა.



1261 წელს ბიზანტიის გვაროსნები კონსტანტინოპოლის გამარჯვეს. გარეგნულად სახელმწიფოს მთლიანობა აღდგა, მაგრამ ცხადია, ეს უწინდელი იმპერიის აჩრდილიდა იყო.

უნდა ვითქმიოთ, რომ ბიბლიოთეკები, ასე თუ ისე, აღადგინეს. 1437-1438 წლებში კონსტანტინოპოლის ესპანელი მოგზაური პერო ტაფური ეწვია. მან იმპერატორის სასახლე და ათვალიერა, რომლის მარმარილოს ლოჭიაში ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული. საინტერესოა, რომ მა ბიბლიოთეკაში მაგიდებიც და სკამებიც ქვის იყო, ამასთან მაგიდები ერთმანეთს ებჯინებოდა. ესპანელი მოგზაური აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაში ძალზე ბევრი წიგნი იყო, მათ შორის „ძევლი მანუსკრიპტები და ისტორიები“. აქვე იყო დაფები თამაშისათვის. პერო ტაფური აღბათ, ჭადრაკის დაფებს გულისხმობს. მართალია, ბიზანტიაში ჭადრაკი ძალზე ხშირად უკეთურ თამაშად ცხადდებოდა, ეკლესიის მესვეურები მოჭადრაკე ბერებს სასტიკად სჭიდნენ, მაგრამ იმპერატორებზე ხომ ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა.

სევრობდ ბიზანტიურ ბიბლიოთეკებს ძალიან ტრაგიკული ხეედი ჰქონდათ. თუ ბევრი რამ გვაროსნებმა გაანიავეს, თურქულმა საფრთხემ არაერთი მწიგნობარი აიძულა იმპერია (თუ იმპერიის აჩრდილი) მიეტოვებინა და იტალიისათვის შეეფარებინა თავი. სწორედ აპენინის ნახევარკუნძულზე გადასახლდა ბერძნულ-ბიზანტიური ინტელიგენციის დიდი ნაწილი და ცხადია, წიგნებიც თან წაილო.

XV საუკუნის 50-იანი წლების დამდეგისათვის თურქებმა ყოველი მხრიდან შემოარტყეს ალყა კონსტანტინოპოლის. ცხადი გახდა, რომ ოდესაც უდიდესი სახელმწიფოს ბიზანტიის დღეები დათვლილი იყო, ხსნა არსაიდან ჩანსა.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და გაანადგურეს. დაიღუპა დიდხალი განძი, მოისპო, კერძო კოლექციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საჯარო, საიმპერატორო და საპატრიარქო ბიბლიოთეკები. აი, რას წერდა იტალიელი პუმანისტი ენეუს სილვიუს პიკოლომინი რომის პაპ ნიკოლოზ V 1453 წლის 12 ივნისს: „დაიშრიტა მუზების წყარო!“ პიკოლომინი მოთქვამს „პომეროსის მეორე სივრცილზე, პლატონის მეორე გარდაცვალებაზე“. კარდინალ ისიდორეს მიერ მოყვანილ ცნობას თუ ვენდობით, კონსტანტინოპოლის განადგურების დროს 120 ათასი ტომი დაიღუპა! ბიზანტიელი ისტო-

რიკოსი დუქა წერს, როგორ აცლიდნენ წიგნებს ოქროს, აძრავდნენ სკორფას ყდებს. ბერძნები გემებით ეზიდებოდნენ დასავლეთში იმ ხელნაშერებს, რომელთა გადარჩენაც მოხერხდა. კონსტანტინოპოლიში სულ მცირე თანხით პლატონისა და არისტოტელეს, სასულიერო თუ საერო ავტორების დიდი ტომების ყიდვა შეიძლებოდა. შესაძლებელია, რომ ზოგი წიგნი ტრაპიზონის გზით საქართველოში მოხვდა.

როგორც ვთქვით, დასავლეთში გადატანილი ბიზანტიური წიგნების ნაწილი გადარჩა. ზოგი რამ სულთანმა მიითვისა. მეცნიერი დომინიკ იერუსალიმელი XVI საუკუნის მიწურულს, ბიზანტიის დაცემიდან თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ თურქეთის დედაქალაქში ჩავიდა. აქ მან სულთანის სასახლეში ბევრი ბერძნული წიგნი ნახა. ისინი დიდი მოცულობისანი ყოფილან, მშვენიერ ყდებში ჩასმული, მოოქროვილნი და მოვერცხლილნი, ძვირფასი ქვებით შემკულნი.

მანც რამდენი ბიზანტიური წიგნი გადარჩა? მეცნიერები მათ რაოდენობას 20-30 ათასს თვლიან. ბევრი იტალიაში ინახება, ვატიკანის ბიბლიოთეკაში, ბევრიც დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების დედაქალაქებში აღმოჩნდა. ზოგმა ბიზანტიური წიგნი XV საუკუნეშივე „მესამე რომში“ — მოსკოვში აღმოაჩინა, ნაწილი დღეს ლენინგრადშია დაცული.

ხომ მწარე იყო ნინევიისა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკების ხვედრი! იგივე ითქმის კონსტანტინოპოლის წიგნთსაცავებზე, მაგრამ ამის მიუხედვად, ბერძნული წიგნი — სიბრძნის უიშვიათესი წყარო — ცოცხლობს. მართალია, ყველა ხელნაშერი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ; დროის საკითხი გახლავთ. მთავარია ის, რომ დღეს ეს ხელნაშერები ისტორიამ შემოვეინახა.

„სიბრძნის“, „მაცნეორების“ და „ცოდნის“ სახლები

გადმოცემით, 629 წელს, როცა ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა, იმპერატორმა ჰერაკლემ და შახინშავმა ერთნაირი შინაარსის წერილები მიიღეს. მაჲმადი, რომელიც ვფიქრობთ, უცნობი იყო როგორც ბიზანტიელი მონარქისთვის, ისე სპარსეთის მეფისთვის, წინადადებას აძლევდა

მათ ...უარეულოთ თავიანთი სარწმუნოება, მიეღოთ ისლამი და შემცირებული რჩილებოდნენ არაბებს! მემატიანებს არ შემოუნახავთ ცნობა, თუ როგორ იმოქმედა ამ უცნაურმა წინადაღებამ ჰერაკლესა და ხოსროზე, მაგრამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ ორი უდიდესი სახელმწიფოს მეფეთა გაოცება: ისინი ხომ მხოლოდ ერთმანეთის ძალას უწევდნენ ანგარიშს და არ უწყოდენ, რა სახიფათო მეტო-
შე გამოუჩნდათ.

მაპმადის სიკვდილის (632წ.) შემდეგ მისმა მემკვიდრე ხალ-
იფებმა არა მარტო დაასრულეს არაბეთის გაერთიანება, არამედ
ბიზანტიისა და ორანს მძიმე დარტყმებიც კი აგემეს. 637 წელს არა-
ბებმა სძლიერ ირანელებს და ლაიპცირეს ერაყი, 641 წელს ბრძოლა
ირანის ტერიტორიაზე გადაიტანეს და ძველ ეკბატანსთან მეორეზ
დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ამავე დროს, ბიზანტეილებთან ბრძო-
ლაში არაბებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს: 636 წელს მდინარე-
იარმუკთან იმპერატორი ჰერაკლე დაამარცხეს, 638 წელს დაიპყ-
რეს იერუსალიმი. 645 წლისათვის კი ევკიპტე დაიმორჩილეს. არა-
ბების ამ გასაოცარ სამხედრო წარმატებათა მთავარი მიზეზი ბიზან-
ტიისა და ორანის შინაგანი სისუსტე იყო, რაც გამოიწვია ხანგრძ-
ლივმა ომებმა არაბების შემოსევის წინ. ამ ომმა, უპირველეს ყოვ-
ლისა, სირია და ერაყი იაოხრა, გაამწვავა ამ ქვეყნებში სოციალურა-
წინააღმდეგობა, გააძლიერა კლასობრივი ბრძოლა. ამიტომ ბიზან-
ტიისა და ორანის მიერ ადრე დაპყრობილ ქვეყნებში არაბებს ისე
ეგებებოდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს. ეს ქვეყნები ამიე-
რიდან ხალიფატის შემადგენლობაში შევიდნენ. თანდათანობით არა-
ბების ხელში აღმოჩნდა ინდოეთიდან ესპანეთამდე გადაჭიმული
უდიდესი ტერიტორია.

არაბებმა ბრწყინვალე კულტურა შექმნეს, თუმცა მასში თავისი
წვლილი იმ ცივილიზებულმა ხალხებმაც შეიტანეს, რომლებიც ხა-
ლიფატში გაერთიანდნენ. ესენია: ბერძნები, სირიელები, ებრა-
ელები, კოპტები და სხვა. არაბებმა აითვისეს ბერძნული კულტურა,
ბევრი რამ დაუმატეს, გააღრმავეს და ასეთი სახით გადასცეს ევრო-
პას. ასე რომ, მათი, როგორც შუამავლების როლი, ნამდვილად გან-
უზომელია. ასევე დაეხმარნენ არაბებს სირიელები; სწორედ სირი-
ელმა სწავლულებმა გადეს თავისებური „ხიდი“ არაბებსა და ბერძ-



ნულ კულტურას შორის. ასეთი მისია ამ რეგიონის მცხოვრებლებში აღრეც ბევრჯერ უკისრიათ.

არაბულ სამყაროში მრავალი ბიბლიოთეკა შეიქმნა. ესენი იყო „სიბრძნის“, „მეცნიერების“, „ცოდნის“ სახლები, მედრესეებთან (სკოლებთან). არსებული ბიბლიოთეკები, მეჩეთებთან, მავზოლეუმებთან, ობსერვატორიებთან შექმნილი წიგნთსაცავები.

ერთ-ერთი პირველი „სიბრძნის სახლი“ VII საუკუნეში არაბების მიერ სულ ახლად დაპყრობილ დამასკოში შეიქმნა. ეს ქალაქი შემდეგ კარგა ხანს ითვლებოდა მაჰმადიანური სამყაროს უპირველეს კულტურულ ცენტრად. „სიბრძნის სახლი“, ჩვეულებრივ, ხალიფების სასახლესთან არსებობდა და მათი მფარველობით სარგებლობდა. აქ მომუშავე მეცნიერებს, უპირველეს ყოვლისა, ყურანი და რელიგიური ლიტერატურა უნდა შეესწავლათ და, ამავე დროს, ახალი ნაშრომებიც შეექმნათ. არსებობს ცნობა, რომ დამასკოს „სიბრძნის სახლი“ თავდაპირველად სახელმწიფო არქივთან ერთად არსებობდა, 689 წლიდან კი გამოიყო მას. ხალიფების განკარგულებით, ეს ბიბლიოთეკა სისტემატურად მდიდრდებოდა, ევროპისა თუ აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან დიდიალ წიგნებს იღებდა. ამასთანავე თუ მესვეურნი თავდაპირველად რელიგიურ ლიტერატურას უყრიდნენ თავს, შემდეგ შეიძინეს მრავალი ნაშრომი მედიცინის, ასტრონომიის, ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის დარგში. დამასკოს „სიბრძნის სახლი“ დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. მას შემდეგ, რაც VIII საუკუნეში ხალიფა მანსურმა დაარსა ქალაქი ბაღდადი და იგი არაბული სამყაროს ცენტრად აქცია, გაიცა განკარგულება დამასკოს წიგნთსაცავი დედაქალაქში გადაეტანათ. ცნობილმა ხალიფამ ჰარუნ-ალ-რაშიდმა (786—809 წწ.) ბაღდადში დიდი უნივერსიტეტი და ბიბლიოთეკა დააარსა. განათლებულმა ხალიფა მამუნმა (813-833 წ. წ.) ეს წიგნთსაცავი კიდევ უფრო გამდიდრა. მის დროს დაიწყო ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებების არაბულ ენაზე თარგმნა. ხალიფა მამუნის ბრძანებით მრავალ ბერძნულ ხელნაწერს მოუყარეს თავი. საინტერესოა, რომ ბერძენ მწერლებს თარგმნიდნენ არა მარტო არაბულ, არამედ სპარსულ და სირიულ ენებზეც. სწორედ წიგნების გამო დაუმეგობრდა ხალიფა ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს. ამავე დროს, მან მოინდომა დაახლოებოდა ბიზანტიელ მეცნიერებსა და მხატვრებს. არსებობს ერთი საქმაოდ



უცნაური ამბავი იმ განათლებული ხალიფას შესახებ, თეოფელი და შემდეგ ბიზანტიის რომ შეებრძოლა და მრავალი ტერიტორიაზე მდგრადი წარმატები მიხვდა—თანახმა ვარ, ყველა დაპყრობილი ქალაქი უკანვე დაგიბრუნოთ, ოღონდ ისეთი მეცნიერები გამომიგზავნეთ, წიგნებს ბერძნულიდან არაბულად რომ თარგმნიდნენო. სწორედ ამ დროს ითარგმნება არაბულად ეცკლიდე, კლავდიოს პტოლემაიონი, ჰიპოკრატე და გალენი. ძალზე მნიშვნელოვანი იყო არაბების გაცნობა არისტოტელეს ნაშრომებთან. როგორც გერმანელი მეცნიერი კოლბი წერდა: „ძეელი ელინი არაბებისათვის თითქმის მეორე წინასწარმეტყველად იქცა. მეტად საყურადღებოა, რომ სწორედ არაბების მეოხებით მოიპოვა მან აქამდე არნახული მნიშვნელობა ქრისტიანულ დასავლეთშიც. აქ იგი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. IX—XI საუკუნეების განმავლობაში არაბებმა არისტოტელესთან ერთად პლატონი და ნეოპლატონიკოსებიც შეითვისეს“.

993 წლიდან ბალდადში არსებობდა „მეცნიერების სახლი“—დიდი სამეცნიერო ცენტრი. მას ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა, რომელსაც მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ და გამოცდილი ბიბლიოთეკარები ემსახურებოდნენ. ამ ცენტრმა 1059 წლამდე იარსება. კაიროში, ხალიფების სასახლის მახლობლად ბრწყინვალე წიგნთსაცავი შეიქმნა, რომელსაც არაბი მპყრობელები დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ. აქ რამდენიმე სამკითხველო დარბაზი ყოფილა, მეცნიერებისათვის კი ცალკე კაბინეტები იყო განკუთვნილი. ქარის ბიბლიოთეკის ფონდი მეტად მდიდარი გახლდათ.

მიჩნეულია, რომ არაბულ ბიბლიოთეკებს შორის ყველაზე უფრო მდიდარი განდი ტრიპოლის (დღევანდელი ლიბანის ტერიტორიაზე) წიგნთსაცავს ჰქონდა. იგი XI საუკუნეში, სულ 30 წლის განმავლობაში არსებობდა, ჰქონდა სამი მილიონი წიგნი, აქედან 50 თასი ცალი ყურანი. ბიბლიოთეკას 180 თანამშრომელი ემსახურებოდა. ჯვაროსნებთან ომის დროს, ხანძრის შედეგად ეს აურცხელი განდი მთლიანად დაიღუპა.

მდიდარი იყო ქალაქ მერვის წიგნთსაცავი, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, ძალზე ბევრი რამ დარჩა ირანის მეფეთა კოლექციიდან. განთქმულ გეოგრაფ იაკუტის სამი წელი უმუშავია მერვის



ბიბლიოთეკებში. მის დროს ქალაქში 12 ახალი წიგნთსაცავი დაგჭურებული არსებიათ, ერთ-ერთ მათგანში კი, დაახლოებით, 12 ათასშე წერტილი ყოფილა. იმავე იაკუტის ცნობით, ბიბლიოთეკათა პატრონები ყველა მკითხველს ენდობოდნენ და არც რამე ბეს სთხოვდნენ. ერთ მეცნიერს სახლში მუდმივად ჰქონდა ამ ბიბლიოთეკიდან გატანილი ორასზე მეტი წიგნი, რომელთაგანაც თითოეულის ღირებულება საკმაოდ ძვირი ყოფილა.

საყოველთაოდ ცნობილი იყო კორდოვის (ესპანეთი) ემირ ალ-ჰაკიმ II-ის უმდიდრესი ბიბლიოთეკა. მას 400 ათასი (სხვა ცნობით, 600 ათასი) წიგნი ჰქონდა. ასურეთის მეფე ასურბანიფალისა არ იყოს, ალ-ჰაკიმს ყველგან თავისი ავენტები ჰყოლია, რომლებიც ხელნაწერებს იძენდნენ, ასლებს იღებდნენ და ა. შ. კორდოვის ამ ბრწყინვალე წიგნთსაცავის კატალოგი 44 ტომს (!) შეადგენდა, თითოეულ ტომში 50 ფურცელი იყო, ფურცელზე კი მხოლოდ წიგნის სათაური აღინიშნებოდა. ალ-ჰაკიმს გადამწერთა მთელი შტატი ჰყოლია, რომლებიც სისტემატურად ამდიდრებდნენ ფონდს. ისინი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მეცნიერების მეთვალყურეობით მუშაობდნენ. ალ-ჰაკიმს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: წიგნს რომ კითხულობდა, თან შენიშვნებსაც მიაწერდა ხოლმე.

ხალიფა ალ-აზიზს (გარდ. 996 წელს) ალ-ჰალილ იბმ აპმადის წიგნი დასკირკებია. მას ბიბლიოთეკიდან დაუყოვნებლივ მოუტანეს 30-ზე მეტი ხელნაწერი, მათ შორის დედანიც. როცა ხალიფის ალ-ტაბარის „ისტორია“ შესთავაზეს, ალ-აზიზმა მასში 100 დინარი გადაიხადა, თუმცა საკუთარ ბიბლიოთეკაში უკვე ჰქონდა ამ ნაშრომის ოცზე მეტი ხელნაწერი და მათ რიცხვში — დედანიც. მოგვიანებით ხალიფას მემკვიდრეების დროს ალ-ტაბარის „ისტორიის“ ხელნაწერების ასოდენობამ ამავე ბიბლიოთეკაში მიაღწია... 1200 ცალს. სულ რამდენი წიგნი ჰქონდა ხალიფას? ზოგი 120 ათასს ასახელებს, ზოგი 160 ათასს, ზოგი—200 ათასსაც. ბიბლიოთეკაში სხვადასხვა განყოფილებები ყოფილა, განყოფილებებში — ქვეგანყოფილებები. ყველა თარო იკრებოდა, ოთახებს კლიტე ედებოდა. გამოჩენილი შეეიცარიელი მეცნიერი ადამ მეცი ამ წიგნთსაცავს ევროპულ ბიბლიოთეკებს ადარებს. გამოირკვა, რომ IX საუკუნეში კონსტანცის ტაძრის ბიბლიოთეკას 356 წიგნი ჰქონდა, 1032 წელს ბენედიქტ ბაუ-



რენის (ბავარია) ბიბლიოთეკას — დაახლოებით 100 წიგნი, ბაქეთის ბიბლიოთეკას — 96.

ჩვენამდე მოაღწია სარდალ ადუდ ად-დაულას წიგნთსაცავის აღწერილობამ. ბიბლიოთეკა სპეციალურ შენობაში იმყოფებოდა, ჰყავდა მმართველი (ვაჭილი), ბიბლიოთეკარი (ხაზინი) და ინსპექტორი (მუშაოფი). ალ-მუკადასის ცნობით, „ადუდ ად-დაულამ თავი მოუყარა ყველა წიგნს, რომლებიც კი მანამდე ცოდნის სხვადასხვა სფეროებში იყო შეთხზული. ბიბლიოთეკა შედგებოდა დიდი ვესტიბიულისა და გრძელი თაღებიანი დარბაზისაგან, რომელსაც ყოველი მხრიდან ოთახები ჰქონდა მიშენებული.“ მთელი კიდლები დიდი, მაღალი კარაფებით იყო დაფარული, წიგნები კი რიგებად თაროებზე ჩამწკრივებული. მეცნიერების სხვადასხვა დარგებს თავიანთი კარადები ჰქონდათ, საგანგებო კატალოგებით. ქალაქ მერვის ბიბლიოთეკისაგან განსხვავებით, რომელზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, აქ ყველას როდი უშვებდნენ. ადუდ ად-დაულას ბიბლიოთეკის წიგნებით მხოლოდ ცნობილ, შეძლებულ მოქალაქეებს შეეძლოთ ესარგებლათ.

ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეთათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ზოგი მფლობელი სულ სხვანაირად ფიქრობდა. პოეტმა და მეცნიერმა იბნ ჰამდანმა (გარდ. 935 წელს) მოსულში „მეცნიერების სახლი“ დააარსა. იქაურ ბიბლიოთეკაში მეტად მდიდარი ფონდი იყო, წიგნები — ყველასათვის ხელმისაწდომი. ღარიბ მკითხველებს ქალალდაც კი აძლევდნენ. თვით ბიბლიოთეკის შექმნელი დღენიადაგ აქვე იყო, საკუთარ თუ სხვა პოეტების ლექსებს კითხულობდა. ყადი იბნ ჰიბანმა (გარდ. 965 წელს) ქალაქ ნიშაპურს დაუტოვა სახლი, სადაც იყო ბიბლიოთეკა, აგრეთვე, შენობები სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მეცნიერების საცხოვრებლად. მანვე დააწესა სტიპენდიები ამ ბიბლიოთეკაში მომუშავე სწავლულთათვის. ამასთან, წიგნების სახლში გადატანა აკრძალული იყო. სარდალ ადუდ ად-დაულას ერთმა დაახლოებულმა პირმა რამხორმოზა და ბასრაში ბიბლიოთეკები დაარსა, სადაც ფულად დახმარებას იღებდნენ არა მარტო ტექსტების გადამწერნი, არა-მედ... მკითხველებიც! XI საუკუნეში სტუდენტებისათვის „ცოდნის სახლი“ გახსნა პოეტმა და დიდებულმა არჩადიმ და სტიპენდიებიც კი დაუნიშნა მათ. მოსულში არსებულ „მეცნიერების სახლში“, რომელიც ასტრონომ ჯაფარ ალ-მავსილი აშ-შახამს დაუარსებია, უამრა-



ვი ხელნაწერი იყო დაცული ასტრონომიასა და ქველბერძნულ ფრაულ სოფიაში. ამ „მეცნიერების სახლთან“ მკითხველთა სხვადასხვა წრედა ები დაარსებულა, რომლებიც ამა თუ იმ დარგს ეუფლებოდნენ:

მემატიანეებმა შემოგვინახეს ცნობები ყველაზე უფრო განთქმული არაბი ბიბლიოფილების შესახებაც.

ერთი მათგანი, ოლ-ჯახიზი წიგნების საოცარი მოყვარული ყოფილა. თუკი რაიმე წიგნი ჩაუვარდებოდა ხელში, აუცილებლად ბოლო-მდე წაიკითხავდა. მას წიგნებით მოვაჭრეებთან ხელშეკრულება პქონია დადებული. თანხას უხდიდა, რათა უფლება პქონოდა ნებისმიერ დროს მათთან მისულიყო, წიგნი აელო და წაეკითხა. ასეთი პიროვნება, მართლაც ბიბლიოფილის სიკვდილით დალუპულა. თურმე, როცა მაგიდასთან იჯდა და კითხულობდა, თავის გარშემო უამრავ წიგნს აწყობდა. ისინი თანდათან დაგროვდნენ და პერამდე მიაღწიეს. და, აი, ერთხელ წიგნების ეს კედელი გადმოვარდნილა, მწიგნობარს ღასცემია და მოუკლავს კიდეც.

ალ-ფარქ იბნ ჰაյანი, ერთ-ერთი ხალიფას დაახლოებული პიროვნება, კარისკაცი იყო. წიგნების გარეშე იგი არავის უნახავს, მათ სახელოში ან მაღალ წალებში ინახავდა.

მეცხრე საუკუნის მწიგნობარს ას-სიგისტანის მკერავისთვის უბრანებია მისთვის ერთი სახელო ფართო გაეკეთებინა, მეორე კი - ვიწრო. რატომ? ფართოში წიგნებს ჩადებდა, მეორე კი, უბრალოდ, არ სკირდებოდა.

იმავე მეცხრე საუკუნეში დიდებულ ალი იბნ იაჰია ალ-მუჰამადის თავის მამულში მდიდარი წიგნთსაცავი დაუარსებია, რომელსაც „ხიზანათ ალ-ჰიკიმ“ (სიბრძნის განძეული) დაარქვა. აქ ბევრი სწავლული მუშაობდა ხალიფატის სხვადასხვა კუთხიდან. საინტერესოა, რომ ყველა მათგანი ბიბლიოთეკაში ხორასნელი ასტრონომი აბუ მაშარი მივიდა. იგი მლოცველთა ქარავანს გამოჰყოლოდა, მექაში მიემგზავრებოდა, მაგრამ უფიქრია, ამაზე კარგ აღგილს სად ვიპოვით და კარგა ხნით დარჩენილა.

თუ VIII საუკუნისათვის ყველა თვალსაჩინო მეჩეთს თავისი ბიბლიოთეკა პქონდა, მათი ფონდები მაღე ძალიან გაიზარდა. ამას ხელს უწყობდა იმდროინდელ წიგნის მოყვარულთა შორის გავრცელებული ჩვეულება — მთელი თავიანთი კოლექცია მეჩეთებისათვის



და ეტოვებინათ. XI საუკუნისათვის უკვე ყველა სკოლას (მედიცინური უნივერსიტეტისა და საავადმყოფოსაც კი თავისი წიგნთსაცავი ჰქონდა.

ახლა დამასკოს (სირია) ეროვნულ მუზეუმში ინახება მეჩეთ ან-ნურის მდიდარი წიგნთსაცავი, რომელიც შეუ საუკუნეებში შეიქმნა. მისი დამარსებელი იყო სულთანი ნური-იდინ ზანკი, ამიტომ წიგნთსაცავს სულთნის სახელი ეწოდა (ან-ნურიია). ცნობილი ბიბლიოთეკა შეიქმნა მედრესე მუსტანსირიისთან (1233 წლიდან). მუსტანსირიის პყოლია დირექტორი, ბიბლიოთეკარი, მისი თანაშემწე და წიგნების მიმტანი. მათ ყოველთვიური ჯამაგირი და საკვები ეძლეოდათ. საინტერესოა, რომ იგივეს ღებულობდნენ პრივატორები, რომლებიც აქ ლექციებს კითხულობდნენ, ხოლო სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ სტიპენდიებით. ბიბლიოთეკარები უპირატესობას ანიჭებდნენ იმ წიგნების შეძენას, რომლებიც აღრე გამოჩენილი პირების საკუთრება ყოფილა. არაბული ტრადიციის თანახმად მათ მყითხველები ყდებზე თავიანთ გვარს აწერდნენ და შინაარსსაც აფასებდნენ (იწონებდნენ).

„სიბრძნის სახლები“, რომლებიც მხოლოდ წიგნთსაცავებს წარმოადგენდნენ, თანდათან „მეცნიერების სახლებით“ შეიცვალა. აქ ბიბლიოთეკაც იყო, სამეცნიერო ცენტრიც და სკოლაც.

არაბულ სამყაროში წიგნი ძვირი ღირდა. IX საუკუნეში ერთ ფრიად შეძლებულ ისპაპანელს თავის წიგნებში 300 ათასი დირჰემი გადაუხდია. X საუკუნეში, როცა ერთ-ერთი ბალდაველი კარისკაცი გარდაიცვალა, მისი წიგნების ლირებულება ორ ათას დინარიდ შეფასდა. ამავე საუკუნეში ბალდადის მმართველს შვილი აუჯანყდა. მისი გამოსვლის ჩახშობის შემდეგ მეამბოხეს 17 ათასი გადაკრული წიგნი ჩამოართვეს. X საუკუნეში რელიგიური არეულობის დროს თავს დაესხნენ ვეზირ აბულ-ფალდა იბნ ალ-ამიდას სახლს. იგი ისე პირტმინდად გაუძარცვავთ, რომ ერთი სკამიც კი არ დაუტოვებიათ, არც რაიმე თასი წყლისთვის. შემდეგ, როცა მღელვარება დაცხრა, მეგობრებმა სხვადასხვა ნიერი გაუგზავნეს, ზოგმა რა და ზოგმა — რა. მაგრამ ვეზირს მხოლოდ თავისი დაკარგული წიგნების დარდი ჰქონდა — ისინი ყველაფერს ერჩივნა. წიგნები კი, ისტორიკოს იბნ-მისკავაინის მოწმობით, „ძალზე ბევრი ჰქონდა, ყველა მეცნიერებაში, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ყველა სფეროში, აქლემის 100 სა—



პალეზე მეტი. როგორც კი დამინახა (ივონებს ისტორიული ძეგლებისა და მათზე მკითხა. როცა ვუპასუხე, რომ წიგნებს არავინ შეხებია, ძალზე გაუხარდა და მითხრა: „ბედნიერება მომანიჭე! ყველა დანაკარგის აღდგენა შეიძლება, წიგნებს კი ვერ აინაზღაურებ“. მე დავინახე, როგორ გაუნათლდა სახე... მთელი მისი ქონებიდან მხოლოდ წიგნები გადარჩა“.

ერთმა სამანიდმა მმართველმა მეცნიერ ალ-საპიბს (გარდ. 994 წელს) შესთავაზა მისი ვეზირი გამხდარიყო. მეცნიერმა უარი განაცხადა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 400 აქლემის საპალნე წიგნები მაქვს, როგორ გადმოვიტანოო. მარტო მისი წიგნების კატალოგი 10 ტომს უდრიდა.

კორდოველ ღვთისმეტყველ ყადი აბულ-მიტრიფს წიგნების 6 გადამწერი ჰყავდა. როგორც კი შეიტყობდა, ვინმეს კარგი წიგნი აქვსო, გაშინვე მის შეძენას ცდილობდა და მეტად დიდ თანხასაც სთავაზობდა. ყადი წიგნებს სახლში არავის ატანდა, მაგრამ იმის წინააღმდეგი არ იყო, ასლი გადაეღოთ. როცა ყადი გარდაიცვალა, მისი წიგნები მეჩეთში მიიტანეს, მთელი წლის განმავლობაში ყიდდნენ და 40 ათასი დინარი მოაგროვეს. XI საუკუნეში ბალდადელ მეცნიერ ალ-ბაიკანის წიგნების ერთი აღგილიდან მეორეში გადასაზიდად 63 კალათი და 2 ყუთი დასპირდა. ამავე საუკუნეში ალ-ყაზვინი ბალდადში ჩამოვიდა წიგნებით დატვირთული ათი აქლემით.

არაბებმა ჩინელებისაგან შეითვისეს ქალალდის წარმოება და შემდეგ ევროპელებს ასწავლეს. ისინი წიგნებს ბრწყინვალედ აფორ-მებდნენ. როცა 923 წელს ბალდადის ხალიფას სასახლესთან მწვალებელ მანის გამოსახულება 14 ტომარა ერეტიკული წიგნებით დაწევეს, კოცონიდან გამდნარი ოქრო და ვერცხლი მოედინებოდა. ხალიფა ალ-მუთამიდის ლექსები ოქროს ასოებით იყო გამოყვანილი. ესთადენი ფუფუნება არაბებმა ბიზანტიელებისაგან გადაიღეს. ცნობილია შემთხვევები, როცა ხალიფები ბიზანტიის იმპერატორებისაგან ისეთ წერილებს იღებდნენ, რომლებიც, ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით, ნამდვილი შედევრები იყო. მათ მიმართვებზე ბერძნული ტექსტი აქროს ასოებით ეწერა, არაბული თარგმანი კი — ვერცხლის ასოებით. ზოგჯერ ხალიფები წიგნებს სპილოს ძვლის ფუტლიარებს უკეთებდნენ! XI საუკუნეში ვეზირ ნიზამ ალ-მულქს ყურანი აჩუქეს, რომლის დიდი ნაწილი ოქროს ასოებით იყო დაწერილი.



ერთი სიტყვით, არაბებმა ნამდვილად იცოდნენ წიგნის ქადაგულა
დროთა განმავლობაში მათი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი განადგუ-
რდა, მაგრამ არსებითი ნაწილი გადარჩა და საუკუნეებს არაბული
კულტურის მრავალი ძვირფასი ძეგლი შემოუნახა.

ადრეული ჟუა საუკუნეები

ძეელ რომში წიგნის ნამდვილი კულტი იყო, მაგრამ როცა ამ სა-
ხელმწიფოს ნანგრევებზე სხვადასხვა ბარბაროსული სამეფო წარმო-
იშეა, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა — ანტიკური სამყაროს
კულტურა განადგურდა.

V საუკუნიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპაში ბიბლიოთეკ-
ების უმრავლესობა მონასტრებთან და ეკლესიებთან იქმნებოდა. როვორი იყო მათი მესვეურების დამოკიდებულება გარდასულ დრო-
თა კულტურისადმი? — ძირითადად უარყოფითი, ხშირად კი აშკა-
რად მტრულიც. ანტიკური კულტურის მრავალი შედევრი დაიღუპა.
ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია, უმდიდრესი ლიტერატურის მცირე ნა-
წილი გახლავთ (ასე, მაგალითად, ევრიპიდეს 90 - ზე მეტი ტრაგედი-
იდან მხოლოდ 18 გადარჩა). თანამედროვე მეცნიერები ხშირად ჩივ-
იან, რომ ამა თუ იმ ძეგლს რაიმე ნაწილი ყვლია. ეს, რა თქმა უნდა,
საკვარველი არ არის. გასაოცარი უფრო ისაა, საერთოდ როგორ მო-
აღწია ამ ძეგლმა ჩვენამდე. ღვთისმეტყველი რაბან მავრი (784—854
წ.წ.), რომელიც, შესაძლოა, სხვებზე არც უკეთესი იყო და არც უა-
რესი, წერდა: „თუ ჩვენ მათთან (ძეელ მწერლებთან - გ. გ.) რაიმე
სასარგებლოს წავაწყდებით, დავიმახსოვრებთ კიდეც. აი, თუკი რა-
მე საჩიანოს ვნახავთ, — ამოვფხიკავთ, ხაზს გადავუსვამთ, ბასრი და-
ნით ამოვჭრით“. ამას წერდა კაცი, რომელიც ჭერ ფულდის (გერმა-
ნიაში) მონასტრის აბატი იყო (სადაც ბიბლიოთეკა შექმნა), შემდეგ
მაინცის არქიეპისკოპოსი, მრავალრიცხოვანი პროზაული კომპლა-
ციების ავტორი, პოეტი.

პარბაროსული სახელმწიფოების მეფეებს, რა თქმა უნდა, არაფე-
რი მოეთხოვებოდათ. მათმა უმრავლესობამ წერა - კითხვა არ იცო-



და (ასურელი მეფეების ცნობილი „ტრადიციის“ შორეული ჰერიტაჟის ხილი!). თვით ოსტგუთების მეფე თეოდორიხიც კი, რომელსაც ხშირად ასე აქებენ ძველი თუ ახალი ისტორიულისები, სრულიად უწიგნური იყო. ერთი მხრივ, იგი გარეგნულად ქედს უხრიდა რომაულ კულტურას, მაგრამ, მეორე მხრივ, გუთების ბავშვების სკოლაში მიბარება აკრძალა. რატომ? ბრძნულად დაასკვნა — გუთის საქმე იარაღის ხმარებაა და არა კალმისაო.

არც კათოლიკური ეკლესიის მესვეურები გამოიჩინოდნენ დიდი განათლებით. ტურის ეპისკოპოსი გრიგოლი აღიარებდა, რომ ლათინური გრამატიკა სუსტად იცოდა. თვით რომის პაპი გრიგოლ პირველიც კი (604 წ.) წიგნების კითხვას ფუჭ საქმედ თვლიდა, თუკი, რა თქმა უნდა, ისინი რელიგიური შინაარსისანი არ იყვნენ. მას ეკლესია „დიდის“ უწოდებს, მაგრამ სწორედ იმ პაპმა გასცა ბრძანება დაეწვათ ციცერონის, ლივიუსისა და ტაციტუსის წიგნები. ზოგი ეპისკოპოსი შეეცადა პაპისათვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ვერაფერს გახდა. ერთ ეპისკოპოსს პაპმა მრისხანე წერილი გაუგზავნა და დაავალა განემარტა, რატომ და რა მიზნით ასწავლიდა იგი ვიღაცას გრამატიკას? ირლანდიელი ეპისკოპოსი პატრიკ დიდ დამსახურებად მიითვლიდა, რომ კერძოუკანისმცემელი ავტორების 300 ხელნაწერი დასწვა:

ამასთან ბარბაროსული სახელმწიფოების მესვეურთაოვის ისიც ცხადი იყო, რომ ნასწავლი ხალხის გარეშე მათ ძალიან გაუკირდებოდათ. საჭირო იყო სკოლები, ბიბლიოთეკები, იდამიანები, რომლებსაც შეეძლოთ წერა, სამღვდელოებას აუცილებლად უნდა ჰქონოდა თუნდაც მცირეოდენი განათლება. სწორედ აღრეულ შუასაუკუნეებში შეიქმნა გამოთქმა: „მონასტერი ბიბლიოთეკის გარეშე იგივეა, რაც სამხედრო ბანაკი — იარაღის გარეშე“. თ ო მ ა აქვინელი წერდა: „მონასტრების ნადვილი განძი ბიბლიოთეკაა. მათ გარეშე მონასტერი იგივეა, რაც უქვაბო სამზარეულო. მაგიდა საჭმლის გარეშე, კა—უწყლოდ, მდინარე—უთევზოდ, მოსასხამი, როცა სხვა რამ ტანისამოსი არ გაგაჩნია, ბალი — უყვავილოდ, ქისა — უფულოდ, ვენახი — უმტევნოდ, სასამართლო, რომელსაც დამცველები არა ჰყავს“.

ორიოდე სიტყვა თვით მონასტრების შესახებ: პერძნულ - რომაული სამყარო ასეთ დაწესებულებებს არ იცნობს. მსგავსი რამ იყო

მხოლოდ ძველ ეგვიპტეში, სადაც მამაკაცების პატარა თემი მერიული ტბის პირას ცხოვრობდა, აგრეთვე ძველ ინდიელებსა და ებრაელებთან. ამ საზოგადოების წევრებს ცოლი არ უნდა მოეყვანათ, ოჯახი არ უნდა შექმნათ. მონასტრების შექმნას წინ უძლოდა ცალკეულ განდევნილთა თავგადასავალი. ზოგმა მათგანმა დიდი სახელი მოიხვევა და მორწმუნეთა აღტაცება დაიმსახურა. 305 წელს ეგვიპტეში ასეთი ამბავი მოხდა: სრულიად გაუნათლებელი ჭაბუკი, სახელიად ანტონიოსი, სახლიდან წავიდა. კარგა ხანს სასაფლაოებზე დაეხეტებოდა, ათასგვარი გაჭირვება გამოიარა, შემდეგ კი წითელი ზღვის პირას დასახლდა. ამ უცნაურმა ამბავმა მიიპყრო კიდეც ყურადღება. ახალგაზრდა განდევნილს დიდ პატივს სცემდნენ ეპისკოპოსი ათანასე და თვით იმპერატორი კონსტანტინეც კი, ანტონიოსის სახელი ყველას პირზე ეკერა და ბერი მიმბაძველიც გამოუჩნდა. ჯერ ცალ-ცალკე დაიწყეს უდაბნოში გადასახლება, შემდეგ კი მთელი საზოგადოებები შეადგინეს. რომში ამ მოვლენას თავდაპირველად ზიზლითა და სიძულვილით შეხედნენ, მაგრამ უკვე 341 წლისათვის მონასტრებმა და ბერებმა აქაც შეაღწიეს. პირველ განდევნილებს უცნაური მიმდევრებიც გამოუჩნდა. სირიაში ბერი სიმეონი მაღალ ბოძე ავიდა, იქ ბუდის მსგავსი რამ გაიკეთა და 30 წელს ჩამოუსვლელად ცხოვრობდა. საჭმელი მას არ აკლდა, რადგან ბერის სანახად სირიის სოფლებიდან თუ ქალაქებიდან დიდძალი მორწმუნე მოდიოდა. იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც „სულის სახსენებლად“ ქალაქებს გაექცეოდნენ ხოლმე, უფრო და უფრო იზრდებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ მთელი სიცოცხლე მონასტერში ყოფნა მათ სინდისზე იყო დამკიდებული და რაიმე გარეშე იძულებას აღგილი არ შეიძლება ჰქონოდა. უკვე მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში იტალიაში, გალიასა და ესპანეთში არაერთი მონასტერი იყო. სულ მალე ისინი ქრისტიანული ეკლესიის დასაყრდენად იქცნენ და თანდათანობით დიდი როლი შეასრულეს ფეოდალური კულტურის შექმნაში

მონასტრების პირველი წესდება ბასილი დიდმა შეადგინა. დიდად გავრცელდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე ბენედიქტე ნურსიელის (მან დასავლეთ ევროპაში არაერთი მონასტერი დააარსა) წესდება; სადაც ერთი აუცილებელი მუხლი შედიოდა: ბერებს ყოველდღიურად, ლოცვის გარდა, რაღაც სხვაც უნდა გაეკეთებინათ—ფიზიკურად



ან გონებრივად ემუშავათ. გონებრივი მუშაობა კი წიგნების კოსტუმულ ან გადაწერას ნიშნავდა.

აპულიაში (იტალია) სახელი გაითქვა მონტე-კასინოს მონასტერმა, რომელიც სწორედ ბენედიქტე ნურსიელმა დააარსა. აქ, ბერების მიერ გადაწერილი წიგნებისაგან ბიბლიოთეკა შეიქმნა. წიგნები ძირითადად რელიგიური შინაარსისა იყო, თუმცა გვხდებოდა ანტიკური ევტორების შრომებიც.

იტალიასა და გალიაში, ბარბაროსების გაუთავებელი შემოსევების შედევგად, ანტიკური კულტურის დიდძალი ძეგლი განადგურდა, და რაც გადაარჩა (VI-VII საუკუნეების მანძილზე), ისიც ირლანდიის მონასტრების დამსახურებაა. ირლანდია, რომელიც ბერძნულ-რომაული სამყაროს განაპიროს მდებარეობდა, გადაურჩა ბარბაროსულ ტალღებს. V საუკუნეში, როცა სხვადასხვა დამპყრობლებმა გალია არაერთგზის აონხრეს, ამ ქვეყნიდან ირლანდიაში ანტიკური ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი გაიქცა. ცხადია, მათ თან წაიღეს ბერძნული თუ ლათინური წიგნები, რომლებიც მიიკრიდან ირლანდიურ მონასტრებში ინახებოდა და მრავლდებოდა. წმინდა პატრიკის მონასტრერში ბერები, ამ პერიოდისათვის დასავლეთ ევროპაში ვერიანად მივიწყებულ ბერძნულ ენასაც კი ფლობდნენ. მაღვე ირლანდიელებს კონკურენტიც გამოუჩნდათ. 673 წლისათვის მნიშვნელოვნად იცვალა სახე ინგლისურმა ეკლესიამ, რომელმაც მონასტრების (და აქედან გამომდინარე — ბიბლიოთეკების) მთელი ქსელი შექმნა. ინგლისელი და ირლანდიელი ბერები სპეციალურად არაერთგზის ეწვივნენ რომისაც, რათა თავიანთი ბიბლიოთეკებისათვის წიგნები შეეძინათ. განსაკუთრებით დიდი სახელი ჰქონდა კენტერბერიის სააბატოს ბიბლიოთეკას. VII საუკუნემდე, ძველი ინგლისური დამწერლობის შექმნამდე, იქ მხოლოდ ბერძნული და ლათინური წიგნები ინახებოდა.

დასავლეთ ევროპაში თანდათან იმატა ბიბლიოთეკების რაოდენობამ. იტალიის ზოგი ქალაქი ზარბაროსებს გადაურჩა და სწორედ ამ ქალაქებში წარმოიქმნა საქმაოდ მდიდარი წიგნთსაცავები. VII-VIII საუკუნეებში პავიის (ჩრდილოეთ იტალია) ახლოს მონასტერში ხელნაწერების კარგი კოლექცია ინახებოდა. ბევრი წიგნი ყოფილა ვივარის (სამხრეთ იტალია) მონასტრერშიც. უფრო მოვაიანებით, X საუკუნეში, მდიდარი ფონდი ჰქონდა პრალის საეპისკოპოსო ბიბლიო-

თევანი, იგივე ითქმის პრალის მახლობლად მდებარე ბენედიქტელუფაშვილი მონასტრებზეც.

სანტერესოა, მაინც რა წიგნები ჰქონდათ ოდრეული შუა საუკუნეების ბიბლიოთეკებს?! ესპანურ ქალაქ სევილიაში ებისკოპოსის რეზიდენცია იყო. ეპისკოპოს ისიდორეს წიგნთსაცავში ნახავდით ბიბლიას. ეკლესიის მამათა წიგნებს, ქრისტიან პოეტებს, იურისტების ნაშრომებს, იყო ცალკეული წიგნებიც კოსმოგრაფიაში, გეოგრაფიაში, გრამატიკაში, ზოოლოგიაში და ა. შ. კატალოგი ანბანით იყო შეღვენილი. ბიბლიოთეკის პატრონი, ეპისკოპოსი ისიდორე (570—636 წ.წ.) შემთხვევითი პიროვნება კი არ ყოფილა, არამედ თავისი დროისათვის კარგად ცნობილი სწავლული. იგი შეეცადა ანტიკური მეცნიერებისა და ლიტერატურის ნაშთის სისტემატიზაციის და თავისებური ენციკლოპედიაც კი შექმნა. მას „ეტიმოლოგია“ ეწოდებოდა. ისიდორე სევილიელი ფიქრობდა, რომ ყველა ცხოველს სახელი პირველად ადამია დაარქვა ეპრაულ ენაზე, რომ ქვებს სასწაულმოქმედი თესებები ჰქონდა ა. შ. „ეტიმოლოგია“ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ცოდნის წყროდ ითვლებოდა, ხოლო მის ავტორს დიდი იყტორიტეტი ჰქონდა.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ დასავლეთ ევროპაში წიგნები მეტისმეტად ძვირი იყო. ეს გასაგებია თუნდაც იმიტომ, რომ ბიბლიის ერთი ეგზემპლარის დამზადებას 200 ხბოს ტყავი სჭირდებოდა. ამტომაც იყო, რომ ანუს გრაფის მეულემ ერთ-ერთ წიგნში 200 ცხარი და რამდენიმე ურემი პურის ფქვილი მისცა! ამ დროს იტალიაში ტიტუს ლივიუსის ტექსტის ფასად მშვენიერი ვილის ყიდვაც კი შეიქლებოდა. დიახ, დრო შეიცვალა! ის, ვისაც რამდენიმე თეული წიგნისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, უკვე მდიდარ კაცად ითვლებოდა. ოდესლაც, როცა პაპირუსზე წერდნენ, ასეთ ბიბლიოთეკას საჩვენად არავინ ჩააგდებდა. მაგრამ პაპირუსი ხომ მხოლოდ ეგვიპტეში იშოვებოდა და არაერთი ნაკლიც ჰქონდა. პაპირუსი არამარტინა, მალე ფუჭდება, ნესტს ვერ უძლებს, მხოლოდ ერთ მხარეს უნდა წერო, მელანს არ იმჩნევს, კითხვაც კი ძნელია... და თანაც პაპირუსის შოვნა ევროპელთათვის თითქმის შეუძლებელი გახლდათ.

შაშ ასე, რჩებოდა პერგამენტი. პერგამენტზე შესრულებული უძველესი ტექსტები 1923 წელს ევფრატის ნაპირებზე აღმოჩნდა. მათ



196-195 წლებით ათარიღებდნენ. პერგამენტს პაპირუსთან შექმნილი ით დიდი უპირატესობა აქვს. იგი არ ტყდება, წერა ორივე მათგანულება, მაგრამ არის არსებითი ფაქტორიც—პერგამენტი პაპირუსთან შედარებით ძალზე ძვირია.

პაპირუსისა და პერგამენტის მეტოქეობა ძალიან დიდხანს, ათას წელზე მეტს გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპას ეგვიპტესთან თითქმის აღარავითარი კავშირი ჰქონდა, უნდოდათ თუ არა, პერგამენტზე უნდა ეწერათ. VII საუკუნეში გამოიცა კანონი, რომ ყველა მნიშვნელოვანი დადგენილება, დიდხანს შენახვის მიზნით, მხოლოდ პერგამენტზე უნდა გადაეტანათ. რაც შეეხება პაპირუსს, იგი, მართალია, ძალზე მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შემოღოდა ევროპაში. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ 1022 წელს რომის პაპის ერთ-ერთი ბულა (მიმართვა, წერილი) პაპირუსზეა დაწერილი.

ის, რომ, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სწავლა-განათლების საქმე და ბიბლიოთეკები თითქმის მთლიანად სამღვდელოების ხელში იყო, ბევრ რამეს ამუხრუჭებდა. ისინი ალმაცერად უყურებდნენ ხელოვნებას (მილიონობით ბერ-მონაზონთაგან, ცალკეული გამონაკლისის გარდა, დიდი მეცნიერები არ გამოსულა). მათი განათლების დონე, როგორც ცნობილია, მეტისმეტად დაბალი იყო. თვით ბენედიქტე ნურსიელის წესდებაც კი არ მოითხოვს ბერებისა-გან წერა-კითხვის აუცილებელ ცოდნას. შემონახულია საკმაო რაოდენობის დოკუმენტი, რომლებიც ერთ უცნაურ ამბავს ცხადყოფენ: ძალიან ხშირად თვით მაღალი წოდების სასულიერო პირებიც კი დოკუმენტებს ხელს კი არ აწერენ, არამედ ჯვარს უსვამენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალკედონის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის 40 ეპისკოპოსი იყო, რომლებმაც არც წერა იცოდნენ და არც კითხეა. მოგვიანებით მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ უწიგნურთა რიცხვმა კიდევ უფრო იმატა. ინგლისის მეფე ალფრედ დიდი ჩიოდა, რომ პუმბერიდან ტემზამდე არ მოიძებნებოდა სასულიერო პირი, რომელმაც მშობლიურ ენაზე იცოდა ლიტურგია, ანდა შეეძლო ლათინური ტექსტებიდან თუნდაც ყველაზე იოლი ადგილები ეთარგმნა. რაც შეეხება საერო პირებს, როგორი უნდა ყოფილიყო მათი განათლება — მათ ხომ სწორედ ასეთი უვიცი ბერებისაგან უნდა ესწავლათ!



მონასტრებს კლასიკური კულტურის ძეგლების შემონახვისა და მონასტრების შეცვლისა და გაუკეთებით. 855 წელს ერთი ფრანგი აბატი ანტონი მარტინი პას თხოვდა მისთვის გადასაწერად მიეცა ციცერონის „ორატორი“ და კვინტილიანეს წიგნი მშევრმეტყველების შესახებ, რადგან მთელ საფრანგეთში ამ ადრე ფრიად პოპულარული ნაშრომების ერთი სრული ტექსტიც კი არ მოიპოვებოდა. საოცარი ბედი ეწია ტიტუს ლივიუსის „ისტორიის“ სრულ ტექსტს. ფონტევრის მონასტერმა იგი, როგორც ძელი პერგამენტი, რომელილაც ვაჭარს მიჰყიდა. ვაჭარმა, თავის მხრივ, ეს უძვირფასესი ისტორიული წყარო ერთ-ერთ მკერავს დაუთმო, მკერავმა კი მისგან საპატიო ბუშტები გააკეთა და ისე გაყიდა. პეტრარკამ ქალაქ ლიუტიხში (დღევანდელი ლიეჟი) ციცერონის მახამდე დავარგულად ცნობილ ორ სიტყვას მიაგნო. მოინდომა კიდეც მათი გადაწერა, მაგრამ ვერც ქალაქში და ვერც ახლომახლო მდებარე მონასტრებში მელანი ვერ აღმოაჩინა — არავის ჰქონდა. ბოკაჩო ერთხელ იტალიელ ჰუმანისტ ბენვენუტო დე იმოლას ეპიზოდს მოუყვა: როცა აბულიაში იყო, მოინდომა მონტე-კასინოს ცნობილი მონასტრის ბიბლიოთეკა დაეთვალიერებინა, რომლის შესახებაც ბევრი რამ გაეგონა, მივიდა კიდეც მონტე-კასინოში და ერთ-ერთ ბერს, რომელიც სხვებთან შედარებით ნაკლებ პირქუშად მოეჩვენა, სოხოვა გაედო მისთვის ბიბლიოთეკა. ბერმა მაღალი კიბისკენ მიუთითა და უთხრა: „ზევით ადი, ბიბლიოთეკა ლიაა“. ბოკაჩოს მეტად გაუხარდა, მაგრამ როცა კიბეზე ვიდა, თვალშინ უცნაური სანახაობა წარმოუდგა. ბიბლიოთეკას კარები საერთოდ არა ჰქონდა, არც არასოდეს იკეტებოდა! ფანჯრებში ბალახი ამოსულიყო, წიგნის თაროები მტვრით იყო დაფარული, ხან ერთი წიგნი აიღო ხელში, ხან მეორე, აქ, მართლაც, მრავალი ძვირფასი ტომის ნახვა შეიძლებოდა, კლასიკური ლიტერატურის არაერთი ძვირფასი ნიმუშისა, მაგრამ მათ საერთოდ არავინ უცლიდა: ზოგს ყდა აკლდა, ზოგს ფურცლები, ზოგი კი საერთოდ გაფუჭებული იყო (ვის ხელში აღმოჩნდა ანტიკური ხანის უდიდესი ავტორების ნაშრომ-ნამოლვაწარი!). როცა ბოკაჩო მონასტერში დაბრუნდა, ბერს ჰქითხა, რატომ არავინ უცლიდა ამ უძვირფასეს წიგნებს. მან მიუგო, რომ ზოგიერთი ბერი, ცოტაოდენი ფული რომ ეშვება, ამ ტომებიდან ფურცლებს ხევდა, ტექსტს შლიდა, შემდევ პატარა წიგნაკებს ამზადებდა და ჰყიდდა. ეს ხდებოდა ბიბლიოთეკაში, რომელსაც მთელ დასავლეთ ევროპაში დიდი სახელი ჰქონდა.

ნდა! რა თქმა უნდა, მონტე-კასინოს მონასტერი გამონაკლისი არ არ ფილა. პოვით ბრაჩოლინიმ, ძველ ხელნაშერებს რომ ეძებდეს შემცირა
ჰალენსა და რაიხენაუშიც ასეთივე ქასი ნახა. რიგით სასულიერო
პირებს რა მოეთხოვებოდათ, როცა თვით საეკლესიო კრებები მოე-
ლი რიგი ავტორების წინააღმდეგ საგანგებო დადგენილებებს იღებ-
დნენ. ტურის (1163 წ.) და პარიზის (1209წ.) საეკლესიო კრებები ბე-
რებს საერთოდ აუკრძალადნენ „მავნე“ წიგნების კითხვას. განსაკუ-
თრებით აითვალიშუნეს ნაშრომები ფიზიკაში (მხედველობაში ჰყავ-
დათ არისტოტელე). 1139 წელს ლატერანის საეკლესიო კრებამ
ბერებს მედიცინაში მუშაობა აუკრძალა.

ის ბერები, რომლებიც მაინც იშერდნენ ძველ ხელნაშერებს (სხვა
საკითხია, როგორ იშერდნენ!). ალბათ მცირე გამონაკლისნი იყვნენ.
აი, რას წერდა კულტურის ცნობილი ისტორიკოსი კოლბი: „მონასტ-
რებს, კლასიკური ლიტერატურის გადარჩენის მიზნით, თუნდაც იშის
მესამედი რომ გაეკეთებინათ, რასაც მათ მიაწერენ, არც ერთი ძველი
ავტორი არ დაიღუპებოდა! XV საუკუნეში მარტო ბენედიქტელთა
ორდენს 5107 მონასტერი ჰქონდა. დაე, თითოეულ მონასტერს 10.
წელიწადში ერთხელ მაინც თუნდაც ერთი კლასიკური ავტორი გა-
დაეწერა!“

ასე რომ, მონასტრებმა მხოლოდ ნაწილობრივ გადაარჩინეს კლა-
სიკური კულტურის ძეგლები. ამ მხრივ, გაცილებით მეტი დამსახუ-
რება სხვებს მიუძღვით — პირველ რიგში კი ბიზანტიის ბერი-
ტია, ბერძნულ-რომაული კულტურის მემკვიდრე, გარკვეულ პერი-
ოდამდე კარგად უვლიდა კლასიკური კულტურის ძეგლებს, ასელი
მას შემდეგ, რაც ეს სახელმწიფო განაღვურდა, ბევრი ბიზანტიის
იტალიაში გაიქცა და ამით არა ერთი ძეგლი გადაარჩინა. საბოლოოდ
გადარჩა გაცილებით მეტი ბერძნული წიგნი, ვიდრე ლათინური, მიუ-
ხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის სამღვდელოება ბერძნულ
ენას და ლიტერატურას ალმაცერად უყურებდა. ძალიან ბევრი ნაშ-
რომი (არისტოტელე, ევკლიდე, კლავდიოს პტოლემაიონის) გადაიზ-
ჩინეს არაბებმაც, თუმცა ისიც ცნობილია, რომ არაერთი ანტიკური
ნაწარმოები, რომელიც არაბებისათვის ცნობილი იყო, შემდეგ მასნც
დაიკარგა. უნდა აღინიშნოს იტალიური ქალაქების დამსახურებაც—
ზოგი რამ სწორედ მათ შემოგვინახეს.

მაშინ, როდესაც ანტიკური მემკვიდრეობის განადგურების შემდეგ თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა ღრმა კულტურულ კრიზისს განიცდიდა, განათლებული ადამიანები აქა—იქ თუ შემორჩნენ. რომაელი არისტოკრატი ბოეციუსი ერთი იმ მცირეთაგანი იყო, რომელიც სრულიად უმეტარ ბარბაროსულ ზედაფენებში არ გაითქვიფა და ანტიკური კულტურისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. იგი პლატონს სწავლობდა, ამუშავებდა არისტოტელეს ნაშრომებს, საიდანაც ვრცელი ნაშენებები ამოიწერა. როცა ბოეციუსი იტალიაში ისტგუთების ბატონობის წინააღმდეგ გამოვიდა, ამ უკანასკნელთა მეფე თეოდორიხის ბრძანებით დააპატიმრეს. მან საპყრობილები დაწერა თავისი, საუკუნეების მანძილზე ფრიად განმაურებული „ფილოსოფიით ნუ-გეშისცემის შესახებ“, წიგნი ღრმად პესიმისტური, რომლის ავტორი ძალზე განიცდის თავისი კლასისა და მთელი ძველი კულტურის განწირებლობას.

სხვა განათლებული პირები ასე თუ ისე შეეგუენ ახალ პირობებს, ბარბაროს მეფეებს ემსახურებოდნენ. რომაელი სენატორი კასიოდორი დიდხანს იმავე თეოდორიხის დახმარებული პირი იყო და გამდიდრდა კიდევ. მას შემდეგ, რაც იუსტინიანეს განთქმულმა სარდალმა, საჭურისმა ნარზესმა ოსტგუთების იტალიური სამეფო დაამხო და და ისინი აპენინის ნახევარკუნძულიდან სამუდამოდ გააძვეა, კასიოდორი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოსცილდა და კალაბრიაში გავარიუმის მონასტერი დააარსა, მან პირველმა გამოიტანა დასკვნა, რომ მონასტერებს ანტიკური ძეგლების გადარჩენის საქმეში ბევრი რამის გაკეთება შეეძლოთ. თვით კასიოდორმა „გუთების ისტორია“ დაწერა, რომელმაც ჩვენამდე VI საუკუნის ავტორ იორდანის მიერ გადამუშავებული სახით მოაღწია.

მეცნიერების დონე საოცრად დაბლა დაეცა. ამის მაგალითია თუნდაც კოზმა ინდიკოპლოვის (VI ს.) „ქრისტიანული ტოპოგრაფია“, საღაც ვკითხულობთ, რომ დედამიწას პრტყელი პარალელოგრამის ფორმა აქვს და იგი ყოველი მხრიდან ოკეანით არის გარემოცული. ოკეანის იქით სამოთხეა, მზე და სხვა მნათობები ჩრდილოეთში მყოფ უზარამაზარ მთას გარს უვლიან და ა. შ.

არც ისე დიდი ხნის შინათ აყვავებული იტალია და გალია უკვე არაფრით განსხვავდებოდნენ ბარბაროსული სამყაროსაგან შაჟერის და ულტრული გათანაბრება“. ძნელია დავუჯეროთ გერმანელი ისტორიების დოპშის ნათქვამს, რომ ასეთ ფონზე გერმანელები გამოიწეოდნენ, ვითომდა მათი ოდინდელი კულტურის გამო. ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორიც ცეზარი და ტაციონისა, გერმანელებზე სულ სხვა რამეს წერენ.

ერთი სიტყვით, VI-VII საუკუნეებში დასავლეთი ევროპა წყვდიალმა მოიცა. ერთგვარ გამოცოცხლებას მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევარსა და IX საუკუნის დასაწყისში ვხედავთ. ამ მოვლენას „კაროლინგური ოლორძინება“ ეწოდება.

ფრანკთა უზარმაზარი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს კარლოს მარტელს, პიპინ მოკლესა და კარლოს დიდს მოკავშირეები სჭირდებოდათ. კარლოს დიდს შეგნებული ჰქონდა, რომ მილიონბით ადამიანებს მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით ვერ იყოლიებდა მორჩილებაში, საჭირო იყო იდეოლოგიური ზემოქმედებაც. ეს კი ეკლესიას უნდა განეხორციელებინა. ამიტომ ფრანკების მეფე ცდილობდა ეკლესიისათვის ავტორიტეტი შეექმნა. რათა სამღვდელოება რამდენადმე განათლებული მაინც ჰყოლოდა, კარლოს დიდმა უკვე 769 წელს გამოსცა კაპიტულარი, სადაც ეპისკოპოსებს უბრძანა ეზრუნათ მღვდლების განათლების შესახებ, მათთვის კი, ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, ამიერიდან წირვა აეკრძალათ. 787 წელს ეპისკოპოსებსა და მონასტრებს გაუგზავნეს ცირკულარი, სადაც ამაზევეა ლაპარაკი. ღვთისმოსავი მეფე იმასაც წერს, რომ ლოცვისას, ადამიანები ძალაუნებურად სცოდავენ, წიგნებში (გადაწერისას) შეცდომებიც განარული.

საინტერესოა ალინიშნოს, რომ თვით კარლოს დიდი (768-814) თავისი მეფობის დასაწყისში, რომ იტყვიან, ნამდვილი მცირემცოდნე იყო. ყმაშვილობაში მას მხოლოდ ტახვარჯიში ასწავლეს. შემდეგ რის ვაი-ვაგლახით დაეუფლა ლათინურ ენას, შეეძლო ამ ენაზე ლაპარაკი (მეფემ ცოტაოდენი ბერძნულიც ისწავლა), თუმცა წერა-კითხვა ძალიან უჭირდა. როგორც მისი ბიოგრაფი აინპარდი წერს, უკვე ხანდაზმული მეფე ძილის წინ ბალიშის ქვეშ მოსანთლულ ფირფიტებს იდებდა და, როცა უძილობა ეუფლებოდა, ცდილობდა ამ ფირფიტებით ლათინური ასოები გამოეყვანა. მით უმეტეს უცნაურია, რომ კარლოს



დიდი თავისებური „ბიბლიოფილი“ იყო. მისი დროისაშეწყალისა
როებზე (წერილები, ლექსები) დაყრდნობით შეიძლება მტკიცება,
რომ მეფე დიდად დაინტერესდა კარგი წიგნების შეძენით. ააპენში,
კარლოსის ბიბლიოთეკაში ინახებოდა არა მარტო პოპულარული ან-
ტიკური ავტორების (პლინიუსი, ციცერონი, სალუსტიუსი), არამედ
ავგუსტინესა და სხვათა წიგნებიც. მათ ნაწილს კარლოსი იცნობდა
კიდეც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნები მას სწავლულმა მრჩევე-
ლებმა წაუკითხეს და სათანადო აუხსნეს კიდეც, თორემ მცირე-
მცოდნე მეფის დამოუკიდებელი მუშაობა ამ როულ ტექსტებზე ჩვენ
ღაუჭერებლად გვეჩვენება. კარლოს დიდის ანდერძში ასეთ კურიო-
ზულ ცნობასაც კხვდებით—როცა გარდაიცვლებოდა, მისი წიგნები
სხვადასხვა შეძლებული პირებისათვის კარგ ფასად უნდა მიეყიდათ,
ლარიბებისათვის კი უფასოდ დაეთმოა!

კარლოს დიდის პირადი ბიბლიოთეკა ააპენში მისი უზარმაზარი
სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები არისტოკრატებისა
თუ სამღვდელოების ზედაფენებისათვის მისაბაძი გახდა. ამ დროს
ფართოდ ხდება ცნობილი შარტრის ტაძრის, კამბრეს, კლერმონის,
ლიონის და სხვა მონასტრების ბიბლიოთეკები. ყველა ამ მონასტერს
სკრიპტორიუმები ჰქონდა, სადაც წიგნებს ამრავლებდნენ. ამ სახე-
ლოსნოებში ერთი რომელიმე სწავლული ბერი ერთბაშად რამდენიმეს
უკარნახებდა, შემდეგ კი ტექსტებს ამოწმებდნენ, ცდილობდნენ შე-
ცდომები არ გაპარულიყო. ყველაზე დიდი სახელი ტურის წმინდა
შარტრის მონასტრის სკრიპტორიუმს ჰქონდა. ცნობილია ლორშის,
ბობიოს, ფლერის და სხვა მონასტრების სკრიპტორიუმებიც. სწო-
რედ მათი საშუალებით გახდა შესაძლებელი, რომ ზოგიერთ მონას-
ტერს უკვე 300—400 ხელნაწერი ჰქონდა, რაც ამ დროისათვის დიდ
რიცხვად უნდა ჩაითვალოს. 7 000 ხელნაწერი ჩვენამდეა მოღწეული
და ევროპის სხვადასხვა წიგნთსაცავებში ინახება. ზრუნავდნენ ხელ-
ნაწერების გარეგნულ გაფორმებაზეც. თუ აღრინდელ გადამწერებს
ყოვლად უვარებისი, გაუგებარი ხელწერა ჰქონდათ, ახლა ამ მხრივ
საქმე გამოსწორდა. შეარჩიეს ისეთი ბერები, რომლებიც ლამაზად,
მკაფიოდ გამოიყვანდნენ ხოლმე ასოებს (ე. წ. კაროლინგური მინიატურებით, ინიციალური

ასოებით იყო დამშვენებული. საინტერესოა, რომ ზოგი მათგანი მართვა
ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

რა წიგნებს ამრავლებდნენ სკრიპტორიუმებში? აქ იყო არა მარ-
ტო სასულიერო, არამედ საერო ლიტერატურაც. მრავლდებოდა ცი-
ცერონის, ცეზარის, სალუსტიუსის, ლივიუსის, ტაციტუსის, სვეტო-
ნიუსის, რომაელი პოეტების წიგნები. რა თქმა უნდა, ასეთი დონის
ავტორები კაროლინგურ ეპოქას არა ჰყავდა და მათ საყოველთაოდ
ბაძავდნენ.

განმანათლებლურ საქმიანობას მეცნიერების ჯგუფი ჩაუდგა სათა-
ვეში, რომელსაც მეფე ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. მის კარზე
განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა ანგლოსაქსი ბერი ალკუინი
(730-804 წწ.), რომელმაც ინგლისში, იორქის სკოლაში მიიღო გან-
ათლება. ალკუინი კარლოსმა 781 წელს პავიაში (იტალია) გაიცნო.
მომდევნო წელს მეფის მოწვევით, რომელიც მოიხიბლა ბერის ცოდ-
ნით, 4 პირთან ერთად კარლოსს ეწვია, გახდა მისი მთავარი მრჩეველი
განათლების საკითხში, ასწავლიდა მასაც და უფლისწულებსაც. 782-
796 წლებში ალკუინი სასახლის სკოლას ხელმძღვანელობდა, რომე-
ლიც მეფეს ყველა ქვეყანაში თან დასდევდა. ბერი ჩინებულ გასამრ-
ჩელოს იღებდა. ეს იყო სრული შემოსავალი სამი დიდი სააბატოდან.
მის მამულებში 20 ათასი ყმა მუშაობდა.

ალკუინი სახელმძღვანელოებს აღგენდა გრამატიკაში, რიტორიკაში,
ასტრონომიაში. მისი წიგნები V საუკუნის მწერალ მარტიან კაპელას
და სხვათა კომპილაციას შეადგენდნენ. მარტიან კაპელას გამაუ-
რებული. 9 წიგნისაგან შემდგარი „ფილოლოგიისა და მერკურიუსის
ქორწინების შესახებ“, ეტყობა ალკუინისათვის მიბაძვის საგანი იყო.
აქ კაპელა მიმოიხილავს „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას“ (გრამატი-
კას, რიტორიკას, დიალექტიკას, გეომეტრიას, არითმეტიკას, ასტრონ-
ომიასა და მუსიკას).

ეს „შვიდი ხელოვნება“ ჩვენ მიერ უკვე ხსენებულმა რომაელმა
მეცნიერებმა ბოეციუსმა და კასიოდორმა ორ ჯგუფად დაყვეს. ერთი
გახლდათ ტრივიუმი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა), მეორე —
კვადრივიუმი (გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა)
ვინც ამ მეცნიერებებს დაეუფლებოდა, XV-XVI საუკუნებამდე დი-
დად განსწავლულ პიროვნებად ითვლებოდა. ასეთი, ცხადია, ძალ-
ზე ცოტა იყო. გრამატიკის დაუფლება ნიშნავდა ზოგიერთი კლა-



სუკური ავტორის ტექსტისა და კომენტარების კითხვას, რიტოკის მიზანისად მეტყველებას, წერის ცოდნას და ა. შ.

გვალების განვითარებისა და განვითარების კითხვას, რიტოკის მიზანისად მეტყველებას, წერის ცოდნას და ა. შ.

მეფის დაახლოებული პირი იყო ისტორიკოსი პავლე დიაკონი, მასშე 20 წლით უფროსი (დაიბადა 720 წელს). პავლე წარმოშობით ლანგობარდულ არისტოკრატისა ეკუთვნოდა, მან მეფის კარზე პავი-აზი ჩინებული განათლება მიიღო, იცნობდა ანტიკურ ავტორებს, კარ-გად იცნობდა ბერძნული ენა, მას შემდეგ, რაც კარლოსმა ლანგობარ-დების მეფე დეზიდერიუსი დამხმ, პავლე სამხრეთ იტალიაში წავი-და და 774 წელს მონტე-კასინოს მონასტერში ბერად შედგა. სულ ორიოდე წლის შემდეგ მისმა ძმამ არიხისმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ იტალიაში კარლოს დიდის საწინააღმდეგო აჯანყებაში. ეს აჯანყება ჩააქრეს, არიხისი კი დააპატიმრეს და სხვებთან ერთად საურანგეთში გაგზავნეს. მისი ოჯახი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, მა-შინ პავლე დიაკონმა კარლოს დიდს ლექსად დაწერილი გულისამა-ჩუყებელი თხოვნა გაუგზავნა, საღაც იღწერა არიხისის ცოლისა და მისი ოთხი შვილის უნუგეშო მდგომარეობა. კარლოსი პოეტებს დიდ პატივს სცემდა - ამ მიმართვის შემდეგ დაპატიმრებული გაათვისუ-ცელა, პავლე დიაკონი დაიახლოვა და გვერდიდან აღარ იშორებდა. შე-მჩევში პავლემ სპეციალურად მეფისათვის „ლანგობარდების ისტო-რია“ დაწერა.

მეფის კიდევ ერთი საყვარელი პირი, მეცნიერი და პოეტი აინჰა-რი 770 წელს დაიბადა. განათლება ფულდის მონასტერში მიიღო. ერთას ალკეინის ხელმძღვანელობით სასახლის სკოლაშიც სწავ-ლობდა. მისი მთავარი ნაშრომია „კარლოს დიდის ცხოვრება“, რომელ-ზეც მუშაობისას ფართოდ გამოიყენა სვეტონიუსის პოპულარუ-ლი „აეგაუსტუსის“ ბიოგრაფია“ („12 ცეზარის ცხოვრებიდან“). აინ-ჰარდმა აქედან აიღო არა მარტო ნაწარმოების სქემა, არამედ მრავა-ლი კამოთქმა და მთელი რიგი ფრაზები. რა კარგია, რომ „პლავია-ტის“ ცნება მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა! ეტყობა, თვისი წიგნის ორივინალობაზე აინჰარდი ნაკლებად ზრუნავდა, ეამაყებოდა კი-დეც, რომ სახელოვან რომაელ ისტორიკოსს ბაძვდა. ასე თუ ისე, ვინც კარლოსის ეპოქის სწავლობს, აინჰარდის ნაშრომს გვერდს ეერ აუვლის. მეფის სიკვდილის შემდეგ აინჰარდი უკვე მისი შვილის მრჩეველი გახდა. 826 წლამდე იგი „ლორშის მატიანეს“ შედგენას ხელმძღვანელობდა.



სასახლის კარზე ძალზე დაწინაურდა თეოდულპი. იგი ერთ-ერთი უმცირესი გუთი იყო, ადრე ესპანეთში ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც კარლოსმა 778 წელს უიღბლოდ ილაშქრა პირენეის ნახევარკუნძულზე, თეოდულპი მას გამოყვა და ძლიერ დაუახლოვდა. მალე იგი ორლეანის ეპისკოპოსი გახდა, მეფის სხვადასხვა საპასუხისმგებლო დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა. იმავე დროს თეოდულპი კარის პოეტი იყო, ლათინურ ენაზე სატირულ ლექსებს წერდა და სხვადასხვა მწერლებს მასხრად იგდებდა. მას უნდა მიეღო მონაწილეობა ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართული „ლიბრი კარ თალი ნის“ შედგენაშიც. შეისლება სხვა სწავლული არისტოკრატების ჩამოთვლაც. პოეტ ანგილბერტს, რომელსაც მეფემ არაერთი საპასუხისმგებლო დავალება მისცა, კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მაინცის არქიეპისკოპოსმა რაბან მავრმა, რომელიც სევერ არაერთ წიგნს ფლობდა, სხვადასხვა სახის რელიგიური ნაშრომი და პიმნი დაწერა. რაბან მავრის მოწაფემ, ვალაფრიდ სტრაბონმა, რომელიც რაიპენაუს შონასტრიის აბატი იყო, სკოლა დაარსა და ხელნაწერების გამრავლებასაც ხელმძღვანელობდა. ერთი სიტყვით, კარლოს დიდს საიმედო თანაშემწევები ჰყოვდა.

მეფემ „სასახლის აკადემია“ ჩამოაყალიბა, რომელშიც მისი მრავალრიცხვანი ოჯახის წევრები, უმაღლესი სასულიერო და საერთო პირები, იმდროინდელი ცნობილი მეცნიერები მონაწილეობდნენ. ეს გახლდათ თავისებური ლიტერატურული წრე, რომელიც ემსახურებოდა თვით კარლოს დიდისა და მისი შეილების განათლებას, მათი გონიერივი ჰორიზონტის გაფართოებას. „სასახლის აკადემიაში“ კითხულობდნენ სხვადასხვა ავტორთა წიგნებს, მათ შორის თვით ამ წრის წევრების ნაშრომებსაც განიხილავდნენ მთვარისა და მზის მოძრაობის საკითხებს, ხსნიდნენ სხვადასხვა ლათინურ ტერმინებს და ა.შ. წრის სხდომებს რამდენიმე ქალიც კი ესწრებოდა (კარლოს დიდის და უიზელი, მისი ბიძაშვილი გუნდრადა და სხვები). საინტერესოა, რომ აკადემიის თითოეულ წევრს თავისთვის ანტიკური ან ბიბლიური ფსევდონიმი უნდა შეერჩია. თვით მეფე თავისთავს დავითს უწოდებდა, ალკუინი—ფლაკუსს, ანგილბერტი—ჰომეროსს, თეოდულფი—პინდარეს, უიზელი—ლუციას, გუნდრადა—ევლალიას. „სასახლის აკადემიაში“ სულ სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები შე-



დიოდენ. ოლქუინი ინგლისელი იყო, კლიმენტი — ირლანდიულებული რაბან მაერი და აინპარდი — გერმანელები, პეტრე პიზელი, რომელიც მეფეს გრამატიკას სწავლიდა, და პავლე დიაკონი იტალიელები იყვნენ და ა. შ.

კარლოსის კარზე სპეციალური სკოლაც იყო, სადაც არისტოკრატია, სასახლის მოხელეთა შეიღები სწავლობდნენ. როგორც ცნობილია, კარლოსს ერთი მუდმივი დედაქალაქი არა ჰქონია. მისი კარი სისტემატურად მოგზაურობდა და სადაც მეფე იმყოფებოდა, სკოლაც იქ გადაინაცელებდა ხოლმე. უნდა ვითქიქროთ, რომ ასეთი პირობების გამო სკოლაში სისტემატური მეცადინეობა არ ტარდებოდა. სკოლის დამთავრება იმას ნიშნავდა, რომ ჭაბუკის შემდეგი კარიერა უხრუნველყოფილი იყო—მეფეს ხომ ნასწავლი პიროვნებები სჭირდებოდა.

თუ 787 წლის „კაპიტულიარი მეცნიერებათა შესახებ“ აღგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებს ყველა ეპისკოპოსის კათედრასთან და მონასტერთან სასულიერო სკოლები გახსნან, 802 წლის კაპიტულიარი საერთო სკოლების დაარსებასაც ბრძანებს. ამ საერთო სკოლების პროგრამა სასულიეროთაგან თითქმის არ განსხვავდებოდა.

ერთი სიტყვით, განათლების სფეროში წინა ორ „ბნელ საუკუნესთან“ შედარებით ბევრი რამ გაკეთდა. კულტურული ცხოვრება გამოცემულდა. მონასტერებში არა მარტო წიგნებს იწერდნენ, არა მედ ასალ გამოკვლევებზეც მუშაობდნენ (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში). მკვეთრად გაიზარდა განათლებულ ადამიანთა წრე.

და მაინც „კარლოლინგური რენესანსი“ ნამდვილი აღორძინება არა ყოფილა. როგორც კი კარლოლინგების იმპერია შემადგენელ ნაწილებად დაიშალა, აღორძინებაც დამთავრდა. სკოლების უმრავლესობა დაისურა, ბიბლიოთეკებზე და წიგნების გამრავლებაზე აღარავინ ზრუნავდა. ევროპას კარგა ხნით ისევ წყვდიადი დაეუფლა. 817 წელს, როცა სახელმწიფოს კარლოს დიდის ვაჟი ლუი დეთისმოსავი შართავდა, ასეთი კანონი გამოვიდა: ამიერიდან სკოლაში ვერ შევიღოდოდა ის, ვინც სასულიერო კარიერისათვის არ ემზადებოდა. ერთი სიტყვით, კარლოს დიდის მემკვიდრეებმა ვერ გააგრძელეს ის მცარეოდენი რეფორმებიც კი, რომელიც VIII საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა.

ძელი რომაელების ბიბლიოთეკებში ერთმანეთის გეერდით შეხვდებოდით ნაშრომებს ისეთი მწერლებისას, დიდ იდეოლოგიურ მტრებად რომ ითვლებოდნენ და, თანაც, სულ სხვადასხვა თვალსაჩრისს იზიარებდნენ. ყველა ამ თვალსაზრისს იცნობდა რომაელი მკათხველი, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შემდეგ პირველ საუკუნეებში რომაელს იზრადაც არ მოსდიოდა იმ ლიტერატურის განადგურება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმად გაბატონებულ შეხედულებებს.

IV საუკუნის მიწურულისათვის ვითარება შეიცვალა. იმპერიატორ თეოდოსის დროს წარმართული ლიტერატურა აიკრძალა. 400 წელს კართავენის საეკლესიო კრებამ ამ წიგნების კითხვა აქრძალა. მაგრამ, პირველ ხანებში ეს სულაც არ ნიშნავდა მათ განადგურებას. ასეთ ნაშრომებს სხვადასხვა წიგნთსაცავებში კვლავინდებურად ინახავდნენ, მაგრამ უკვე 405 წელს პატმა ინოკენტი პირველმა შეაფგინა იმ „მწვალებლური“ წიგნების სია, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა მოესპონთ. დაიწყო ხელნაწერების, ხშირად კი მთელი ბიბლიოთეკების განადგურება. ანტიკური ლიტერატურის მრავალი განძი, აღმარ, სწორედ მაშინ დაიკარგა: გაჩნდა სიტყვა „ინკეიზიცია“, რაც ლათინურ ენაზე „გამომიებას“ ნიშნავს. ამ სიტყვამ თანდათანობით საზარელი მნიშვნელობა მიიღო.

თუ ადრე ქრისტიანი ეპისკოპოსები თავიანთ მრევლს უბრალოდ ურჩევდნენ, მწვალებლურ წიგნებს ნუ წაიკითხავთო, შემდეგ იმპერატორების უმკაცრესი ედიქტები გამოვიდა — რომის თვალუწვდენელი იმპერიის მცხოვრებლებს უბრანებდნენ მოხელეებისათვის დაუყოვნებლივ ჩაებარებინათ აქრძალული წიგნები, რათა ისენი საგაროდ დაეწვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მფლობელს სიკვდილით დასჯი ემუქრებოდა. ზოგჯერ წიგნებს არა წვავდნენ, არამედ ტექსტს ფხევდნენ და მასზე ახლად წერდნენ. ასეთ წიგნს „პალიმფსესტი“ ჰქვია. შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ უძვრუსესი გამოკვლევა ყოვლად პრიმიტიულ, უსარგებლო ტექსტს შეიცვალა.

დიახ, მაგრამ რას უპირისპირებდნენ იმ ლიტერატურას, რომ-ელიც ამერიკან „სამუდამოდ“ იკრძალებოდა?! 392 წელს იქო-



ნიმე. სტრიდონელმა (ნეტარმა იერონიმემ) დაწერა „წიგნი სახუჭაჭურაული ნოქმული ადამიანების შესახებ“. აქ მან წარმოადგინა იმ 135 ქრისტული იანი მწერლის სია, რომელთა ნაწერების წაკითხვაც ყველასათვის აუცილებლად მიაჩნდა. ამ წიგნში იერონიმე თავს ესხმოდა უცილა „სხვაგვარად მოაზროვნე“ ავტორს.

529 წელს გამოქვეყნდა იერონიმე სტრიდონელის ნაშრომის თავისებური გაგრძელება. ეს გახლდათ გენალი მარსელელის „წიგნი საეკლესიო მწერლების შესახებ“. ამ დამატებით 99 მწერლის ნაწარმოებებს უწევდნენ რეკომენდაციას.

536 წელს ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ გამოსცა ბრძანება: ამიერიდან მთელ სახელმწიფოში წარმართული ნაწარმოებების გადამწერელს ხელს მოჰკვეთდნენ!

თუ ფრანგთა მეფე კარლოს დიდი ინტიკუტ ავტორებს აშენად პატივისცემით ექცეოდა, მისმა შეიღმა და მემკვიდრემ ლურ ლითო-სმოსავმა განაცხადა, რომ ამ წიგნებს არც თვითონ წაიკითხავს და არც სხვას ურჩევს მათ წაკითხვას. ასე ჩაითვალნენ არასასურველ ავტორებად ვირგილიუსი, პორაციუსი, იუვენალი და სხვები. ლურის მითითებით ფრანგთა სახელმწიფოში ჩატარდა მონასტრებისა და სკოლების რეფორმა, რომლის მიზანი რელიგიის სრული გაბატონება იყო.

მომდევნო საუკუნეებში ეკლესიის შეტევა წიგნებზე და მეცნიერებებზე გრძელდებოდა. ტურის (1163 წ.) და პარიზის (1231 წ.) საეკლესიო კრებებზე გამოტანილი დადგენილებებით ის, ვინც ფიზიკისადმი მიძღვნილ წიგნებს წაიკითხავდა, მძიმედ სცოდავდა. 1163 წელს პაპმა ალექსანდრე მესამეგ სპეციალური ბულაც კი გამოსცა ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლის წინააღმდეგ. ხოლო 1209 წელს ამ მეცნიერებებისადმი მიძღვნილი წიგნების კითხვა პარიზის საეკლესიო კრებამ საერთოდ აკრძალა. 1317 წელს პაპმა იოანე ოცდამეორემ ფიზიკის აკრძალვას ქიმიის აკრძალვაც მიაყოლა!

რათა ეს გადაწყვეტილებები ქალალზე არ დარჩენილიყო, დაადგინეს შევრი რამ საჯაროდ დაეწვათ. ლათინურ ენაზე ბიბლიის იდეალურ თარგმანად მიჩნეული იყო ნეტარი იერონიმეს შესრულებული თარგმანი. და აი, 1119 წელს ქალაქ მეცში (საფრანგეთი) საჯაროდ დაწერეს ყველა სხვა თარგმანი. 1236 წელს ესპანელმა კარდინა-

ლმა პიმენესმა მიიჩნია, რომ კორდოვის სახელგანთქმულ ბიბლიოთ-
ეკვეს, სადაც არაბული წიგნები და ანტიკური ივტორების ნაუკონფიდენციალუ
ინახებოდა, ქრისტიანული რელიგიისათვის შეეძლო მხოლოდ ზიანი
მოეტანა. გადაწყვეტილება ასეთი იყო: მოესპონ 280 ათასი ხელნა-
წერი წიგნი!

XIII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის კათოლიკურმა სამღ-
დელოებამ ერთი ფრიად თავისებური დაკვეთა მიიღო ქალაქ მონპე-
ლიეს (სამხრეთი საფრანგეთი) ებრაული სინაგოგის რაბინებისაგან: რა-
დგან ქრისტიანები წვავდნენ თავიანთი მწვალებლების ნაშრომებს,
კარგს იზამდნენ, თუ მათ, ებრაელი მწვალებლების წიგნებსაც მია-
ყოლებდნენ. ამის შესრულებას რა უნდოდა! ქრისტიანებმა რაბი-
ნებს დაუჯერეს და 1223 წელს მონპელიეს მოედანზე ბევრი ებრაელი
მოაზროვნის ნაშრომი მოსპეს.

1559 წლის იანვარში რომში პაპ პავლე მეოთხის მითითებით გა-
მოქვეყნდა აკრძალული ლიტერატურის პირველი ცენტრალიზებული
სია, ე. წ. „ინდექსი“.

„ინდექსი“ ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველში შედიოდ-
ნენ ის ავტორები, რომელთა ნაშრომები მთლიანად, ყოველგვარი გა-
მონაკლისის გარეშე იყო აკრძალული, მეორეში—ცალკეული აკრძა-
ლული ნაშრომები, მესამეში — ის ანონიმური წიგნები, 1519 წლის
შემდეგ რომ გამოქვეყნდა. მეოთხეში კი იმ გამომცემლობებისა თუ
სტამბების მფლობელები იყვნენ დასახელებული, რომელთაც კათო-
ლიკეთათვის აკრძალული წიგნები დაბეჭდეს.

ჯერ კიდევ ამ ინდექსის გამოქვეყნებამდე — 1543 წელს, კარდა-
ნალმა კარიაფამ (სწორედ მომავალმა პაპმა პავლე მეოთხემ) პაპის სა-
ხელით გამოაცხადა, რომ ამიერიდან ინკვიზიციის ნებართვის გარეშე
ნებისმიერი შინაარსის ვერც ერთი წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა. მესამე
მსოფლიო ტრიდენტის კრებამ (1545—1563 წწ.) „მწვალებლურ წიგ-
ნებთან“ ბრძოლა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ ჩათვა-
ლა, 1554 წელს აკრძალული წიგნების სია საგრძნობლად შეივსო.

1571 წელს პაპმა პიუს მესუთემ შეადგინა სპეციალური „ინდექ-
სის კონგრეგაცია“, ვატიკანის კანცელარია, რომელსაც წიგნების ცე-
ნტრა ევალებოდა.

პაპების მიერ გამოცემული კანონები მხოლოდ რელიგიური ში-
ნაარსის წიგნებს როდი ეხებოდა. ისინი საერთო ლიტერატურაზეც



ფართოდ გავრცელდა. ყველა წიგნი, რომელიც მორალურ პრემიუმის მიხედვა
მებს ეხებოდა, ეკლესიის კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ყოველი თვის პირველ ორშაბათს, სრულიად საიდუმლოდ რომ-
ში კონგრეგაციის სპეციალური სხდომა იშართებოდა, რომელსაც
ამა თუ იმ წიგნის შესახებ საბოლოო დადგენილება უნდა გამოეტ-
ანა. კონგრეგაციის დადგენილებას შემდეგ კარდინალთა საბჭო განი-
ხილავდა, საბოლოოდ კი პაპი ამტკიცებდა, თუკი წიგნი იკრძალებო-
და, მას დაუყოვნებლივ გამოიტანდნენ ხოლმე კათოლიკური ბიბ-
ლიოთეკებიდან, შემდეგ კი მკითხველებსაც აცნობებდნენ.

1624, 1634, და 1640 წლებში ახალი „ინდექსები“ გამოქვეყნდა.

მეცნიერებისა და ლიტერატურის ასეთმა ხელყოფამ ყველა ქვე-
ყანაში დიდი აღმფოთება გამოიწვია. ფლორენციის ჰერცოგმა კოზ-
იმო მედიჩიმ გადაწყვეტა დაახლოებით მაინც გამოეანგარიშებინა
ის თანხა, რომელსაც იგი „ინდექსის“ სისრულეში მოყვანისას დაკა-
რგავდა. გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში ფლორენციაში დიდაღი
წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი სრულიად გაკოტრდებოდა. როცა
საფრანგეთის მეფის პირადმა მდივანმა ტორელამ დასაწვავი წიგნე-
ბი ასევე მიახლოებით შეაფასა, უზარმაზარი თანხა — 100 ათასი
დუკატი გამოუვიდა. მაშინ ყველა ცნობილმა წიგნით მოვაჭრემ და
გამომცემელმა პაპს თხოვნით მიმართა: მათთვის დანაკლისი აენაზღ-
აურებინათ. აქედან არაფერი გამოვიდა — მთელ დასავლეთ ევროპა-
ში, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, წიგნის ყველა მაღაზიაში „ინდ-
ექსები“ გამოიფინეს.

რა თქმა უნდა, წიგნებს „ინდექსების“ გამოქვეყნებამდეც წვავდ-
ნენ. 1490 წელს ესპანეთის ცნობილმა „დიდმა ინკვიზიტორმა“ ტო-
რკემადამ სალამანკის ებრაულ უბნებში 6 ათასი ტომი მოსპო, სულ
რამდენიმე სნის შემდეგ; 1499 წელს გრენადაში არაბულ ენაზე გამ-
ოცემული ხუთი ათასი ტომი ცეცხლს მიეცა, მაგრამ ახლა უკვე მწვა-
ლებლური ლიტერატურის საყოველთაო, მეთოდური ამოძირება და-
იწყო. მაგალითის მიმცემი იტალია იყო: 1559 წლის მარტში რომში
სან - ჯიოვანისა და სანტა - კროჩეს მოედნებზე დიდაღილი წიგნი გაა-
ნადგურეს. იგივე კეთდებოდა საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანე-
თსა და სხვა ქვეყნებში. თანამედროვეთა მოწმობით, იმდენი წიგნი
დაიწყა, რომ ისინი ერთ ადგილს რომ მოეგროვებინათ, „კოცონის



ილი უფრო მაღლა ავიდოდა, ვიდრე ტრიას ცნობილი პატიკული
დროს.

დაიწყო საყოველთაო ჩხრევა, წიგნის მფლობელებისა თუ სწა-
ვლულების დაბეჭდება. მას ცალკეულ შემთხვევებში თვით მეფეე-
ბიც კი ვერ გადაურჩნენ. 1602 წელს ინკვიზიტორებმა ესპანეთის
დედოფლის პირადი მოძღვარიც კი გაჩრიავს. ესპანეთის მეფემ
მორჩილად ითხოვა მისთვის ზოგი აკრძალული წიგნი მაინც დაეტო-
ვებინათ, მაგრამ ცოტა რამ დაუთმეს და ისიც იმიტომ, რომ მეფის
პირად ბიბლიოთეკამდე ხელი თითქმის არავის მიუწვდებოდა.

ასეთ ღონისძიებებს ყველა ქვეყანაში დიდ წინააღმდეგობას უწე-
ვდნენ. ადამიანები ცდილობდნენ წიგნები როგორმე გადაერჩინათ,
მათ მიწაში ფლავდნენ, სარდაფებში, საფლავებშიც კი ინახვდნენ

ერთხანს კონგრეგაციის რამდენადმე უკანდახევაც კი მოუხდა.
ამიერკიდან ცხადდებოდა იმ წიგნების სია, რომელთა წაკითხვაც „გა-
ნწმენდის“ შემდეგ შეიძლებოდა, ანდა ზოგ მათგანში ზოგი რამ უნ-
და „შესწორებულიყო“. მაგრამ ეს დროებითი დათმობა იყო...

თუ ადრე „ინდექსში“, ძირითადად, რელიგიური შინაარსის წიგ-
ნები ხვდებოდნენ, თანდათანობით დაიწყეს პროგრესული მეცნიერე-
ბისა და მწერლობის ნაშრომების შეტანაც.

1512-1513 წლებში „მწვალებლად“ მიიჩნიეს და დაუყოვნებლივ
დასწვეს ფრანგ მეცნიერ-ჰუმანისტ ლეფევრ დე ეტაპლის ნაშრომე-
ბი. დიდი საერთაშორისო აღიარების მიუხედავად, პაპისტებს არც გი-
ნიალური იტალიელი მხატვრისა და მეცნიერის ლეონარდო და ვინ-
ჩის ნაწარმოებები მოსდიოდათ თვალში. ლეონარდოს გამუდმებით
აკრიტიკებდნენ, ათას რამეს სწამებდნენ. 1516—1524 წლებში მატე-
რიალისტური შეხედულებებისათვის ცეცხლს მისცეს იტალიელი
ფილოსოფოსის პიეტრო პომპონიაცის წიგნები.

1523 წელს პაპმა კლიმენტ მეშვიდემ სპეციალური მიმართვა
გაუგზავნა გერმანიის იმპერატორ კარლოს მეხუთეს, სადაც მოუწო-
დებდა მას „დაეწვა მეცნიერები და წიგნის ბეჭდვისათვის ბოლო
მოელო“.

1524 წელს ცეცხლს მისცეს ერაზმ როტერდამელის განთქმული
„ქება სისულელისა“, მისი მთარგმნელი და გამომცემელი კი კოცო-
ნე დასწვეს. 1535 წელს კონგრეგაციის დადგენილებით „სამუდამოდ
აკრძალა“ თომას მორის „უტოპია“. სხვადასხვა ადგილის მისი უამ-

რავი ცალი დაიწვა. ძალზე „სახიფათოდ“ სცნეს ტომაზო კაშპარებულების მშის ქალაქი“, რისთვისაც მისმა ავტორმა 27 წელი სხვადასხვა საპურობილებში გაატარა.

პაპი იოანე XXII ოცნებობდა მოელი მსოფლიო მონასტრად ექტია: პაპ სიქსტ მესუთეს კი ასეთ სიტყვებს მიაწერდნენ: „მე მინდა; რომ ჩემი მმართველობის დროს ყველა საპყრობილე დაცარიელდეს, ყველა სახრჩობელაზე კი ვიღაც ეკიდოს“.

1588 წელს ესპანეთში აქრძალული ლიტერატურის გამყიდველების, მყიდველებისა და მკითხველებისათვის სიკვდილით დასჭა შემოიღეს.

1550 - 1600 წლებში მარტო იტალიაში ინკვიზიციამ 78 მეცნიერი და მათი ნაშრომები დასწეა. საერთოდ კი, ყოვლად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენი კაცის სიცოცხლე შეეწირა ინკვიზიციას დასავლეთ ევროპაში XVI - XVII საუკუნეში.

გიზგიზებდნენ კოცონები.

იტალიური პიგლიორთვები

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ უმდიდრეს წიგნთსაცავად ვატიკანის ბიბლიოთეკა ითვლებოდა. პაპების პოზიციების განმტკიცებასთან დაკავშირებით, რომში დიდძალმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ცდილობდნენ ისეთი წიგნთსაცავი შეექმნათ. სადაც ღვთისმეტყველური ლიტერატურის ყველა ძირითადი ნაწარმოები იქნებოდა თავმოყრილი. ასეთი ბიბლიოთეკა, როგორც პაპები ფიქრობდნენ, დიდად გამოადგებოდათ, „მწვალებლების“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველი წიგნთსაცავი ვატიკანში უკვე V საუკუნეში შეიქმნა. VIII საუკუნისათვის კი იგი მთელ დასავლეთ ევროპაში უმდიდრესად ითვლებოდა. პაპების დიდი დამცირების უამს, როცა 1305 წელს მათ ადგილსამყოფელად რომის მაგივრად ავინიონი მიუჩინეს („პაპების ტყვეობა ავინიონში“), პაპმა კლიმენტ მესუაემ ის მაინც მოახერხა, რომ ბიბლიოთეკა საფრანგეთის ამ პატარა ქალაქში გადაეტანა. 1409 წლისათვის აქ უკვე 1090 ტომი იყო დაცული, რომლებიც 50 ათას

ხელნაწერს მოიცავდნენ. 1417 წელს პაპი რომში დაბრუნდა ფლატიბაზ-ლიონთექაც, ცხადია, თან წამოიღო.

განსაკუთრებით დიდი როლი ვატიკანის ბიბლიოთეკის გამდიდრებაში პაპმა ნიკოლოზ მეხუთემ (გარდაიცვალა 1455 წელს) ითამაშა. იგი ახალგაზრდობიდანვე წიგნების დიდი მოყვარული ყოფილა. ბერიად აღკვეცის შემდეგ ვალებს ვეღარ აუდიოდა, რადგან ბევრ, ძვირადლირებულ ხელნაწერს ყიდულობდა. 1447 წელს, პაპი რომ გახდა, ნიკოლოზ მეხუთეს, ცხადია, შემოსავლის ულევი წყარო გაუჩნდა. მთ შორის მთავარი იყო ინდულგენციის გაყიდვა, გასამჯელოს ფასად ნებისმიერი დამნაშავისათვის „უოდვის მიტევება“. გარდა ამისა, პაპმა დიდი ზემზარით ჩაატარა გერმანიის იმპერატორის კორონაცია, რისთვისაც უზარმაზარი თანხა მიიღო.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მანამ, სანამ პაპი გახდებოდა, ნიკოლოზ მეხუთე თავისებურ სარეკომენდაციო სახელმძღვანელოებს აღგენდა სხვადასხვა დაინტერესებულ პირთათვის. სწავლული ბერის პირველ აღგილზე ბიბლიას აყენებდა, შემდეგ, ეკლესიის მამათა თხზულებებს. ამ სარეკომენდაციო სიაში თვალსაჩინო აღგილი ფილოსოფოსებს უჭირავთ. არისტოტელეს ნაშრომები სამ. ჯგუფად (ლოგიკა, ფიზიკა, ეთიკა) არის დაყოფილი. შემდეგ რეკომენდირებულია არისტოტელეს კომენტატორები, ავეროესი, ავიცენა, მაიმონიდის ნაშრომები, ბერძენი ფილოსოფოსების ლათინური თარგმანები, რომაელი ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ორატორები, გრამატიკოსები. ცოტაა პოეტები — ვერგილიუსი, ოვიდიუსი, სტატიუსი, ლუკანი. ეპიკურ მწერლებზე, სატირიკოსებზე, დრამატურგებზე, არაფერია ნათქვამი. აქ ერთადერთი გამონაკლისია სენეკა.

ნიკოლოზ მეხუთემ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში თავისი აგენტები დაგზავნა, სადაც ისინი ძველ ხელნაწერებს ეძებდნენ. ამ ხელნაწერებს შემდეგ სპეციალური კალიგრაფები მრავლებდნენ. პაპი ზოგიერთ სწავლულს ზღაპრულ ჰონორარს აძლევდა. ასე, მაგალითად, პოლიბიოსის ლათინურად მთარგმნელმა პერიოდმ 500 დუქატი მიიღო, სტრაბონის ლათინურად მთარგმნელმა გუარინიმ 1000 აქროს გულდენი და კიდევ 500 გულდენს მიიღებდა, პაპი რომ არ მომკვდარიყო. ბერძნულისა და ლათინურის დიდებულად მცოდნე პაპმა ფილელფოსს 10 ათასი გულდენი აღუთქვა, თუ იგი პომეროსს თარგმნიდა. მიიჩნევდნენ, რომ ნიკოლოზ მეხუთეს 5000 —



და 9000-მდე ტონი ჰქონდა. აქედან 5000 იშვიათი ხელნაწერის გატიკანის ბიბლიოთეკას გადასცა. 1450 წელს ორიში შავი ჭიროს ეპიფემია მძვინვარებდა. პაპი თავის კართან ერთად ფაბრიანოში გადავიდა, თან წაიყვანა ყველა მთარგმნელი და კომპილატორი, რათა ივალმყოფია არ შეყროდათ. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ცნობა პაპის პირადი ბიბლიოთეკის წიგნთა რაოდენობაზე ცოტა არ იყოს, განვითარებულია. ამის დასადასტურებლად მოჰყავთ ერთ-ერთი სია, საღაც მხოლოდ 794 ლათინური და 353 ბერძნული ხელნაწერია და-სახელებული. შესაძლოა, ნიკოლოზ მეხუთის ბიბლიოთეკარებს სხვა ასეთი სიებიც ჰქონდათ, რომელიც დღეს დაიყარგა.

1588 წელს პაპმა სიქსტ მეხუთემ ვატიკანის ბიბლიოთეკისათვის სკეციალური შენობა ააგო. საინტერესოა, რომ იგი დღემდე არსებობს და წიგნებიც ისევ იქ ინახება. 1798 წელს, როცა ფრანგებმა რომი აიღეს, ძვირფასი ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი პარიზში გადაიტანეს. ნაპოლეონის საბოლოო დამარცხების შემდეგ ზველაფერი ვატიკანის ბიბლიოთეკას დაუბრუნდა.

ვატიკანის ბიბლიოთეკა დღემდე რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს წიგნთსაცავად. აქ მილიონზე მეტი წიგნი ინახება, მაგრამ ძირითად სიმდიდრედ მაინც ძველი და შუა საუკუნეების ავტორების 70 ათასი ხელნაწერი უნდა ჩაითვალოს. მათ შორის გახლავთ სამი დღიდ იტალიელი მწერლის დანტეს, პეტრარკასა და ბოკაჩის ხელნაწერებიც. ვატიკანის ბიბლიოთეკაში ანტიკური ხანის არაერთი უძვირფასი ხელნაწერიც ინახება, რომლებიც დღემდე არ გამოქვეყნებულა. წიგნების პირველი გამოცემები 100 ათასზე მეტია. პაპების ნებართვით ზოგი მათგანი ფირზე გადაიღეს და ახლა სენტ-ლუისის (აშშ) კათოლიკურ უნივერსიტეტში ინახება, ზოგი რამ კი—პაიდელ-ბერების უნივერსიტეტში. საყურადღებოა, რომ ვატიკანის ბევრი ხელნაწერისა თუ წიგნის წაყითხვა დღემდე აკრძალულია. ისინი საგანგებო ფონდში ინახება. თუმცა ზოგიერთ მეცნიერს „უთმობენ“ ხოლმე წასაკითხად. საამისო განკარგულება თვით პამპა ან რომელიმე გავლენიანმა კარდინალმა უნდა გასცეს.

ჰუმანისტებმა დიდალ წიგნებს მოუყარეს თავი, შექმნეს საუკეთესო ბიბლიოთეკები. იტალიელი მეცნიერი და პედაგოგი პაოლო ვერჯერი წერდა: — წარსულის მოსაგონრად ყველაზე მეტად წერილობითი ძეგლებია საჭირო, ის, რაც წიგნებში ჩინებულადაა აღწე-



რილი, სამუდამო გახლავთ... ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ აშენებისა
წინაპრებისაგან შევინარჩუნოთ და ისინი მთლიანად და უვინებლად,
მემკვიდრეებს გადავცეთ“.

XIV - XV საუკუნეებში იტალიაში შექმნილ ბიბლიოთეკებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერ ნიკოლო ნიკოლის (1365—1437 წწ.) ეკუთვნოდა. იგი ფლორენციის მმართველ კოზიმო მედიჩის მეგობარი იყო, მთელი თავისი ქონება ძევლი ხელნაწერების შეძენას შეალია. ახალი ავტორებიდან ნიკოლი განსაკუთრებით ჰუმანისტ სალუტარის აფასებდა. მას სხვადასხვა ქვეყნებში თავისი ხალხი ჰყავდა, ჰინ კი — კარგი გადამწერები. სწორედ ნიკოლიმ შემოვგინახა ვიცერონის „დე ორატორეს“ ხელნაწერი, ზოგი რამ ამიანე მარცელინეს ნაშრომებიდან. მას შემდეგ რაც მთელი ქონება დახარჯა და არავითარი სახსარი იღარ დარჩა, ნიკოლიმ მაინც არ ჩაიქნია ხელი. იგი ამიერიდან კოზიმო მედიჩის ქონებით სარგებლობდა და მალე პლინიუსის ჩინებული ეგზემპლარი შეიძინა, რომელიც აქამდე ლიუბდეკის (გერმანია) მონასტრის საკუთრება იყო. ნიკოლი არ ჰყავდა იმ ბიბლიოფილებს, წიგნებს რომ არავის ათხოვებდნენ ხოლმე, სიამოვნებით ხვდებოდა სიძველეთა მოყვარულებს, ხელნაწერებს სახლშიც კი ატანდა. მეცნიერს 800 წიგნი ჰქონდა, მათ შორის 100 ბერძნული, რაც იმ დროისათვის კერძო მფლობელისათვის დიდ განძად ითვლებოდა მთელი ეს ბიბლიოთეკა 6000 ოქროს გულდენად იყო შეფასებული.

1437 წელს ბიბლიოფილი მოკვდა და წიგნები ანდერძით ქალაქ ფლორენციას დაუტოვა. ანდერძის დაწერა იოლი იყო, მაგრამ რაღაც ნიკოლო ნიკოლის დიდი ვალი ჰქონდა, წიგნებს. ცალ-ცალკე გაყიდვა ემუქრებოდა. მაშინ საქმეში თვით კოზიმო მედიჩი ჩაერია, ვალები თვით გაისტუმრა და წიგნები წმინდა მარკის მონასტერს ვადასცა, იმ პირობით, რომ იქ საჭარო ბიბლიოთეკა გაიხსნებოდა. მაგრამ ბიბლიოთეკით ყველა მსურველს შეეძლო სარგებლობა. მეცნიერმა ტომაზო პარენტუჩელიმ შეადგინა იმ ნაშრომების სია, რომლებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო არა მარტო წმინდა მარკის, არამედ ყველა სხვა წიგნთსაცავშიც. პარენტუჩელი იმ პრაქტიკული მოსაზრებიდან გამოდიოდა, რომ ყველა ძვირფას ხელნაწერს მაინც ვერავინ მოუყრიდა თავს და მათი მინიმალური რაოდენობა დაასახელა.



კოზიმო მედიჩის ბრძანებით 45 საუკეთესო კალიგრაფი ორი მანძილზე თავაუღებლად მუშაობდა და საბოლოოდ 200 მშვენიერად დასურათებული წიგნიც მოამზადა.

ბრწყინვალე ბიბლიოთეკა შექმნა ფლორენციაში ლორენცო მედიჩიმ. მისი მთავარი დამხმარე და თანაშემწე, ამ მხრივ, ბიზანტიიელი ოთხე ლასკარისი გახლდათ. შემონახულია ამ ბიბლიოთეკის კატალოგი წიგნების მოკლე დასახელებით და ხელნაწერების მსყიდველობითი ფასით. მედიჩების წიგნთა ცავში იყო ბიბლიის სხვადასხვა გამოცემა, ცალკეული ბიბლიური წიგნები, ტექსტი და კომენტარები ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ბრწყინვალე კოლექცია. ავრეთვე, ებრაელ მწერალთა ნაშრომები. ბერძნულ ხელნაწერთა შორის უნდა აღინიშნოს გრამატიკები, ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ძველ და ბიზანტიიელ ისტორიკოსთავან ბიბლიოთეკას პქონდა ისებ ფლავიუსისა და პროკოპი კესარიელის წიგნები. არის აღორძინების ხანის ავტორთა ნაშრომების არაერთი დასახელებაც. იოანე ლასკარისმა შეადგინა იმ ხელნაწერების სია, რომლებიც მედიჩების ბიბლიოთეკისათვის შეიძინა. არის იმაზე მითითებაც, თუ ვისთან და რა ადგილს აღმოაჩინა ისინი. ზოგჯერ პატრონებს არ უნდოდათ ხელნაწერთა დათმობა, მაშინ ლასკარისი ასლის გადაღებას სჭერდებოდა.

ლორენცო მედიჩი ფლორენციიდან რომ გააძევეს, ბიბლიოთეკა დომინიკელთა მონასტერში გადაიტანეს, სადაც ბევრი რამ დაიკარგა. როცა ლორენცოს შვილი ჯოვანი მედიჩი პაპი გახდა (ლეო X-ის სახელით), მან ბევრი წიგნი ხელახლა მოძებნა და შეისყიდა.

ცნობილმა პუმანისტმა პოჯო ბრაჩოლინიმ (1380—1459 წწ.) ბევრი რამ გააკეთა ძველი ხელნაწერების ძებნის საქმეში. იგი დიდხანს პირნათლად ასრულებდა ნიკოლო ნიკოლის დავალებებს სამხრეთ გერმანიაში, სადაც მონასტრებში საყურადღებო წიგნებს მიაგნო. პოჯო კლასიკური ლათინურის ბრწყინვალე მოცდნე იყო. მან ციცერონის ექვსი სიტყვა იპოვა, რომლებიც სამუდამოდ დაკარგულად ითვლებოდა, მიაგნო კვინტილიანეს ნაშრომების სრულ კრებულს, სილიუს იტალიელის, მანლიუსის, ლუკრეციუსის, ვალერიუს ფლაკუსის, ასკონიუს პედიანუსის, კოლუმელას, ავლუს გელიუსის, ფრონტონის, ვიტრუვიუსის არაერთი ნაშრომი აღმოაჩინა. პოჯო ბრაჩო-



ლინიმ გამოსცა პლავტუსის თორმეტი უკანასკნელი კომედია უფლის დრამატურგია
ცერონის სიტყვები, მიმართული ვერესის წინააღმდეგ.

ბერძენმა კარდინალმა ბესარიონმა 600 უცვირფასეს ხელნაწერს
მოუყარა თავი. მათი ნაწილი ქრისტიან, ნაწილი კი კერპთაყვანისმც-
ემელ ავტორებს ეკუთვნოდათ. ბესარიონმა ამ განძის მოგროვებას
უზარმაზარი თანხა — 30 ათასი ოქროს გულდენი შეალია. კარდი-
ნალი დიდხანს ექვებდა საიმედო ადგილს, სადაც ამ ბიბლიოთეკას
შეინახავდა. იგი იმედოვნებდა, რომ ხელნაწერები ბერძენებს დიდად
გამოადგებოდათ, როცა თავისუფლებას დაიბრუნებდნენ და თავიანთ
სახელმწიფოს აღადგენდნენ. ბოლოს კარდინალმა ბესარიონმა დაი-
თანხმა ვენეციის ხელისუფლება, რომელთაც სპეციალური შენობაც
კი ააგეს მისი კოლექციის შესანახად. ზოგი ხელნაწერი ამ კოლექც-
იიდან ახლაც ვენეციის წმინდა მარკის ბიბლიოთეკის საკუთრება
გახლავთ.

ურბინოს პატარა საპერცოგოს მმართველი ფედერიგო მონტეფე-
ლტირო ვერ კიდევ ბავშვობიდან აგროვებდა წიგნებს. როცა ჰერცოგი
გახდა, 30—40 სკრიპტორიუმი გახსნა, მათ შენახვას 30 ათას დუკა-
ტზე მეტი მოანდომა. ფედერიგომ თანდათანობით თავისი დროისათ-
ვის ყველაზე სრულყოფილი ბიბლიოთეკა შექმნა. აქ იყო ბევრი რამ
ბერძენი ავტორებიდან, მათ შორის სოფოკესა და პინდარეს ყველა
თხზულება, მენანდრეს მანუსკრიპტი, რომელიც, ეტყობა, სადღაც
დაიყარება. საინტერესოა, რომ ურბინოს ბიბლიოთეკაში შეიძლებოდა
ყველა, იმ დროისათვის არსებული სამედიცინო წიგნის ნახვა. იყო
ასეთი რუბრიკაცია: „მოდერნი“. აქ შედიოდა დანტეს და ბოკაჩის
ყველა თხზულება, 25 ცნობილი ჰუმანისტის ნაშრომები ლათინურ
და იტალიურ ენებზე, ყველაფერი ის, რაც მათ სხვა ენებიდან თარგ-
მნეს. შეიძლებოდა ექლესიის მამების მრავალი წიგნის ნახვაც. ურ-
ბინოს ბიბლიოთეკას ჰქონდა თავისი მთავარი „კონკურენტების“: ვა-
ტრიკანის, ფლორენციის, პავიის წიგნთსაცავების, ოქსფორდის უნივ-
ერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგიც კი. ჰერცოგი ფედერიგო მო-
ნტეფელტირო ამაყობდა, რომ ბევრი ავტორი ყველაზე უფრო სრუ-
ლად, სწორედ მის წიგნთსაცავში იყო წარმოდგენილი. თვით ჰერც-
ოგის საყვარელი მწერალი ტიტუს ლივიუსი ყოფილა, რომლის „ის-
ტორიიდან“ ვრცელ ნაწყვეტებს ხშირად უკითხავდნენ: მოგვიანებით



ურბინოს ბრწყინვალე კოლექცია ვატიკანის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ უძველეს რეგისტრის შემთხვევაში გახდა.

ამ დროისათვის იტალიაში ბევრი ისეთი კოლექციონერიც გაჩნდა, რომლებიც დიდად არ დაგიღევდნენ წიგნების შინაარსსა და ხილისს. ერთი მათგანის შესახებ ირონიულად წერდნენ, რომ მისთვის მთავარია წიგნის სიძველე და არა მისი შინაარსი. პეტრარკა დასცინის იმ ადამიანებს, რომლებიც უამრავ, ყოვლად უვარვის და უსარგებლო წიგნებს უყრიან თავს. ჯოვანი მანცინი მასხრად იგდებს ქალაქ ბრეშის მცხოვრებ ვინე 70 წლის მოხუცს ანდრეოლო დე ოჩისს, რომელიც, თითქოს, თანახმა თავისი სახლიც გაყიდოს, ცოლიც დათმოს და თვით დაკარგოს ყოველივე, ოლონდ კი თავისი ბიბლიოთეკა გააძლიდოდოს.

XIV საუკუნიდან, შეიძლება ითქვას, იტალიაში წიგნების ახალი „ბუმი“ დაიწყო. ახლა ბიბლიოთეკებს არა მარტო უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები და ეკლესიის ზედაფეხნები ქმნიდნენ, არამედ საშუალო შეძლების აზნაურები და მოქალაქეებიც. რაღაც ხელნაწერების შეძენა მეტად ძნელი იყო (უმეტეს შემთხვევაში, ხელნაწერის თითო ცალი თუ მოიძებნებოდა), ამიტომ ძირითად იმედს გადამწერებზე ამყარებდნენ. მათ შორის ყველაზე ძვირად ფასობდნენ ისინი, ვისაც ბერძნული ტექსტის გადაწერა შეეძლო. არსებობდა ბერძნული წიგნების გამავრცელებელი რამდენიმე სკრიპტორიუმი. უნგრეთის მეფე მათიაშ კორვინუსი ბერძნულ წიგნებზე მომუშავე კალიგრაფებს დიდ გასამრჯელოს უხდიდა. მისი სიკვდილის შემდეგ პიეტრო მედიჩი თვლიდა, რომ ასეთ სკრიპტორიუმებს ნაკლები შეკვეთა ექნებოდათ.

უფრო მეტი იყო სკრიპტორიუმები, სადაც ლათინურ ტექსტებს იწერდნენ. ამ ახალი წიგნების ღირსება დიდი არ იყო. ეტყობა, პროფესიონალი გადაწერები უხალისოდ, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე მუშაობდნენ.

იტალიელი ჰუმანისტები თავიანთი იდეების გავრცელების საქმეში ბიბლიოთეკებს ძალიან დიდ როლს ანიჭებდნენ. პეტრარკა, მაგალითად, თვლიდა, რომ სახარო ბიბლიოთეკა ყველა იტალიურ ქალაქში უნდა ყოფილიყო. 1362 წელს დიდმა პოეტმა თავისი საუკეთესო წიგნთსაცავი, სადაც აბელიარისა და ელოიზას მიმოწერა დანტეს უიშვიათესი გამოცემები და სხვა ბიბლიოგრაფიული იშვიათობანი

ჰერონდა, ქალაქ ვენეციას აჩუქა. 1374 წელს მას ბოკაჩიმ მიბარჩესთამაც ეს წიგნი წმინდა მარკის მონასტერს დაუტოვა. ჰუმანისტი სალუტატი თვლიდა, რომ ქალაქების ბიბლიოთეკების სათავეში სწავლული პირები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც შესანიშნავად ეცოდინებოდათ თავიანთი ფონდის თითოეული წიგნი.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ იტალიური ბიბლიოთეკების ფონდი მნიშვნელოვნად გამდიდრა ბერძენ სწავლულთა დიდი ნაწილის აქნინის ნახევარკუნძულზე გადასვლამ. სწავლულთა ბიბლიოთეკებში შეხვდებოდით ანტიკური პოეტების და ღრამატურგების, ბერძენი და ბიზანტიელი ისტორიკოსების, ორატორების წიგნებს, რომელთა დიდი ნაწილი ვენეციელებმა შეიძინეს.

არაერთი სტამბის, გამომცემლობის დაარსების შემდეგაც კი ხელნაწერებს ყავლი არ გასვლიათ. ისე, რომ მიუხედავად მძლავრი კონკურენტების არსებობისა, სკრიპტორიუმები XVIII საუკუნემდე შრავლად არსებობდნენ. (სულ რაღაც ორი წლის მანძილზე—1448 და 1500 წლებამდე ევროპის 246 ქალაქში 1099 სტამბა შეიქმნა), ბიბლიოფილები კვლავინდებურად ძირიად აფასებდნენ ხელნაწერებს. მას შემდეგ, რაც საბეჭდი მანქანის სახით გადამწერებს მძლავრი მეტოქე გაუჩნდათ, გადაწერის ხარისხი ამაღლდა. ახლა უკვე იშვიათად ეხვდებით დაუდევრად შესრულებულ ხელნაწერებს. მათ გვარსაც აწერენ და იმასაც მიანიშნებენ, თუ რამდენი დღე მოანდომეს ტექსტის გადაწერას. ერმოლაო ბარბარო აღნიშნავს, ათენეუსის ნაშრომს 37 დღე მოვანდომეო. ითანა რუფუსს ცნობილი იტორიკოსის ზოსიმეს ნაწარმოები 22 დღეში გადაუწერია და ა. შ.

დაბეჭდილმა წიგნებმა და ხელნაწერებმა ერთმანეთის მხრადამხარ მთელი ოთხი საუკუნე იარსებეს.

პირველი უნივერსიტეტები

XII—XIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ბევრი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა, რომელთაც უნივერსიტეტები ეწოდებოდათ. ამ სკოლებმა სახელი მიიღეს ლათინური სიტყვიდან „უნივერსიტეტის“, რაც „ერთობლივობას“ ნიშნავს. იგულისხმებოდა მასწავლებლების გაერთიანება, რომლებიც ამ სკოლებში მუშაობდნენ.

սեղու սնօվերևութեածիսա და სեვա, արասասუլոյրო սկոլեթիկ մատուցած
յին սպասյալ Աթուրքի գանցութարեած ուղ գանձութարեած էաւ

Յուրաքանչ սնօվերևութի յ. ծոլոնիամի (օթալու) ճահը սահ 11 և.
Մուշուրուլի, այ արսեծուլո ուրութուլո սկոլու ծախչե, հոմել-
՛չու հոմաշու սամարտլու գամոհենու մուռն ուրերուս մոլզա-
՛ջեածա. ուրերուս լոյքույց ուրետ օնքուրես ովայա հոմ մու
մուսամենա ծոլոնիամի ցըրու սեվա սեվա մատուցած համուգ-
ութեա. ուրերուս հոմաշու սամարտլու պալք Ռոցնա գոտեսու-
թեա. Պարուց դարտու ուրենած արմենիա հույտեած ուստո-
նանց յանունեած յիշեածու. տանքատան ծոլոնիա սնօվերևութի յա-
նունեած, յոմենիւ արուց ան ցըրու սամարտլու մուռն սկոլա
Շեյմն. ճահը սեծութան մուռութուլո, մրացալո վլու մանձունչ ծո-
լոնիա սնօվերևութի յամցան սացնա սթորե ուրութուլո մեց-
ունեած ուրութու. ծոլոնիա մայում տացու սնօվերևութի ուր-
դա մուս յուտութու տացու սաեսրեած ար օմուրեած. հոցորու
ութալու յալուրու յամոհենու մուռն ույուն ծուրկարդ ուր-
ժեած, ծոլոնիա ելուսութու սնօվերևութի յանանա մու-
լա տացու մեմոսաց նաեցար, ճահը լուց 20 առա ճույգա իւ-
սահցաց նեն.

ու ծոլոնիա սնօվերևութի յամցան ճահը արցա ուրութուլո
մեցնուրեած ուրութու, սալլերնու (սամեր. օթալու) մորուածո
յալս ալլու մեցու ուրենած յիշուրու. յս սամարտլու ծոլոնիա սնօ-
վերևութի տան յուրութու յամունիմն, սալլերնու չեր յո-
ւա Յուրաքանչ ատամթլու սեծուլո սամեցու սկոլու ծա-
խչե, հոմելու յագրեած մուռն ճահը ալլու յամցան ոյրեած
յունինց նեն.

մոցուած մորուածու ցըրու սնօվերևութի յամցան ճահը սեծու
տարու ուրեած. Յարութի սնօվերևութի յամցան ճահ 1200 վալս, ոյիսուր-
ու ուր (օնցլու) — ճահ 1206 վալս, յալլենս ուր (յեմանց տո) —
1208 վ., սալլամանց ուր (յեմանց տո) — 1223 վ., եյակու 1224 վ.,
յենս — 1226 վ., յիմերու ուր (օնցլու) — 1231 վ., յամալու (Ռու-
սա) — 1240 վ., մոնքելու (սալլանց տո) — 1283 վ., լուսածու 1290 վ. (1308 վ. ուրութան յս սնօվերևութի յ. յոմենի յամցան),
մրալու սնօվերևութի յամցան ճահը 1348 վ., Յանց լութարու 1387 վ., յուլի-
սա — 1388 վ., յուլիսա — 1392 վ., լալու



ციგისა — 1409 წ., როსტოკისა — 1419 წ., ტრირისა — 1454 წელისა
ინცისა — 1471 წ. და ა. შ.

XVI ს. დასაწყისისათვის დასავლეთ ევროპაში 60-ზე მეტი უნი-
ვერსიტეტი იყო. მათ შორის ყველაზე უფრო დიდი ავტორიტეტი
პარიზის უნივერსიტეტს ჰქონდა, რომელსაც თავდაპირველად „სტუ-
დიუმ გენერალე“ („საერთო“ ან „საყოველთაო სკოლა“) ერქვა,
რაც, ერთი მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ აქ ყველა წამყვან მცენიე-
რებას ასწავლიდნენ, მეორე მხრივ კი ის იგულისხმებოდა. რომ ბა-
რიზის უმაღლეს სასწავლებელს ადგილობრივი მნიშვნელობა რო-
დი ჰქონდა, იგი ლია იყო დას. ევროპის ქვეყნების მცხოვრებლე-
ბისათვის.

პარიზის უნივერსიტეტის დაარსების ქარტია მეფე ფილიპე-
ავგუსტის ეკუთვნის (1200 წ.). ამას მოჰყვა პაპ ინოკენტი III-ის
ორი ბულა (1209 და 1210 წლებში) და პაპის ლეგატ რობერტ სორ-
ბონელის სტატუტი (1215 წ.). უნივერსიტეტმა მაღლ დიდი პოპუ-
ლარობა მოიხვევა და საფრანგეთის დედაქალაქს სახელი შემატა. აი,
რას წერდა კულტურის ცენტოლი ისტორიკოსი კოლბი: „პარიზის უნი-
ვერსიტეტმა მთელ მსოფლიოში დიდი სახელი მოიხვევა. მან საფრან-
გეთის დედაქალაქს ისეთი მნიშვნელობა მოუპოვა, რომელიც ხში-
რად საფრანგეთის სამეფოს მნიშვნელობაზეც მეტი იყო. ამის გამო
პარიზი თითქმის დასავლეთის მეტროპოლიადაც კი იქცა... პარიზის
უმაღლესი სასწავლებელი საფრანგეთისათვის იმპერატორის იმ გვი-
რგვინის ექვივალენტურიც კი იყო, რომელიც გერმანელებს დარ-
ჩათ.“

უნივერსიტეტის მასწავლებლები ორგანიზაციებად, ე. წ. ფაკულ-
ტეტებად იყვნენ გაერთიანებულნი. „ფაკულტეტი“ წარმოსდგება ლა-
თინური სიტყვიდან „ფაკულტას“, რაც „უნის“ ნიშნავს — იგული-
სხმებოდა რაიმე საგნის სწავლების უნარი. ასეთი ფაკულტეტი პა-
რიზში ოთხი იყო. ერთი „უმცროსი“ ფაკულტეტი და სამი „უფრო-
სი“. „უმცროს“ მოსამზადებელ ფაკულტეტს „არტისტული“ ერქვა.
აქ ჭაბუკებს, ზოგჯერ 12-13 წლის ბავშვებსაც კი იღებდნენ, დასა-
წყისში წერა-კითხვას ასწავლიდნენ, შემდეგ კი „7 თავისუფალ ხე-
ლოვნებას“. ის, ვინც „არტისტულ“ ფაკულტეტს ამთავრებდა, შემ-
დეგ სწავლას რომელიმე „უფროს“ ფაკულტეტზე აგრძელებდა: სა-
მედიცინოზე, იურიდიულზე ან სალგოსმეტყველოზე. განსაკუთრებით



ძლიერად ითვლებოდა საღვთისმეტყველო ფაკულტეტი, რომელიც მართვის უნივერსიტეტისათვის ისეთივე წამყვანი იყო, როგორც ბოლონიისათვის — იურიდიული ან საღვანოსათვის — სამედიცინო: პარიზის უნივერსიტეტის მფარველად რომის პაპი ითვლებოდა. მას- წავლებლები ირჩევდნენ ფაკულტეტის ხელმძღვანელს — დეკანს, მოსწავლებს კი სტუდენტები ერქვათ (ლათინური სიტყვიდან „სტუ- დერე“, რაც „ბეჭითად მეცადინეობას“ ნიშნავს). პარიზის უნივერსი- ტეტი ოთხ „ერად“ იყოფოდა: ფრანგულ, ინგლისურ (რომელსაც შე- მდეგ გერმანულები შეუერთდნენ), პიკარდიულ და ნორმანდიულ „ერად“. ამ „ერებს“ თავისი „პროვინციები“ ჰქონდათ. სამხრეთულ „ერებს“ — ესპანელებს, იტალიელებს, ბიზანტიელებსა და სხვა აღ- მოსავლელებს — ფრანგებს მიათვლიდნენ, ჩრდილოელებს — გერმა- ნელებს, სკანდინავიელებს, პოლონელებს, უნგრელებს — ინგლი- სურ „ერს“ და ა. შ. საბოლოო ანგარიშით ყველა ეს „ერი“ უნივერ- სიტეტის რექტორს („რექტორი“ — „მმართველი“) ირჩევდა, მას ითხო არჩევითი მოადგილე პროკურატორი — ჰყავდა (სიტყვიდან „კურა“, რაც „ზრუნვას“ ნიშნავს), თითოეული პროკურატორი რო- მელიმე „ერის“ სტუდენტებს ხელმძღვანელობდა.

უნივერსიტეტის წევრებად მხოლოდ მასწავლებლები და სტუ- დენტები როდი ითვლებოდნენ. ასეთებად მიაჩნდათ აგრეთვე მომსა- ხურე პერსონალი: წიგნების გამყიდველები, გადამწერები, შიქრიკე- ბი, აფთიაქის თანამშრომლები და მედუქნებიც კი.

ფაკულტეტები თავიანთი შემადგენლობით ერთმანეთისაგან მკვე- თრად განსხვავდებოდნენ. ყველაზე მრავალრიცხოვნად „არტისტუ- ლი“ ითვლებოდა. ის, ვინც მას წარმატებით ამთავრებდა, ყველაზე უმდაბლეს სამეცნიერო ხარისხს — პაკალავრის ხარისხს იღებდა და შეეძლო აქვე თვით ემასწავლებლა. სწავლა იმდენად ძნელი იყო, რომ კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ მესამედი თუ ხდებოდა ბაკალა- ვრი. „უფროსი“ ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მომდევნო სა- მეცნიერო ხარისხს — მაგისტრისას დაახლოებით ყოველი მეოქვე- მეტე იღებდა. უმაღლესი — დოქტორის ხარისხი ძალიან ცოტას ენი- ჭებოდა. დანარჩენები ყოველგვარი წარჩინების გარეშე რჩებოდნენ, ითვლებოდა, რომ მათ მხოლოდ მოისმინეს კურსი.

სტუდენტთა რიცხვის მიხედვით მეორე ადგილზე იურიდიული ფაკულტეტი იყო, მესამეზე — საღვთისმეტყველო. საერთოდ, სტუ-



დენტების რიცხვი უნივერსიტეტებში დიდი არ ყოფილა. ყველა მეტი უფრო ხალხმრავალ პარიზის უნივერსიტეტს ორი ათასზე მეტი სტუდენტი არა ჰყავდა.

როგორი იყო სწავლება უნივერსიტეტებში? სტუდენტები მასწავლებლის ლექციას ისმენდნენ, დისპუტებში მონაწილეობდნენ. იმის გამო, რომ წიგნები ძალზე ცოტა იყო, მასწავლებელი კითხულობდა მათ და კომენტარს უკეთებდა, სტუდენტები კი იწერდნენ. ეს აუკრილებელი წიგნები იყო „არტისტული“ ანუ მოსამზადებელი ფაკულტეტისათვის — არისტორელეს ნაშრომები, სამედიცინოზე — პიპოკრატესა და გალენის წიგნები, იურისტები კი გრაციანეს სწავლობდნენ. დისპუტების დროს მის მონაწილეს რაიმე დებულებები უნდა წამოყენებინა, დაეცვა ან უარყო ისინი. დისპუტები დიდ როლს ასრულებდნენ სასწავლო პროცესში, სწორედ მის დროს იძენდნენ სტუდენტები ცოდნას. ცნობილია შემთხვევა, როცა XIII საუკუნეში პარიზის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დისპუტში მონაწილეობა მიიღო ოქსფორდელმა მაგისტრმა დუნს სკოტმა, დიდად ნიჭიერმა და განსწავლულმა პიროვნებამ. როცა სკოტმა თავისი დებულებები წამოყენა, მის წინააღმდეგ 200-მა ორატორმა გაილაშქრა. დასასრულს დუნს სკოტმა ზეპირად, ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე, გაიმეორა ყველა მათგანის აზრი და შემდეგ თანმიმდევრულად უარყო ისინი.

ყოველ სტუდენტს, რომელსაც სამეცნიერო ხარისხის მიღება უნდოდა, თავისი განსწავლულობა საგარო დისპუტზე უნდა დაემტკიცებინა. კამათი ხშირად ისე მწვავდებოდა, რომ მისი მონაწილეები ხშირად ერთმანეთს კიდევაც დაერეოდნენ ხოლმე.

სტუდენტი ლექციაზე თავისი წიგნით უნდა მისულიყო. ამიტომ უნივერსიტეტებთან ორგანიზებული იყო წიგნებით ვაჭრობა, სამისოდ კი ყველა უმაღლეს სასწავლებელს თავისი სკრიპტორიუმები ჰქონდა. რა თქმა უნდა, ეს სკრიპტორიუმები დაკვეთებს ვერ აუდიოდნენ, წიგნები მაინც ცოტა იყო და სწავლებას აძნელებდა.

წიგნების რაოდენობის თვალსაზრისით შედარებით უკეთესი მდგომარეობა პარიზის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში იყო. შეთბიბლიოთეკებში გაცილებით უფრო მეტი საერო შინაარსის წიგნი მოიძებნებოდა, ვიღრე სხვაგან. მაგრამ ეკლესიის მესვეურები ფხაზლად ადევნებდნენ თვალყურს, რათა „მავნე“ ლიტერატურა არ გაურცელებულიყო. აი, ერთ-ერთი ასეთი განკარგულება: „წიგნები,



რომელთა მოძღვრება დაგმობილია, ის ნაშრომები, რომელთა წერტილია კითხვების სახითათოა და მავნე, მხოლოდ ღვთისმეტყველების პროფესიულის ენდობა. მაგრამ არც მან უნდა წაიკითხოს ისინი, თუკი არგუმენტულისა ან დავის დროს არ სჭირდება. და პროფესორი მათ ნუ გაეცნობა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო, რათა წიგნებით არ მოიშხამოს“.

უნივერსიტეტის სტუდენტები წიგნებს ძირითადად ბიბლიოთეკაში იღებდნენ. წიგნების რეგისტრაცია მყაცრი იყო, „რათა სტუდენტებს რაიმე ძვირფასი ხელნაწერის ნაცვლად გარეგნულად ასეთაც ვა, მაგრამ სინამდვილეში ნაკლები ღირებულების ნაშრომი არ მოეტანა“, ასეთი გამოსავალი ნახეს: ყველაზე ძვირფას წიგნებს სტუდენტებს სახლში არ ატანდნენ, მათ ისინი მხოლოდ ბიბლიოთეკაში უნდა წაეკითხათ. ძვირფასი წიგნები პიუპიტრებზე პატარა ჭავებით იყო მიმაგრებული. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, კემბრიჯის უნივერსიტეტში. სხვა უნივერსიტეტის კატალოგებშიც ხშირად გვხვდებოდა შენიშვნა: „მიმაგრებულია“. ეს, ცხადია, იმას ნიშნავდა, რომ წიგნი სახლში არ გაიცემოდა. კატალოგები ისტატურად იყო შეაღენილი. დაინტერესებულ ადამიანს აქ შეეძლო გაეგო, რა გააჩნდა ბიბლიოთეკას, ვინ იყვნენ ავტორები, როგორი იყო სრული სათაური და ა. შ.

ყველა უნივერსიტეტში სწავლება ერთ — ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ეს ხელს უწყობდა სტუდენტებისა და მასწავლებლების დიდ დენადობას. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს ჭალაქის მესვეურებთან რაიმე სერიოზული კონფლიქტი მოსდიოდა. მაშინ მთელი სასწავლებელი სხვაგან გადადიოდა. XIII საუკუნეში პარიზის უნივერსიტეტი გაიფიცა. მასწავლებლების ნაწილი ინგლისში გადავიდა და ოქსფორდის უნივერსიტეტი დააარსა. საინტერესოა, რომ ამ პროფესორებმა ქ. ოქსფორდის მესვეურებთანაც ვერ გამონახეს საერთო ენა, ეს ჭალაქიც მატოვეს და კემბრიჯის უნივერსიტეტი დააარსეს. მალე ოქსფორდის უნივერსიტეტმაც განაახლა მუშაობა, მაგრამ ასეთივე სასწავლებელი კემბრიჯშიც დარჩა.

„ქალიან ხშირად, სწავლება აუდიტორიებში კი არ მიმდინარეობდა, არამედ პროფესორები სტუდენტებთან საერთო საცხოვრებლე-



ბში მიღიოდნენ. უნივერსიტეტების სიახლოვეს ბევრი ასეჭრებოდნენ, თო საცხოვრებელი არსდებოდა. მათ მეცენატები, ქველმოქმედები ეხმარებოდნენ. ულარიძესი სტუდენტები ბინის გარდა საჭმელსაც იღებდნენ. სორბონა — პარიზის უნივერსიტეტის ცენტრი, თავის დროზე სხვა არა იყო რა, თუ არა ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტების საერთო საცხოვრებელი.

სამღვდელოებისა და ქალაქის მმართველების სისტემატური ცდის მიუხედავად, კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ სტუდენტები, ხშირი იყო მღელვარება და შეხლა-შემოხლა. ფორმალურად ქალაქის მესვეურები ფიცის სდებდნენ, რომ არაფრით შეზღუდვდნენ უნივერსიტეტის უფლებებს, მაგრამ ეს ლიტონ სიტყვებად რჩებოდა. მმართველობისა და სტუდენტების ხშირი შეტაკებების შედეგად, ლექციები წყდებოდა და სტუდენტებს ქალაქიდან ასახლებდნენ. მათ ხშირად მასწავლებლებიც მიყვებოდნენ. იყვნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებისათვის სწავლა კი არ იყო მთავარი, არამედ დროსტარება. ძალიან ხშირად, მოსამზადებელი ფაკულტეტის ასე თუ ისე დამთავრების შემდეგ, სტუდენტები სხვა ქალაქებში მიღიოდნენ. XIII-XIV საუკუნეებში შეიქმნა მოხეტიალე სტუდენტის — ვაგანტის ან გოლიარდის ტიპი. ვაგანტები დიდ ჯგუფებს ადგენდნენ, სისტემატურად მოგზაურობდნენ, მხიარულ სიმღერებს თხზავდნენ, სადაც ხშირად ფეოდალებსა და სამღვდელოების წარმომადგენლებს ესხმოდნენ თავს. ასე ვახდნენ ვაგანტები არსებული წყობილების კრიტიკოსები, ხშირ შემთხვევაში კი — მოწინავე იდეების მატარებლებიც.

საუკეთესო მასწავლებლების ძიებაში სტუდენტი ზოგჯერ ათეულობით უნივერსიტეტს მოიკლედა ხოლმე. ითვლებოდა, რომ ყველაზე კარგი კადრები მაინც პარიზის უნივერსიტეტს ჰყავდა. XIII საუკუნეში ექვემდებარებულ შოტლანდიელი დუნს სკოტი, ესპანელი რაიმონდ ლულიუსი, ინგლისელი როჯერ ბეკონი. თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ბეკონმა მაინც ოქსფორდის უნივერსიტეტში გაატარა. მისი შრომები ეკლესიამ აკრძალა, თვით მეცნიერი კი დაახლოებით 20 წლის მანძილზე სხვადასხვა საპყრობილებში იმყოფებოდა.

ესპანეთში, ქრისტიანულ უნივერსიტეტებთან ერთად, ბრწყინვალე არაბული უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნა. საინტერესოა, რომ კორდოვას, სალამანქის, სევილის, მალაგის არაბულ უნივერსი-



ტეტებში ბევრი სტუდენტი საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიაში იდანაც ჩადიოდა. აქ მედიცინას, მათემატიკას, ასტრონომიას, ჟირმას დას. ევროპის უნივერსიტეტებზე გაცილებით უკეთ ასწავლიდნენ. XII საუკუნეში კორდოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილო-სოფოსი იბნ-როშდი (ავეროესი), რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა, არისტოტელეს ნაშრომების ბრწყინვალე მცოდნე იყო და მაპმადიანური სამღვდელოება სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა. ბოლოს მას კორდოვის უნივერსიტეტი დაატოვებინეს, არისტოტელეს შესწავლა კი 1195 წელს მთელ არაბულ ესპანეთში აკრძალეს.

პარიზის უნივერსიტეტის მაგისტრი ამორი ბენელი კათოლიკური ეკლესიის დებულებების წინააღმდეგ გამოვიდა. რომის პაპმა მეცნიერი აიძულა თავის მოსაზრებებზე უარი ეთქვა, მაგრამ მისი მოწაფები და მიმდევრები მასწავლებელზე უფრო შორს წავიდნენ და პანთეისტური აზრების ქადაგება იწყეს. თვით ამორი 1204 წელს ვარდაიცვალა, 1210 წელს კი მისი ათი მიმდევარი დაწვეს, თვით ამორის ვამი საფლავიდან ამოთხარეს და ასევე ცეცხლს მისცეს.

პარიზის უნივერსიტეტის „არტისტული“ ფაკულტეტის მაგისტრი სიკერ ბრაბანტელი ავეროესის მიმდევარი, არისტოტელეს ნაშრომების პოპულარიზატორი გახდა. იგი ფაქტობრივად ღმერთის არსებობასაც კი უარყოფდა. ეკლესიამ გააძლიერა პარიზის უნივერსიტეტში „მოქალათებული“ ურწმუნოების დევნა. სიგერ ბრაბანტელი დააპატიმრეს. იგი პაპის საპყრობილები გარდაიცვალა. პაპ ინკანტი III სპეციალური ბულით იყრძალა არისტოტელეს ყველა ნაშრომი მეტაფიზიკასა და ფიზიკაში.

ერთი სიტყვით, უნივერსიტეტებმა თავიანთი პროგრესულად მოაზრონე პროფესორებითა და მღელვარე სტუდენტებით სამღვდელოებას და ფეოდალური სამყაროს მესვეურებსაც დიდი პრობლემები შეუქმნეს. უნივერსიტეტებში კონცენტრირებული მთელი იმღროინდელი მოწინავე მეცნიერება მკვეთრად დაუპირისპირდა ფეოდალურ სამყაროს.

Ч 0 6 1 5 6 0

Зе́са́га́лі	3
Зу́мбеке́діс са́мпӯа́ртшы	3
Ниңе́зініс ბідлі́ноте́кіс га́нда	9
Алғе́жеса́нду́ра, „Мұшке́діс га́лда“	19
Аттепе́ніла́н ә́рмада́мдү	28
Бінша́нди́рілірі ғо́ллайна́нти́ре	35
„Сибі́рде́ніс“, Мұ́рзине́ріе́діс“ да қо́даніс са́бле́ді	46
Афра́ншылі Шуа́ са́уя́зу́нне́е	55
„Ка́ролінгшү́рі ә́лтө́рмінде́да“	63
Ко́рнене́ді ғи́зғи́зде́длінен	70
О́рта́лайшү́рі ბідлі́ноте́кіе	75
Зи́рху́лі үнди́зе́рсінде́е	82

გამოშცემლობის რედაქტორი მ. ჯაჭანაშვილი

რედაქტორი რედაქტორი ფ. ბუღალთ შვილი

კორექტორი ლ. ბალოშვილი

გადაეცა წარმოებას 29.01.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.07.91.

საბეჭდი ქალალდი 60×84. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 5,75. საალტ.-საგამომც. თაბახი 4,43.

ტირაჟი 1000, შეკვეთის № 328.

ფაზი 1 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამოშცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.



Гамрекели Гиви Давидович
ПО СТАРЫМ КНИГОХРАНИЛИЩАМ
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1991

